საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 50 (1066) | ხუთშაბათი, 4 მაისი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

### ედუარდ შევარდნაძე:

არ შემიძლია ერთხელ კიდევ არ გამოვხატო აღფრთოვანება — გნებავთ, ადამიანური გაოცება იმ გმირობის გამო, საქართველოს შვილების სახელთან რომ არის დაკავშირებული. 700 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა ამ ომში და 300 ათასზე მეტი შინ არ დაბრუნებულა. გმირულად დაიღუპა. მათი სახელები წმინდაა და წმინდა იქნება. ისტორია კიდევ იტყვის თავის სათქმელს. მინდა ვთხოვო ჩემს მეგობრებს, ვეტერანებს, იყავით სულგრძელნი, ნუ უსმენთ ცალკეულ უმადურთა და უგუნურთა ლაყბობას. სამშობლო ამაყობს თქვენით და რაც უფრო დავცილდებით სამამულო ომის დღეებს, მით უფრო ნათელი შარავანდედით განათდება თქვენი გმირობა და თქვენი ცხოვრება.

გილოცავთ! — 1 მაისის რადიოინტერვიუდან.

# ქართველთა წილი ძლევისა

### დღე გამარჯვებისა

**უბერებელი** ეროვნული ჰიმნის „სამშობლოს" შთამაგონებელ მელოდიაზე, ეთერსა და ცისფერ ეკრანზე, კვლავაც სასიამოვნოდ ჟღერს დიდი მგოსნის შთამბეჭდავი სტრიქონები: „...მე ამ მაისის, სულ ახალი ვკრეფნ ნათელი, კარგი ნათელი, მხნე ნათელი, შინაგან სიღრმის... დღეს გამარჯვების აღმნიშვნელი ძვირფასი დღეა"...

### დიდი გული

**1941 წლის** 22 ივნისს, ალიონზე, გაისმა საბრძოლო მოწოდება: „სამშობლო განსაცდელშია!.." „ომი დაიწყო, ვიცოდი რომ დაიწყებოდა... გჯეროდეთ, ჩემო ძვირფასებო, თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდა, თუ სიკვდილი მიწერია ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას. დაე, ნუ შეგრცხვებათ, რომ მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ... თქვენ შეგიძლიათ სიამაყით თქვათ, რომ მე ვიცავ სამშობლოს, რათა მომავალი თაობები იყვნენ ჯანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი... მე საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს სამშობლო... ეს არის ყველაზე დიდი ომი, რაც კი ყოფილა დედამიწის ზურგზე, არც სადმე ისეთი დიდი გული ყოფილა ქვეყნად, როგორიც მე მაქვს ახლა" — ასე წერდა ახლობლებს დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში, ნიჭიერი ქართველი პოეტი და გულოვანი მეომარი მირზა გელოვანი. სრული სიმართლე თქვა ომზე, მის ხასიათსა და მიზნებზე, მამულისათვის თავდადებულმა კაპიტანმა.

61 . დიდი თუ მცირე სახელმწიფო მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. მათ შორის „ანტიჰიტლერული კოალიციის მხარეზე. ამ ომში მონაწილეობდა საქართველო და თავისი პროცენტული და თვისობრივი წილით, მაჩვენებლებით, პოტენციური შესაძლებლობათა მაქსიმუმი, უნიკალური წვლილი შეიტანა ომების ისტორიაში ყველაზე დიდ ომში, ყველაზე ძლიერი და საშიში მტრის, ფაშისტური გერმანიის განადგურებაში, ამ დიად საკაცობრიო საქმეში, მსოფლიო ცივილიზაციის გადარჩენაში.

### მაინც, რას გვიქადდა?

**რას** უქადდა ხალხებს, მათ შორის ამიერკავკასიის ხალხებს, კერძოდ, საქართველოს ფაშიზმი, ჰიტლერული გერმანია, მისი მოკავშირე — სატელიტები თუ „ნეიტრალური" მეზობლები?

ისტორიის ფაქტებზე, მათ პროფესიულ ანალიზზე დაფუძნებული სიმართლე უყვარს, იგი ვერ ეგუება ლიტონ სიტყვებს, წარსულის შელამაზებას, მით უფრო მის უგულებელყოფას, დამახინჯებას.

ამიტომ, მოდით, მოკლედ, კვლავ გავიხსენოთ ახლო წარსული, მისი მთავარი მოვლენები:

დიდი ხანია აგრესიული თვალი ეჭირა კაიზერის გერმანიას საქართველოს მიმართ. პირველი მსოფლიო ომის დროს მისი გენერალური შტაბის უფროსი, შემდგომ, ერთხანს ფაშისტურ პარტიაში ჰიტლერის აქტიური თანამოაზრე, გენერალი ერიხ ლუდენდორფი თავის „მოგონებებში" წერდა: „ბათუმში მოლაპარაკების დროს საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გენერალ ფონ-ლოსოვს სთხოვეს გერმანიის იმპერიის მფარველობა... იგი საშუალებას გვაძლევდა თურქეთისაგან დამოუკიდებლად **ჩაგვეგდო ხელში** (ხაზგასმა ჩვენია პ. შ.) კავკასიური ნედლეული და გავლენა გვქონოდა რკინიგზის ექსპლოატაციაზე, რომელიც თბილისზე გადიოდა... ამის გამო მე შუამდგომლობა_ ალვძარი საიმპერიო კანცელარიის წინაშე საქართველოს სურვილის დაკმაყოფილების მიზნით (იხ. „მოგონებები" ტ. II, გვ. 188. მოსკოვი, 1924 წ.).

საინტერესო აღიარებაა, როგორც იტყვიან, არა ჩვენი ლამაზი თვალებისათვის და „ჰუმანიური დახმარებისათვის", არამედ ჩვენი ნედლეულისა და რკინიგზის ხელში ჩასაგდებად, ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული სივრცის მოსაპოვებლად ისწრაფოდნენ გერმანიის მილიტარისტული წრეები.

ამაზე დამაჯერებლად იუწყება ფაშისტური გერმანიის უმაღლესი სარდლობისა და გენერალური შტაბის დოკუმენტების 750 გვერდიანი კრებული „სრულიად საიდუმლოდ. მხოლოდ სარდლობისათვის" (მოსკოვი, სამხედრო გამომცემლობა, 1967 წელი).

ჰიტლერელთა აგრესიულ სამხედრო დოქტრინას საფუძვლად ედო გერმანელთა ომის გეოპოლიტიკური თეორია, მისი რეაქციული, დაპყრობითი კონცეფცია.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, ჰიტლერი საჯაროდ აცხადებდა: „აღმოსავლეთით ჩვენ უნდა ვიბატონოთ კავკასიამდე და ირანამდე... ჩვენ უნდა ვმართოთ ევროპა და დავიბრუნოთ კოლონიები. ამ უზარმაზარი იმპერიის ცენტრში მე მოვათავსებ დიდ გერმანიას, ავსტრიას, ბოჰემიას, მორავეთს, დასავლეთ პოლონეთს, მერე აღმოსავლეთსაც, ბალტიისპირა ქვეყნებს, უკრაინას, ვოლგის სანაპიროებს, საქართველოს..." (იხ. მ. კვესელავა „ას ერგასის დღე".)

ყველაფერი ცხადია და გასაგები.

ასეთ აგრესიულ განზრახვათა შესასრულებლად 1942 წლის ზაფხულში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გაჩაღდა კავკასიაში, კავკასიის მთების ძირში, საქართველოს კარიბჭესთან, ჰიტლერელთა „ედელვაისის" სამხედრო ოპერაციის გეგმის შესაბამისად, ფაშისტთა სატანკო-მექანიზებულმა, საჰაერო, სამთო-მსროლელმა შენაერთებმა გააჩაღეს ლაშქრობა, შავიზღვისპირეთის გავლით, კავკასიონის ქედის უღელტეხილების დალაშქვრით, მტერი უმიზნებდა საქართველოს სასიცოცხლო ცენტრებს: სოხუმს, ფოთს, ბათუმს, ზუგდიდს, ქუთაისს, თბილისს, მთელ საქართველოს.

გერმანელმა ფაშისტ-დამპყრობლებმა საქართველოს მისადგომებთანაც გამოამჟღავნეს თავიანთი ანტიქართული, მხეცური სახე: დაბომბეს თბილისის, სოხუმის, ბათუმის გარეუბნები, იყო მსხვერპლი და ნგრევა, მომწამვლავი ქიმიური გაზით დაახრჩვეს ეჭიმუშკაიში ქართველი მეომრები, აწამეს, შემდეგ ქვაში ჩააგდეს პარტიზანი ზოია რუხაძე, ცეცხლში დაწვეს დაჭრილი, უტეხი მებრძოლი გრიგოლ სხულუხია... ისე, როგორც პირველ მსოფლიო ომში, საერთაშორისო სამართლისა და ჰააგის კონვენციების მოთხოვნათა უხეში გათელვით, ათეულ ათასობით ქართველი სამხედრო ტყვე შიმშილითა და ავადმყოფობით დაიღუპა ფაშისტურ გერმანიაში, არავინ უწყის მათი საფლავები...

მონდომებით ემზადებოდნენ საქართველოში შემოსაჭრელად ჩვენი „ნეიტრალური" სამხრეთელი მეზობლებიც, რომლებსაც თავიანთი ძველი ჩანაფიქრის შესასრულებლად, ჩვენს საზღვართან თავმოყრილი ჰყავდათ საომრად გამზადებული 26 დივიზია, ელოდნენ მომენტს, სტალინგრადის დაცემას და გერმანელთა საქართველოში შემოჭრას უცდიდნენ. მაგრამ ხალხი, კავკასიის დამცველები სხვანაირად ფიქრობდნენ... მათი ერთობლივი მოქმედებით მტრის ორივე ვარაუდი ჩაიფუშა.

### ხუთი ფაქტორი

**სამამულო** ომის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ ქვეყნის ბედს, ომის ბედს წყვეტენ არა მეორეხარისხოვანი მომენტები, არამედ ისეთი „მუდმივმოქმედი ფაქტორები", როგორიცაა „ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება, არმიის უფროსთა შემადგენლობის ორგანიზატორული უნარი" (ი. სტალინი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", გვ. 82).

რა წვლილი შეიტანა საქართველომ, ქართველმა ხალხმა მიმდინარე ომში ამ გადამწყვეტი, მუდმივმოქმედი ფაქტორების ფორმირებაში, მათ გამოყენებაში, სამამულო ომში საბოლოო გამარჯვების მისაღწევად?

### ეროვნული დივიზიები

**ცხოვრებისეული** ფაქტები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ყველა ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორის ამოქმედებაში საქართველოს ლომის წილი აქვს შეტანილი. სამამულო ომის პირველ წელს საქართველოში ჩამოყალიბდა იმ დროის შტატით, შეიარაღების სრული კომპლექტით აღჭურვილი, საბრძოლველად მომზადებული 9 ქართული დივიზია. დივიზიაში საშუალოდ 12.500 მეომარი ირიცხებოდა. მათ უმრავლესობას საშუალო და უმაღლესი განათლება ჰქონდა.

თვალსაჩინო იყო მათი სამხედრო-პროფესიული მომზადება, გაწაფულობა, სამწყობრო, ტაქტიკური, საერთო ფიზიკური წრთობა. კაპიტანი მ. ბუხაიძე დაზგის ტყვიამფრქვევით 300-400 მეტრ მანძილზე ტყვიით თავის გვარს წერდა სამიზნეზე, პოლკოვნიკი ი. გირგვლიანი არმიის ჩემპიონი იყო ტყვიით სროლაში, რიგითი მებრძოლი რ. თალაკვაძე ტოლს არ უდებდა ცნობილ სნაიპერებს, კაპიტანმა ა. პირმისაშვილმა თავისი ბატარეების ცეცხლით მოსპო გერმანელთა 23-ე სატანკო დივიზიის მეთაური, გენერალი ფონ-მაკი და მისი შტაბიც.

ბუნებრივია, ასე დაოსტატებული ქართველი მეომრები ღირსეულად ასრულებდნენ თავის მთავარ მოვალეობას.

ქართულმა ეროვნულმა შენაერთებმა ფრონტზე, ბრძოლის ველზე, გამოცდილ, კარგად აღჭურვილ, გაწვრთნილ მოწინააღმდეგესთან პირისპირ ბრძოლებში ჩინებული საბრძოლო-მორალური თვისებები გამოავლინეს. სამმა ქართულმა დივიზიამ კი კავკასიიდან ბერლინამდე ბრძოლებით სდია მოწინააღმდეგეს და წარმატებით შეასრულა თავისი გამანთავისუფლებელი მისია.

### თანამემამულეთა ღირსება

**სამამულო** ომში 700 ათასზე მეტი საქართველოს შვილი მონაწილეობდა. მათ საბრძოლო მწყობრს ამშვენებდა ჯარისკაცი, სერჟანტი, ოფიცერი, ადმირალი, გენერალი, მარშალი, გენერალისიმუსი.

დიდ სამამულო ომში ფაშიზმზე გამარჯვების მთავარი ორგანიზატორი იყო, მტერ-მოყვარის მიერ აღიარებული უმაღლესი მთავარსარდალი, გენერალისიმუსი იოსებ სტალინი, რომლის მხედართმთავრული ნიჭი, ხელწერა და ღვაწლი სრულად წარმოჩინდა ქვეყნისა და ისტორიის წინაშე, ყველაზე დიდი ომის მოგებით, მისი ისტორიული, სამხედრო-პოლიტიკური შედეგებით.

დიდი საშიშროების ჟამს ქვეყნის უშიშროებას, მის დაზვერვას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ფაშიზმთან ბრძოლაში, უახლესი შეიარაღების კონსტრუქციების მოპოვებას, მათ უსწრაფესად წარმოებას სათავეში ედგა მარშალი ლავრენტი ბერია; სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამედიცინო სამსახურს სათავეში ჩაუდგა პროფესორი, სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი იუსტინე ჯანელიძე.

არმიებს, ამ ოპერატიულ საჯარისო გაერთიანებას, უნარიანად სარდლობდნენ ქართველი გენერ-

(დასასრული მე-5 გვ.)

# მთელმა საქართველომ უნდა გაიგოს, რომ კახელები ფეხზე დადგნენ, დამნაშავეები კახეთში ველარ ითარეშებენ

სურათზე: საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე თელავში შეხვდა და ესაუბრა ადგილობრივ მოსახლეობას.

**კახეთი** — საქართველოს მთლიანობის ერთ-ერთი მძლავრი და ულალატო ბურჯი, მხარე, განთქმული თავისი ალალმართალი, მუხლჩაუხრელი, პატიოსანი ადამიანებით. ასეთი იყო იგი ტრადიციულად, საუკუნეთა განმავლობაში... დღეს კი, უფრო სწორად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, აქაც, როგორც იტყვიან, აირია მონასტერი. ლამის მთელი საქართველოს დამანგრეველმა პოლიტიკურმა ქარტეხილებმა, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ თავისი მძიმე კვალი დააჩნია მდიდარსა და წელში გამართულ მხარეს. უკიდურესად გაუჭირდა მთელ კახეთს — მიწაზე მომუშავე გლეხობასაც და ინტელიგენციასაც, თუმცა იგი შეგნებულად, მოთმინებითა და უკეთესის იმედით უძლებდა ყველა სიძნელეს. გაუსაძლისი ამ შრომასა და ბრძოლაში გამობრძმედილი, მშვიდობისმოყვარე კუთხისათვის აღმოჩნდა მხოლოდ მავანთა განუკითხავი თარეში, ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა, თითქმის ოფიციალურ დონეზე აყვანილი რეკეტი, რომელმაც თავისი გავლენა დააწესა სახალხო მეურნეობის ყველა დარგზე, სხვადასხვა ფორმითა და გზით დაისაკუთრა წამყვანი საწარმოები, ქარხნები, შიში და უსასოობა დაამკვიდრა მოსახლეობაში... დამნაშავეთა სამყაროს აულაგმავმა თარეშმა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დააყენა გადამწყვეტი, გაბედული მოქმედების აუცილებლობა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელა ფართომასშტაბიანი პროფილაქტიკური ღონისძიება კახეთის რეგიონში.

ოპერაციის შედეგების ანალიზს, საერთოდ, რეგიონში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას მიეძღვნა რესპუბლიკური თათბირი თელავში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, რესპუბლიკის ძალოვან სტრუქტურათა ხელმძღვანელები, რეგიონის ადმინისტრაციის, ადგილობრივი მმართველობის, შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლები.

ოპერაციამ სერიოზული დარტყმა მიაყენა კრიმინალურ სამყაროს და დაანახა მას, რომ უკანონობასა და დანაშაულს ქვეყანაში მომავალი არ გააჩნია. ღონისძიება განხორციელდა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომელიც რესპუბლიკის გენერალურ პროკურორთან იყო შეთანხმებული. ოპერაციის შედეგად ამოღებულია დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარები, ნაღმტყორცნები, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები, „ალაზნის" ტიპის რაკეტები, რაციები, ჩამორთმეულია ერთი ჯავშანტრანსპორტიორი, ნაპოვნია გატაცებული ავტომანქანები... მაგრამ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა კვირაიამ განაცხადა, ეს მხოლოდ დასაწყისია, საიდანაც სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ მათ, ვინც თავისი ცხოვრების წესად ძალადობა და სხვისი შრომის ნაყოფის მითვისება აქცია.

თუმცა იმ ვითარებიდან, რომელიც გამოვლინდა ოპერაციის შედეგად, დასკვნები რეგიონის სამართალდამცავმა ორგანოებმაც უნდა გამოიტანონ. არ გაამართლა იმედები კახეთის რეგიონულმა სამმართველომ, რომელიც რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი შეიქმნა, დანაშაულებრივი გულგრილობა გამოიჩინა ბევრმა პოლიციის უფროსმა, რის შედეგადაც დაეცა სამართალდამცავი ორგანოების ბრძოლისუნარიანობა. რეგიონში, პრაქტიკულად ჩაშლილია ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა, შეუნიღბავად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე „საქმიანობდა" ძლიერი ბანდიტური ჯგუფი, რომლის თითქმის ყველა წევრი შინაგან საქმეთა თუ თავდაცვის სამინისტროს მოწმობებით იმაგრებდა ზურგს, მინისტრმა დაასახელა, აგრეთვე, ვინმე მადლენა ბერძენიშვილის განსაკუთრებული სისასტიკითა და გავლენით გამორჩეული დაჯგუფება. ბატონმა **შოთა კვირაიამ** არასაკმარისად მიიჩნია რეგიონში სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და ეკონომიკური განვითარების ხელშემშლელი მიზეზების აღკვეთის მიზნით დღემდე გაწეული მუშაობა. ამ ვითარების გამო ჩვენი სამინისტრო პასუხისმგებლობას არ იხსნის, თქვა მან, ეს ოპერაცია იქნება გარდატეხის დასაწყისი კახეთში კრიმინოგენული ვითარების გაჯანსაღების თვალსაზრისით.

რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა **ჯამლეთ ბაბილაშვილმა** დაარწმუნა თათბირის მონაწილენი, რომ რეგიონული პროკურატურა ამ გადამწყვეტ ეტაპზე თავის სიტყვას იტყვის.

თათბირის მონაწილეთა წინაშე სიტყვებით გამოვიდნენ უშიშროების სამსახურის უფროსი **იგორ გიორგაძე**, ქალაქ თბილისის მერი **ნიკო ლეკიშვილი**, პარლამენტის წევრი **ალექსი კობაიძე**, თელავის გამგებელი **დავით ხავანელი**, ვარდისუბნის აგროფირმის დირექტორი **ვალერიან ქურციკაშვილი**, სიღნაღის პროკურორი **ზურაბ ლვედაშვილი**, გურჯაანის გამგებელი **ირაკლი კარდენახიშვილი**, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **გურამ ფანჯიკიძე**, სიღნაღის გამგებელი **ვაჟა ცაბუტაშვილი**, ხაგარეჯოელი მევენახე **ვანო სიდამონიშვილი**. თელავის პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა **დარეჯან ჭანკვეტაძემ** თათბირის მონაწილეთა და სახელმწიფოს მეთაურის ყურადღება მიაპყრო პედაგოგების მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე და აუწყა მათ, რომ თელაველი პედაგოგები უხელფასობის გამო იძულებული გახდნენ გაფიცვაც კი გამოეცხადებინათ.

დარბაზის მწვავე რეაქცია მოჰყვა მაშველთა კორპუსის ოპერატიული სამსახურის სამმართველოს უფროსის **თორნიკე ბერიშვილის** გამოსვლას. მხედრიონის რიგების გაწმენდის პროცესი დაწყებულია და იგი შეთანხმებულად, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე უნდა წარიმართოს, სხვაგვარმა მიდგომამ, განაცხადა მან, შეიძლება კონფრონტაციაც კი გამოიწვიოს.

— ჩვენ არა მხედრიონის, არამედ დამნაშავეების წინააღმდეგი ვართ, — თქვა კახეთის რეგიონში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის მოადგილემ **მედეა მეზვრიშვილმა**. — საწარმოებისა და ორგანიზაციების დიდი ნაწილი მათი რეკეტის გამო პრაქტიკულად გაჩერებულია. გასამეტებელი ქართველები არ გვყავს, მაგრამ ახლა უკვე სხვაგვარი მოქმედებაა საჭირო. უნდა მოვიშოროთ ის ხალხი, რომელიც, თუ ასე გაგრძელდება, დაგვიღუპავს ქვეყანას.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ**. (გთავაზობთ გამოსვლას მცირეოდენი შემოკლებით).

— **ასეთ ფონზე** ცოტა ძნელია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ უკეთესობისაკენ მივდივართ, მაგრამ, თუ ამას არ დავინახავთ, ვერასოდეს გამოვალთ სასოწარკვეთისა და განწირულობის განწყობილებიდან.

ამასწინათ დუშეთში მეცხვარეობის დარგის სპეციალისტებთან შეხვედრაზეც ვთქვი, რომ, როგორც კი ქვეყანა ოდნავ დამშვიდდა (არ ვამბობ რომ ყველაფერი კარგად არის), დაიწყო ძვრები ეკონომიკაში. ამ შეხვედრას შემთხვევით როდი ესწრება თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი. მე მინდოდა ეთქვა მას, რომ დედაქალაქში, ისევე როგორც ბევრ სხვა რაიონში, ზოგიერთი რამ უკვე შეიცვალა უკეთესობისაკენ. თუ ვილაპარაკებთ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის, აპრილის მუშაობის მიხედვით, უკვე შეგვიძლია თქმა, რომ შარშანდელთან შედარებით გაცილებით გამოცოცხლდა მრეწველობა, გარკვეული ძვრებია სოფლის მეურნეობაშიც. თუ პროცენტებში გადავიყვანთ ამ მაჩვენებლებს, ეს ძვრები იმდენად საგულისხმოა, რომ შეიძლება არც კი დაიჯერო. მართლაც, თითქმის დაუჯერებელია, რომ პირველ კვარტალში ბიუჯეტში შარშანდელთან შედარებით ოცდაათჯერ მეტი შემოსავალი შემოვიდა.

დღეს საქართველოს ხელისუფლება ძალიან სერიოზულად მუშაობს იმისათვის, რომ როგორმე დავძლიოთ, შევარბილოთ ენერგეტიკული კრიზისი. სწორედ ენერგეტიკაზე, ენერგოშემცვლელებზე იქნება დამოკიდებული არა მარტო ის, თუ როგორ გამოვიზამთრებთ, არამედ ისიც, თუ რას და როგორ ვაწარმოებთ. ეს არის მთავარი წყარო ჩვენი კეთილდღეობისა და სიმდიდრისა. ძალიან დიდი მუშაობა მიმდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საფინანსო ცენტრებთან, სხვადასხვა ქვეყნებთან, რომელთაც აქვთ საშუალება მოახდინონ გარკვეული სახსრების ინვესტირება საქართველოში ენერგეტიკული კრიზისის დასაძლევად, მიიღონ მონაწილეობა ელექტროსადგურების გამართვაში. სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს რუსეთთან. უნდა ვიფიქროთ რუსეთთან ერთიანი ენერგეტიკული სისტემის აღდგენაზე. უახლოეს წლებში რუსეთთან აზრიანი, გამართლებული კოოპერირების გარეშე ეკონომიკური კრიზისიდან ვერ გამოვალთ. მაშინაც კი, როცა ჩვენ განუსაზღვრელი დაფინანსება გვქონდა, ენგურჰესის აშენებას თითქმის 15 წელიწადი მოვანდომეთ. ხუდონჰესის დასამთავრებლად, თუ იქნება ინვესტიციები, მინიმუმ 7 წელიწადია საჭირო, ასეთი იქნება სხვა დიდი ელექტროსადგურების მშენებლობის ბედიც. ამიტომ, ალბათ, დაგვჭირდება უფრო სერიოზულად ვიფიქროთ რუსეთთან კოოპერირებასა და ინტეგრირებაზე ქვეყნის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

აქ უკვე ითქვა, რომ ყველა რაიონში არის მცირე ჰესების მშენებლობის გარკვეული შესაძლებლობები. ჩვენ ახლა მართლა ძალიან გვიჭირს. მაგრამ იმისთვის, რომ თელავში, და არა მარტო აქ, გადაწყდეს პრობლემა, გამოვძებნეთ საშუალება — თელაველებს მივცეთ უფლება გაიტანონ და გაყიდონ დაახლოებით 80 ათასი დეკალიტრი საკონიაკე მასალა და, შესაბამისად, შემოიტანონ ტურბინები უახლოეს მომავალში 10-12 მეგავატიანი მცირე ელექტროსადგურების ასაშენებლად. ეს, პრაქტიკულად, საკმარისია თელავის საწარმოების ამუშავებისათვის, იმისათვის, რომ მოსახლეობას ჰქონდეს შუქი და ნახოს ტელეგადაცემები. ამავე დროს თქვენ გექნებათ საშუალება მიხედოთ სხვა რაიონებსაც. უფრო მცირე, მაგრამ ამავე პრინციპით ჰესების აშენების გეგმები აქვთ ყვარელში, ლაგოდეხში, სიღნაღში. ასე რომ, არც ისე ცუდად არის საქმე, თუ ხელს გავანძრევთ და მოვიწადინებთ, არის საშუალებები, რაც შეიძლება მოკლე ვადაში გამოვიყვანოთ ქვეყანა ამ მძიმე მდგომარეობიდან.

(დასასრული მე-2 გვ.).

## საქართველო — ისრაელი: იწყება ახალი ურთიერთობის მშენებლობა

● მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბარუხ ბირემბაუმი.

ბატონმა ელჩმა სახელმწიფოს მეთაურს გადასცა ისრაელის პრეზიდენტის ოფიციალური მოწვევა.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ისრაელის ელჩს და პრეზიდენტს მოწვევისათვის, აღნიშნა, რომ დადგა დრო ორ სახელმწიფოს შორის დაიწყოს ახალი ურთიერთობის მშენებლობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება. იმედი გამოითქვა, რომ დაგეგმილი ვიზიტი ნაყოფიერი იქნება ორივე ქვეყნისათვის.

**სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.**

## ქართველ ომის ვეტერანთა

## დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა

**3 მაისს საქართველოს ვეტერანთა 30-კაციანი დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. გამგზავრების წინ მათ შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია და მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლები.**

დელეგაციას ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის გმირი, პროფესორი ირაკლი ციციშვილი. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ იაკობ კეზერაშვილმა პრემიერ-მინისტრს და სამთავრობო საიუბილეო კომისიას მადლობა გადაუხადა ომის მონაწილეთა მორალური თანადგომისა და მატერიალური დახმარებისათვის.

როგორც გენერალ-მაიორმა ნიკოლოზ კალაძემ აღნიშნა, ქართველი ვეტერანები მოსკოვში თანამებრძოლებთან ერთად შეხვდებიან რუსეთის ფედერაციის მთავრობისა და ვეტერანთა საბჭოს წარმომადგენლებს, დაესწრებიან მარშალ ჟუკოვის სახლ-მუზეუმის საზეიმო გახსნის ცერემონიას, მონაწილეობას მიიღებენ საზეიმო ღონისძიებებში.

**მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.**

სურათზე: გამგზავრების წინ.
გიორგი ცაგარლისა და ალექსანდრე იმედაშვილის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# და კვლავ ზეიმობს ერთობა და სიყვარული

### თბილისში დასრულდა მემედ აბაშიძის ხსოვნის დღეები

**გამოჩენილი** სახელმწიფო მოღვაწის მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს დედაქალაქში გამართული საიუბილეო ზეიმის დასკვნითი აკორდი გახდა ვერდის ოპერა „აიდა". რესპუბლიკის მთავარი სამუსიკო თეატრის სცენაზე 2 მაისს ეს ოპერა წარმოადგინა ბათუმის დასმა.

წარმატების სოლიდური განაცხადი გახდა ბათუმელთა პირველივე სპექტაკლი — ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", რომლის დადგმა რეჟისორ გ. ჟორდანიას ეკუთვნის. ამავე რეჟისორმა დადგა აგრეთვე რ. ლაღიძის ოპერა „ლელა", რომლის თბილისური პრემიერაც ასევე გულთბილად მიიღო დედაქალაქელმა მაყურებელმა. მესამე სპექტაკლის — ვერდის „აიდას" რეჟისორული ინტერპრეტაცია კი გიგა ლორთქიფანიძეს ეკუთვნის.

ბათუმელი მსახიობების გასტროლებს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ეს იყო მოვლენა, რომელმაც მიიპყრო მათი ყურადღება, ვინც ხელოვნებისაგან მხატვრულ აღმოჩენებს მოელის. თუ რამდენად დიდი იყო მაყურებლის ინტერესი, ამას, თავისთავად, მოწმობს ასეთი ფაქტი: ყველა სპექტაკლი ანშლაგით მიმდინარეობდა. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული აკადემიური თეატრი ვერ იტევდა ბათუმელთა სპექტაკლის ნახვის ყველა მსურველს. მაყურებლები იდგნენ ფეხზე, ისხდნენ კიბეებზე. დარბაზი ოვაციითა და „ბრავოს" შეძახილებით ხვდებოდა მსახიობთა გამოსვლებს.

დიდხანს არ ცხრებოდა ტაშის გრიალი გამოსათხოვარი სპექტაკლის დროს. ვერდის მუსიკის ძალითა და სილამაზით შთაგონებულმა თანამოაზრე — ხელოვანთა შემოქმედებითმა კავშირმა კიდევ ერთხელ აზიარა მაყურებელი მსოფლიო სამუსიკო კულტურის საგანძურს.

დამდგმელი — დირიჟორის დ. მუქერიას ოსტატობამ და შთაგონებამ, გ. ლორთქიფანიძის საინ-

(დასასრული მე-2 გვ.).

### ედუარდ შევარდნაძეს!

თბილისი.

**პატივცემულო** ედუარდ ამბროსის ძევ,

გულითადად გილოცავთ ალექსანდრე კორსანტიას გამარჯვებას რუბინშტეინის სახელობის კონკურსზე.

მოხარული ვარ საქართველოს წარმატებისა. საქართველო ცოცხლობს და მარად იცოცხლებს.

გულწრფელად თქვენი

ა. გოვინი,
რუსეთის ელჩი ისრაელში.

### ლევან ხაინდრავას ოჯახს

გულწრფელად ვწუხვარ შესანიშნავი მწერლის, ჭეშმარიტი პატრიოტისა და მრავალტანჯული ადამიანის, ბატონ ლევანის გარდაცვალების გამო.

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი სამძიმარი.

ჩვენ, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა, უნდა ავაშენოთ ის საქართველო, რომელზეც ბატონი ლევანი ოცნებობდა.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

ედუარდ შევარდნაძე.

# მთელმა საქართველომ უნდა გაიგოს, რომ კახელები ფეხზე დადგნენ, დამნაშავეები კახეთში ვეღარ ითარეშებენ

(დასასრული)



სურათზე: სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა კვირაიამ დაათვალიერეს კახეთის რეგიონში ამოღებული იარაღის ექსპოზიცია.
სერგო ედიშერაშვილის ფოტოები. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამას წინათ საქართველოში დიდი სტუმრობა იყო. ჩამობრძანდა ირანის პრეზიდენტი, გვეწვია ძალიან ავტორიტეტული დელეგაცია ამერიკიდან, მუდმივი მოლაპარაკებები გვაქვს უკრაინასთან, რუსეთის ხელმძღვანელობასთან იმ მიზნით, რომ ის მაგისტრალები, რომლებიც საქართველოზე გადის (საავტომობილო, სარკინიგზო, საავიაციო და სხვა), აგრეთვე ჩვენი ნავსადგურები, გამოვიყენოთ ნავთობსადენების, სხვადასხვა ტვირთების გადასაზიდად. ყველაფერი ეს საქართველოს დამატებითი შემოსავლების მიღების დიდ პერსპექტივას უქმნის.

აქ თბილისის მერმა ზოგიერთი რამ უკვე თქვა, მაგრამ მე უფრო გაბედულად ვიტყოდი, რომ ერთი წლის წინათ, მაგალითად, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ქალაქს თავისი ბიუჯეტი ექნებოდა. ახლა სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების 60 პროცენტი სწორედ დედაქალაქს შეაქვს, 9 ტრილიონ კუპონზე მეტი თავად ქალაქის ბიუჯეტში შედის და ეს ხდება პროფესიონალიზმის, მონდომებისა და მუდმივი მუშაობის შედეგად, ქალაქს მიეცა შესაძლებლობა იზრუნოს საკუთარი სახსრებით გათბობაზე, განათებაზე, დასუფთავებაზე, პედაგოგებისათვის ხელფასის გადახდაზე, თეატრების, უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსებაზე. ხალხმა ისწავლა მუშაობა, ქალაქი ქალაქს ემსგავსება.

ადრეც არაერთხელ მილაპარაკია აჭარის, ქუთაისის შესახებ. ქუთაისში პროფესორი ას დოლარზე ნაკლებ ხელფასს არ იღებს, ჩვენს პირობებში ასი დოლარი ფულია. ასევე არიან მასწავლებლები, საბავშვო ბაგები, ბაღები. და ეს ყველაფერი ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე. პირველი, რაც ქუთაისში გააკეთა ქალაქის მერმა, ის იყო, რომ დაუძახა ეგრეთ წოდებულ „კანონიერ ქურდებს" და უთხრა, თქვენ ქუთაისში ფეხს ვერ მოიკიდებთ, მუშაობა თუ გინდათ, იმუშავეთ, თუ არა — მე ვარ თქვენი პირველი მტერი. და, მართლაც, 3-4 თვეა, რაც ქუთაისში ერთი მანქანაც არ გაუტაციათ. რა აქვს ქუთაისს ისეთი, რაც არ არსებობს კახეთში. თუ იქნება ორგანიზება, მონდომება და პროფესიონალიზმი, საქმე გამოვა. გარწმუნებთ, რომ კახეთში ყოველმხრივ, განსაკუთრებით წესრიგის დაცვის საქმეში, გაცილებით მეტი რესურსებია, ვიდრე შორიდან ჩანს.

პოლიცია უკვე გარკვეული ძალა გახდა. შინაგან საქმეთა მინისტრი ერთი წლის წინათ ვერ განაცხადებდა, რომ საქართველოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია პოლიციას დაუპირისპირდეს. აქ 2.500 შეიარაღებული და ტექნიკით აღჭურვილი კაცი ჩამოვიდა, ხოლო თბილისში როცა საჭირო გახდა, ოპერაციაში 5.000 კაცი მონაწილეობდა. ამაზე რამდენიმე წლის წინათ ლაპარაკიც არ შეგვეძლო, დღეს უკვე პოლიცია სერიოზული ძალაა. ასევეა უშიშროების სამსახურიც, რომელიც დანგრეული და დაშლილი იყო. იმ ავანტიურის შედეგად, რომელიც მათ აგვაცილეს თავიდან, კაცმა არ იცის, რა დღეში იქნებოდა დღეს საქართველო. ახლა პარლამენტში ვიღაც-ვიღაცეები სხვანაირად მღერიან, უნდათ გამოუშვან დამნაშავეები, იმისთვის, რომ შეიქმნას ახალი შეიარაღებული რაზმები, ითარეშონ, ისევ ქაოსსა და წუმპეში ჩაგვითრიონ. ვერ ეღირსებიან. უშიშროება უშიშროებას დაემსგავსა.

მე სპეციალურად წამოვიყვანე თავდაცვის მინისტრი, ჩვენ ხშირად დავდივართ სამხედრო ნაწილებში. ვნახე ახალგაზრდები, რომლებიც მსახურობენ ქართულ ჯარში. გულს უხარია ამ ბიჭების ნახვა. ეს უკვე ისინი აღარ არიან, რომლებიც იარაღით დათარეშობდნენ ქუჩა-ქუჩა. არმიის შემადგენლობაში ძალიან მძლავრ ძალად შევიდა გვარდია. ის რაც მოსაცილებელი იყო, მოაცილეს, გაასუფთავეს, და დარჩა ხალასი ძალა, საკმაოდ კარგად შეიარაღებული. ჩვენი გადაწყვეტილება, რუსეთთან ორმხრივი სასარგებლო ურთიერთობის განვითარების შესახებ, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა, ერთ წელიწადში ქართული ჯარი ფეხზე დადგება, უკვე შეიქმნა ამისათვის აუცილებელი პირობები და იწყება ნამდვილი არმიის შექმნა. არის თუ არა ეს ქვეყნის აღმშენებლობის, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი? 26 მაისს გაიმართება სამხედრო პარადი და თქვენ ყველა დაინახავთ, რომ ეს უკვე სხვა ჯარია, თითოეულ თქვენგანს, თითოეულ ოჯახს შეუძლია იამაყოს იმით, რომ საქართველოში ასეთი არმია იბადება.

ასევე მინდა შევეხო პროკურატურის მუშაობას. ურთულეს საქმეებს იძიებენ, თუნდაც, გამოძიება ლოთი ქობალიას და მისი თანამზრახველების საქმისა, რომელიც სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დიდი დანაშაული, კანონიერი ხელისუფლებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყება იყო. თქვენ კარგად იცით, რა დაგვიჯდა იგი. ის, რაც დასავლეთ საქართველოში მოხდა, აფხაზეთის დაკარგვის უმთავრესი მიზეზი გახდა. ამ საქმის და სხვა ცნობილი ტერორისტული აქტების გამოძიება იმედს იძლევა, რომ პროკურატურაში სასიკეთო ტენდენციები განვითარდება.

ჩვენ შევქმენით ზოგიერთი საკონტროლო სისტემა. ბევრი მათგანი დასაშლელია, ბევრიც — შესამცირებელი. ქვეყანაში, რომელიც საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზით მიდის, არ არის საჭირო ამდენი კონტროლიორი და შემმოწმებელი. იქმნება პარაზიტული ფენა, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: განივითაროს ყნოსვა და მოიძიოს, სად რა საწარმოებაა, რომ როგორც წურბელამ ამოწოვოს სისხლი. დღეს გავიგე, რომ მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით ვაჭრობის სამინისტროსთან შეიქმნა ხარისხის ინსპექცია. რად უნდა კიდევ ერთი ახალი ინსპექცია ვაჭრობის სამინისტროს, რომელსაც აღარც მაღაზიები აქვს და აღარც საქონელი?! ამ საკითხზე ძალიან სერიოზული საუბარი გვექნება. იმდენი კონტროლიორი უნდა გვყავდეს, რომ ზედმეტ ტვირთად არ დააწვეს ქვეყანას და იმ ადამიანებს, რომლებმაც პროდუქცია უნდა შექმნან.

ბევრი რამ გაკეთდა რეფორმის თვალსაზრისით. ჩვენ ვერ ვივლით ეკონომიკური განვითარების გზით მანამ, სანამ რეფორმებს არ განვახორციელებთ. ამავე დროს რეფორმები გარკვეული დახმარების, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან კრედიტების მიღების გარანტიაა. მაგრამ აქაც ბევრი შეცდომა დავუშვით. სავსებით სწორად აღინიშნა, რომ მიწის პრივატიზაცია, რომელიც საქართველოში განხორციელდა, იყო დანაშაული. არ უნდა დაგვენგრია ამდენი სახელმწიფო მეურნეობა, კოლმეურნეობა, თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გადაგვეყვანა ისინი ახალ რელსებზე, უნდა შეგვენარჩუნებინა ტექნიკა, კადრები, მიწის დამუშავების ის კულტურა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში იქმნებოდა ჩვენში. რა თქმა უნდა, წლეულს მეტია დამუშავებული, დათესილი, ვიდრე შარშან, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც ათი წლის წინათ იყო, ეს, ალბათ, ქვის ხანაა. გამოდის, რომ ყოველივე ეს მხოლოდ იმისათვის დავკარგეთ, რომ გვეთქვა — განვახორციელეთ მიწის პრივატიზაცია. მიწა კი მივეცით, მაგრამ გლეხი ჯერ ხომ მისი მესაკუთრე არ არის. ესე იგი, უნდა შეიქმნას კანონი მიწის შესახებ. არადა, ჯერ ეს კანონი უნდა მიღებულიყო, რას იზამ, მაშინდელი გადაწყვეტილებები პოპულისტური იყო, მაგრამ წისქვილს უკან ვეღარ დავაბრუნებთ. ამიტომ ხელი უნდა შევუწყოთ გლეხობას, სოფლებს, რომ ის, რაც დარჩა, შევინარჩუნოთ, განვავითაროთ. ამას წინათ სიღნაღის გამგებელმა განაცხადა, რომ დაიწყეს კოოპერატივების შექმნა. ალბათ, ეს სწორი გზაა, რადგან ერთ კაცს არ შეუძლია მარტომ დათესოს, მოუაროს, მოიყვანოს, დააბინავოს, შემდეგ გაიტანოს და გაყიდოს. ამიტომ უნდა შევუწყოთ ხელი გაერთიანების, კოოპერირების პროცესს, განსაკუთრებით ტექნიკით, შხამქიმიკატებით, საწვავით მომარაგების თვალსაზრისით. ყოველივე ეს ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დღის წესრიგში დგას.

მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ ვენახებთან დაკავშირებით. ალბათ, დიდი უბედურება არ არის, თუ სადმე რამდენიმე ჰექტარი განსაკუთრებით გადაბერებული ვენახი გაიჩეხა. 3-4 წელიწადში შეიძლება ახალი გაშენდეს. მაგრამ მინდა მოგიწოდოთ, ნუ ჩაიქნევთ ვენახებზე ხელს. დღეს ქართულ ღვინოზე უზარმაზარი მოთხოვნილებაა რუსეთში. ერთი წლის წინათ ლაპარაკობდნენ, რომ რუსეთი გაივსო იტალიური, ფრანგული ღვინოებით. აღარ არის ასე. რუსეთისთვის ცეცხლის ფასად ამ ღვინოების შეტანაზე ბევრად ხელსაყრელია საქართველოდან შესული ღვინო, რომელიც ხარისხით, შემადგენლობით და თვისებებით არც ერთ ცნობილ ღვინოს არ ჩამოუვარდება. ახლაც რომ გვქონდეს გატანის საშუალება, მივაწვდიდით 10-15 მილიონ ბოთლს, მაგრამ ტრანსპორტირების პრობლემა გვიშლის ხელს, თუმცა ჩეჩნეთის ამბების დამთავრების შემდეგ გაიხსნება გზა აზერბაიჯანზე და საქართველოში აღდგება სარკინიგზო მოძრაობა. ძალიან აქტიურად მიმდინარეობს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პროცესი. ინტენსიური მუშაობაა ამ მხრივ რუსეთის ხელმძღვანელობაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში. კონფლიქტის მოგვარებით მეორე გზაც გაიხსნება და აღარ იქნება ძნელი ჩვენი პროდუქციის გატანა. ამიტომ ვენახს გავუფრთხილდეთ, გადავარჩინოთ, ერთი-ორი წლის შემდეგ მას ოქროს ფასი ექნება. მე გთხოვთ, დაიმახსოვროთ ეს სიტყვები.

არ შემიძლია არ გამოვეხმაურო პედაგოგების გაფიცვას. ჯერ ერთი, მიმაჩნია, რომ არც განათლების სამინისტროა თავის ადგილზე, არც რაიონის გამგებელი, არც აქაური განათლების ორგანოები და არც ფინანსისტები. ძალიან გვიჭირს, მაგრამ რაც გათვალისწინებულია ბიუჯეტში, უნდა გადავუხადოთ პედაგოგებსაც, ექიმებსაც და სხვებსაც, იმდენი შემოსავალი კი გვაქვს, რომ ეს ანგარიში გავუსწოროთ ხალხს. ესე იგი, ან ფინანსთა სამინისტროშია შეცდომა დაშვებული, ან უყურადღებობასთან გვაქვს საქმე. მე თქვენ პირობას გაძლევთ, რომ ეს გამოსწორდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ გაიფიცეთ. გაფიცვის შიშით არავინ არაფერს გააკეთებს. ეს დრო დამთავრდა. არავითარი შანტაჟი, მოთხოვნები და ულტიმატუმები არ არის საჭირო იმისათვის, რომ მოსახლეობას მივცეთ ის, რაც გვაქვს. თუ არ არის ამის შესაძლებლობა, რამდენი გაფიცვა, მიტინგი და დემონსტრაციაც უნდა მოეწყოს, ვერაფერს გავცემთ. ამიტომ ყველას საყურადღებოდ ვამბობ: ვიცი, შეწუხებული ხართ და უნდა დაგეყენებინათ ეს საკითხი, მაგრამ საქართველოში გაფიცვებით საქმის გაკეთება წარმოუდგენელია და არც შეიძლება. საერთოდ, კატეგორიულად მინდა გავილაშქრო ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების პოლიტიზაციის წინააღმდეგ. თქვენ იცით, რომ თბილისში გაკოტრდა რამდენიმე ფირმა, რომლებიც, პრაქტიკულად, სპეკულანტობდნენ. მოსახლეობამ ჩააბარა თავისი დანაზოგები — 20 მილიონი დოლარი, მათ კი ეს ფული გაფლანგეს. რუსეთშიც მოხდა ამგვარი შემთხვევები. და, როცა დაიწყეს გაფიცვები და დემონსტრაციები, ისე გარეკეს, ერთი კაპიკიც არ გადაუხადეს. სახელმწიფო არ არის ვალდებული რაიმე გადაიხადოს. მაგრამ ჩვენ მაინც ვეძებთ საშუალებას — მსოფლიო ბანკს, სავალუტო ფონდს მივმართეთ, რომ როგორმე დავეხმაროთ ამ ხალხს. ახლა მათ შეუერთდნენ პოლიტიკური პარტიები და დაიწყო საპროტესტო მოძრაობა. თუ ეს არ შეწყდება, კაპიკს ვერ მიიღებენ. ჩვენ იმიტომ კი არ ვაძლევთ, რომ გვეშინია ან ვიღაცის პროტესტმა დაგვაფრთხო, ჩვენ გაძლევთ, რადგან გიჭირთ, არაფერი სხვა სახსარი არ გაგაჩნიათ და ეს იყო თქვენი ერთადერთი იმედი.

რაც შეეხება კახეთში განხორციელებულ ოპერაციას, მინდა შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროებს, უშიშროების სამსახურს, ადგილობრივ თანამშრომლებს მადლობა გითხრათ ამ სერიოზული ღონისძიების დაწყებისათვის. მიმაჩნია, რომ ეს არის დასაწყისი დიდი მუშაობისა, რომელიც ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. რა თქმა უნდა, მთელი სიმძიმე ადგილობრივ ხელმძღვანელობაზე იქნება, მაგრამ რესპუბლიკური უწყებები არ უნდა მოეშვან საქმეს მანამ, სანამ კახეთში სრული წესრიგი არ დამყარდება. ეს სავსებით შესაძლებელია.

სხვა რეგიონებში უკვე არის რეალური და კონკრეტული შედეგები. თბილისში შეუძლებლად მიაჩნდათ ეგრეთ წოდებული „კულინარების", ვითომ საძმოების, ოცეულების პრობლემის გადაწყვეტა. ორ დღეში აკრიფეს და დამთავრდა ეს უბედურება. ბევრი ამბობდა, რომ თუ მათ ხელს ვახლებდით, პოლიციას დაესხმებოდნენ თავს, აიკლებდნენ, როგორც აქ ითქვა, კონფრონტაციაში შევიდოდნენ. ვისთან შევლენ კონფრონტაციაში? ეს აღარ არის ის პოლიცია, რომელთანაც ადრე შეიძლებოდა დაპირისპირება. უშიშროების სამსახურში არის კბილებამდე შეიარაღებული და გაწვრთნილი ბრიგადა, რომლის მსგავსი ყოფილ საბჭოთა კავშირში შეიძლება ბევრი არ იყოს. ასევე კბილებამდე შეიარაღებული სპეციალური დანიშნულების რაზმებია დღევანდელ პოლიციაში. თავდაცვის სამინისტროზე არ ვლაპარაკობ ახლა. ყველამ გაიგოს და შეიგნოს, რომ არის სახელმწიფო და მასთან კონფრონტაციაში ვერავინ ვერ შევა.

კახეთი ჩვენი სიამაყეა. ეს დემაგოგია და პოპულიზმი როდია, როცა ვამბობ, რომ კახეთი საქართველოს ძლიერების ბურჯია, მინდა, რომ კახეთმა შეინარჩუნოს მისთვის ისტორიულად დამახასიათებელი კოლორიტი, საოცარი შრომის უნარი, შრომისმოყვარეობა, გამტანობა და სიმდიდრე. მაგრამ მინდა, რომ კახეთი წესრიგის მხრივაც სანიმუშო იყოს. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ კახელები დაბეჩავდნენ. ვინ არის ეს მადლენა, რომლის შიშითა და ბრძანებითაც გურჯაანის გამგებელი თანამდებობაზე ნიშნავდა ხალხს, შეჭამა გურჯაანი და თელაველებიც გვარიანად შეაწუხათ.

რამდენიმე სიტყვა მაშველთა კორპუსზე. მე გულწრფელად მჯეროდა მათი, რადგან მე ამ ბიჭებთან ერთად ვიყავი სოხუმში და ყველაფერში გამოვცადე. რასაკვირველია, ყველა ისე იბრძოდა, როგორც შეეძლო, მაგრამ ეს იყო განსაკუთრებული ჯგუფი, და, სიმართლე გითხრათ, არ ვყოფილვარ და არც შემიძლია ვიყო გულგრილი მათ მიმართ. მე მინახავს ეს ხალხი ბრძოლაში, შრომაში, ერთგულებაში. მაგრამ ის, რაც დღეს გვაქვს, არ არის მაშველთა კორპუსი. თუ ასე გაგრძელდება, დაე, მაპატიონ ჩემმა მეგობრებმა, ჩვენ მას დავშლით. მე არ შემიძლია ვუღალატო მეგობარს და თქვენ ყველა ამ პრინციპის ხალხი ხართ, მეგობარი და მეგობრული გრძნობა ჩემთვისაც წმიდათაწმიდაა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად არ შემიძლია ვუღალატო ქვეყანას. ამიტომ იცოდეთ, ვინც უნდა იყოს და რა ძალაც უნდა იყოს, წინაღვუდგები, არავის მივცემ უფლებას, ითარეშოს საქართველოში. არ შეიძლება ამის დაშვება!

საიდან გაჩნდა 10 მილიონი მანეთი, პედაგოგებს რომ დაურიგდა? სახელმწიფოს მეთაურს რაც ეკუთვნის ბიუჯეტიდან, ის არ შემიძლია რომ მივცე და სხვა როგორ აძლევს ამას? თუ ვინმე ამბობს, რომ კეთილია და ხალხს ფულს ურიგებს — ტყუის. ეს ყველაფერი სახელმწიფოსია, ხალხის საკუთრებაა. საიდან შემოიტანეს ფქვილი, რომელიც დაარიგეს, მოსავალი მოიყვანეს? გეტყვით, საიდანაც (არის სტრუქტურები, რომლებიც მუშაობენ და მაძლევენ საჭირო ცნობებს): საგარეჯოს პურკომბინატის საქმეებს წყვეტს საგარეჯოს რაიკავშირის თავმჯდომარის მოადგილე. ის არის ყველაფრის გამგებელი და ბატონ-პატრონი. იმ გამგებელს კი, რომელიც აქ ხელისუფლების წარმომადგენელია და რომელსაც წინასწარ ვუთხარი, რომ გავაკრიტიკებდი, კი არ გავაკრიტიკებ — გადავაყენებ. შესანიშნავად იცის, ვის ეკუთვნის მანავის ღვინის ქარხანა, მაგრამ ერთხელაც არ ჩამოსულა და არ უთქვამს, რომ აიძულეს დაენიშნა. თუნდაც გეწყინოთ, გეტყვით: ან დადგებით თქვენს ადგილას და გააკეთებთ თქვენს საქმეს, ანდა — დამთავრდა.

კახეთში საწარმოებისგან მოითხოვენ 50 პროცენტს და მეტსაც. ამიტომაც ბევრი დირექტორი, ალბათ, არჩევს არ იმუშაოს, არაფერი შექმნას და იყოს ისე, რომ სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაიგდოს. ეს არის მტრობა და ღალატი (არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ უნდა ვთქვა). ყველა, როგორც შეგვიძლია, მობილიზებული უნდა ვიყოთ, რომ რაღაც შეიქმნას. ამასწინათ ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა მითხრა, რომ თბილისში 70-მდე პატარა საწარმო შეიქმნა. ეს ნიშნავს, რომ ცხოვრება დაიწყო. აქ კი ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ წარმოება არ ამუშავდეს, და, თუ ამუშავდა, სული ამოხადონ. უნდა დამთავრდეს ეს ამბავი, ძმებო და მეგობრებო, არავითარ შემთხვევაში არ შეგვერგებათ! სახელმწიფო სახელმწიფოა და იგი ვერ იქნება ვერც დემოკრატიული და, თუ გნებავთ, ვერც დიქტატორული, თუ ელემენტარული წესრიგი არ დამყარდება. ვინც წესრიგს ვერ შეეჩვევა, იმას თავისი მიეზღვება. ვიღაც „მაჭახელამ" აიკლო კახეთი. 2 ადამიანის სიცოცხლეა მის სინდისზე. რატომ თქვენ თვითონ არ მოიყვანეთ და არ ჩააბარეთ. ახლა მეუბნებიან, ის ხალხი, მან რომ დახოცა, დასახოცი იყოო. რას ჰგავს ეს!

ბევრი იტყვის, ალბათ, რომ პოლიციაშიც არ არიან ანგელოზები, პოლიციელებიც ქურდობენ, სჩადიან დანაშაულს. მინისტრმა ახსენა, რომ 350 პოლიციელი ზის და იხდის სასჯელს. ვიდრე პოლიციაში თვითგაწმენდის პროცესი გრძელდება, ბატონ კვირაიას ექნება ხელისუფლების, სახელმწიფოს მეთაურის და ხალხის მხარდაჭერა. თუ ეს პროცესი შეწყდება და პოლიციის რიგებში ქურდობა, მექრთამეობა და ბანდიტობა დაკანონდება, მაშინ ასეთი მინისტრი არ დაგვჭირდება. მაგრამ ზოგიერთებს სხვა კანონები უნდათ, რომლებსაც ჩვენ არ ავყვებით. სახელმწიფოს ინტერესები უმაღლესია ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის.

მე დავუშვი საშინელი შეცდომა (აქ კახეთში საქვეყნოდ ვაღიარებ ამას), როცა რუსთავის გამგებლობასა და ჩემს რწმუნებულს დაესხნენ თავს და მე მათ ვაპატიე. ახლა უარესი მოხდება, თუ არ შეჩერდებით! სახელმწიფოს მეთაურის ამ მოთხოვნას თქვენ უნდა დაემორჩილოთ.

მინდა ვთხოვოთ ბატონ შოთა კვირაიას, რომ კახეთის რეგიონულ პოლიციაში იმუშაონ კარგად ორგანიზებულმა, მობილიზებულმა გაწვრთნილმა და შეიარაღებულმა პირებმა. ასევე უნდა მივხედოთ რაიონებს. მივესალმები სიღნაღის რაიონის გამგებლის განცხადებას, რომ თავიანთი ბიუჯეტით შეუძლიათ იყოლიონ მუნიციპალური პოლიცია, შეარჩიონ კარგი ბიჭები და კარგადაც აუნაზღაურონ. მაგრამ ამის პარალელურად კახეთში უნდა შეიქმნას ისეთი განწყობილება, რომელიც აქ ტრადიციულად იყო. ერთ დროს კაკაბეთის ზარებმა შეაზანზარა, შეაჟრჟოლა მთელი საქართველო და შეწყდა ბავშვების, ადამიანების მოტაცება. მე მგონი, დღევანდელ შეხვედრას, კახელებთან საუბარს, კაკაბეთის ზარების მსგავსი შედეგი უნდა მოჰყვეს. მთელმა საქართველომ უნდა გაიგოს, რომ კახელები დადგნენ ფეხზე და დამნაშავეები ვერ ითარეშებენ კახეთში. როგორ შეიძლება კახეთი შეეგუოს იმას, რაც მომწერა ალავერდის ეპისკოპოსმა. 17 აპრილს, ღამის 11 საათზე, ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულმა 8 ნიღბიანმა მძარცველმა დაარბია ალავერდის ეპარქიის ახალი შუამთის დედათა მონასტერი. კონდახებით სცემეს მონასტრის წინამძღვარი და ბერები, გაიტაცეს 8 ტონამდე ჰუმანიტარული დახმარების პროდუქტები. არ ვიცი, რა ჰქვია ამას, თუ რამე ზარი იყო დასარეკი, უნდა დარეკილიყო და განგაში უნდა ატეხილიყო. როგორც იქნა, საქართველო შემობრუნდა ღმერთისაკენ, სარწმუნოებისაკენ. რა ქრისტიანია ან რა ადამიანია ის, ვინც ამას ჩაიდენს! მოდით, ერთად მოვკიდოთ ხელი, ერთად გავასუფთაოთ ჩვენი საზოგადოება ასეთი ხალხისაგან. ყვარელში არის 8-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც არსად არ არის რეგისტრირებული, მაგრამ ერთხელ არ დაუჩივლია გამგებელს. ვინ არის ეს ჯგუფი, რატომ არ ამხელთ? ისინი იმისათვის არიან, რომ საქართველოს სიმდიდრე — 10-20-წლიანი საკონიაკე მასალები, წვეთ-წვეთად რომ ვაგროვებდით, დაიტაცონ. ვავალებ ბატონებს კვირაიას, გიორგაძეს, თუ საჭიროა სხვაც დაიხმარონ და ერთ კვირაში შეისწავლონ საქმე, ეს ხალხი იზოლირებული უნდა იყოს საზოგადოებისაგან.

ყველაფერს იშველება, თუ თქვენ სახელმწიფოსი გჯერათ და მხარში ამოუდგებით მას. მინდა ყველას გწამდეთ, რომ ჩვენ სწორედ ერთად შევებრძოლებით ყოველგვარ ბოროტებას, ვისგანაც უნდა მოდიოდეს, დავძლევთ მას და ავაშენებთ მართლაც ერთიან, მართლაც შეძლებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოს.

• • •

**კახეთი** იმას, რაც ხდებოდა დღემდე, აღარ მოითმენს. ფეხზე დამდგარი ხალხი კატეგორიულად მოითხოვს უკომპრომისო ბრძოლას დაუსჯელობით გაზულუქებულ დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ. კახელი კაცი აღარავის აპატიებს მისი ღირსების აბუჩად აგდებას, მისი შრომის ნაყოფის გაცამტვერებას, მშობლიური კუთხის საუკეთესო ტრადიციების ფეხქვეშ გათელვას. განწყობილება, რომელიც სუფევდა სხდომის დროს დარბაზში, ამ სულისკვეთების ნათელი გამოხატულება იყო. იმედის ის პატარა ნაპერწკალი, რომელიც კახეთში ფეხმოკიდებულმა განუკითხაობამ და იარაღიან თუ უიარაღო ყაჩაღთა თარეშმაც ვერ ჩაკლა, ამ შეხვედრამ კიდევ უფრო გააღვივა.

საზოგადოების გაწმენდისა და გაჯანსაღების პროცესი შეუქცევადი უნდა იყოს და ამ საშვილიშვილო საქმეში სამართალდამცავ ორგანოებს არავითარი გადახრა და უკან დახევა არ უნდა ეპატიოს. მას, ვინც ხალხსა და სამშობლოს აბუჩად აიგდებს, ყველამ უმკაცრესი განაჩენი უნდა გამოუტანოს — ასე ფიქრობს დღეს მოთმინებადაკარგული კახეთი და ასეთივე შეურიგებლობისაკენ მოუწოდებს სრულიად საქართველოს ქართველი ერისადმი კახელების მიმართვაში.

**მაია ალუდაური.**
საქინფორმის კორ.

---

# საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
# დადგენილება

## ქ. თბილისის მოსახლეობის პურით მომარაგების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 8 მარტის 192 დადგენილებით ქ. თბილისის მოსახლეობის პურ-ფუნთუშეულით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, თბილისის წისქვილქარხნის წისქვილი გადაყვანილ იქნა ერთი ხარისხის „თბილისური" ფქვილის წარმოებაზე, ხოლო თბილისის პურპროდუქტების კომბინატის წისქვილი — ორხარისხიან „უმაღლესი" და „თბილისური" ფქვილის დაფქვაზე.

ერთხარისხიან ფქვილის წარმოებაზე გადაყვანით თბილისის წისქვილქარხანას 3 პროცენტით შეუმცირდა ფქვილის საერთო გამოსავლიანობა, ხოლო თბილისის პურპროდუქტების კომბინატს — 5 პროცენტით უმაღლესი ხარისხის ფქვილის წარმოება.

„თბილისური" ფქვილიდან გამომცხვარი პურის ხარისხმა და მასზე დადგენილმა ფასმა გამოიწვია მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება, ვინაიდან ფქვილი „თბილისური" უფრო დაბალი ხარისხოვანი მაჩვენებლებისაა, ვიდრე პირველი ხარისხის ფქვილი, მისგან გამომცხვარი პურის ფასი კი, პრეისკურანტით დამტკიცებულია, როგორც პირველი ხარისხის ფქვილისაგან გამომცხვარ პურზე.

ქალაქ თბილისის მოსახლეობის პურით მომარაგების გაუმჯობესებისა და წისქვილწარმოების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის წინადადება და 1995 წლის 1 მაისიდან თბილისის წისქვილსაწარმოები გადაყვანილ იქნენ უმაღლესი, პირველი და მეორე ხარისხის ფქვილის წარმოებაზე, რისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციამ (ა. ბურჯანაძე):

— თბილისის წისქვილქარხნის წისქვილი გადაიყვანოს 75 პროცენტიდან 78 პროცენტამდე ფქვილის გამოსავლიანობაზე პირველი და მეორე ხარისხის ფქვილის — უმაღლესი, პირველი და მეორე ხარისხის ფქვილის გამოშვებაზე;

1995 წლის 5 მაისიდან თბილისის პურის ცხობის საწარმოებს მიაწოდოს უმაღლესი, პირველი, მეორე ხარისხის და ცეხვილი ფქვილი.

2. გაუქმდეს „ქალაქ თბილისის მოსახლეობის პურით მომარაგების გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 8 მარტის 192 დადგენილება, გარდა მე-5 პუნქტისა.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
**ო. ფაცაცია.**

---

# ოფიციალური ქრონიკა

## ევროკავშირი კმაყოფილია

**ბენილუქსის** ქვეყნებში და ევროკავშირთან საქართველოს რესპუბლიკის ელჩმა ზურაბ აბაშიძემ ბრიუსელიდან გვაცნობა, რომ დასასრულს უახლოვდება ევროკავშირის ჰუმანიტარული აქცია, რომლის განხორციელების დროსაც საქართველოში, ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანში შემოიტანეს ხორბლისა და საკვები პროდუქტების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ამ აქციის მასშტაბებს უპრეცედენტოდ მიიჩნევენ.

ევროკომისია განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამს ამ რთულ ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობით, კერძოდ, მინისტრთა კაბინეტთან შექმნილი საგანგებო მაკოორდინებელი კომისიის საქმიანობით, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია ხელმძღვანელობს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ კომისიის ყოველდღიურმა, ქმედითუნარიანმა, ეფექტიანმა მუშაობამ ბევრად განაპირობა აქციის წარმატება.

## თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე

**გაიმართა** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელსაც უძღვებოდა თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე. კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდა რესპუბლიკის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე.

თავდაცვის სამინისტროში სამხედრო სამეცნიერო ჯგუფის შექმნის თაობაზე მოხსენება გააკეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გენერალ-მაიორმა გურამ ნიკოლაიშვილმა, პარლამენტარმა ნოდარ ნათაძემ გამოთქვა აზრი სამხედრო მრეწველობისა და მეცნიერების განვითარების შესახებ, რომელიც, მთლიანად, კოლეგიის წევრთა აზრს დაემთხვა.

განიხილეს პოლკოვნიკ იოსებ ბარნაბიშვილის საკითხი, რომელიც სამსახურში გამოუცხადებლობისა და სამხედრო საწესდებო მოთხოვნილებების უხეში დარღვევის გამო, დაითხოვეს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

საინჟინრო ჯარებში შექმნილი ვითარების შესახებ მოხსენებები გააკეთეს თავდაცვის მინისტრის მოადგილეებმა — გენერალმა გუჯარ ყურაშვილმა და პოლკოვნიკმა თემურ ქავთარაძემ, მათ პრინციპულად შეაფასეს საინჟინრო ჯარებში გამოვლენილი ნაკლოვანებები.

კოლეგიის გადაწყვეტილებით, სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის სარდლის თანამდებობაზე დაინიშნა პოლკოვნიკი ემზარ ჰოჭუა.

---

# რას წერს ევროპის პრესა

## ენერგოშემცველების პრობლემა

**დასავლეთის** პრესაში გახშირდა პუბლიკაციები კასპიის ზღვისა და შუა აზიის ენერგოშემცველებთან დაკავშირებული პროექტების თაობაზე, რომლებშიც საქართველოც ფიგურირებს. 28 აპრილის „ინტერნეიშნელ ჰერალდ ტრიბიუნის" ვრცელ სტატიაში განხილულია ამ პროექტებისადმი რუსეთის, თურქეთის, ირანისა და დასავლეთის დამოკიდებულება. კერძოდ, აღნიშნულია, რომ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში ამ საკითხთან დაკავშირებით, ბოლო პერიოდამდე ამ უკანასკნელს ჰქონდა უპირატესობა. ა. წ. იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა თურქეთში განაცხადა, რომ ვაშინგტონი ემხრობოდა აზერბაიჯან-თურქეთის ნავთობსადენის შექმნას, რაც აშკარად მიუთითებს ამერიკის გეოსტრატეგიულ გადაწყვეტილებაზე მხარი დაეჭირა შუა აზიისა და აზერბაიჯანის რუსეთისაგან დისტანცირებული პოლიტიკისათვის. ამას დაემატა მარტის ბოლოს აზერბაიჯანთან თურქეთის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თურქეთის მხარეს მიენიჭა 5 პროცენტიანი მონაწილეობა საერთაშორისო კონსორციუმში, მაგრამ რუსეთმა განახორციელა კონტრშეტევა, რაშიც მას ირანმა დაუჭირა მხარი. მარტის ბოლოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ა. ზაიცევმა განაცხადა სტამბოლში, რომ აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ნოვოროსიისკის გავლით და რომ კასპიის ზღვასთან დაკავშირებული ყველა პროექტი მოითხოვს რუსეთის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და ირანის თანხმობას. ამით რუსეთმა ფაქტობრივად პრეტენზია განაცხადა აზერბაიჯანის ნავთობის ნაწილზე. ორი კვირის წინათ კი რუსეთის მოთხოვნას მხარი დაუჭირა ირანმა, რომელიც „ამოვარდნილი იყო თურქეთ-აზერბაიჯანის პროექტიდან. ამავე დროს რუსებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ თურქეთის პროექტის საპირისპიროდ ისინი აშენებენ ახალ ნავთობსადენს. თუკი რუსები მართლაც დაასწრებენ სხვებს ამ ნავთობსადენის მშენებლობას, განამტკიცებს ეს მათ წამყვან პოზიციას რეგიონში? პასუხი ყველა კითხვაზე ჯერ არ არის, მაგრამ მთავარია, რომ საქმე ეხება დიდ ფულს", — აცნობს გაზეთი.

ამ პრობლემატიკას 23 აპრილს მთელი გვერდი მიუძღვნა „ლა ლიბრ ბელჟიკმა". სტატიაში საუბარია ნავთობის ფაქტორის კავშირზე ჩეჩნეთის მოვლენებთან და ე. წ. ქურთების საკითხთან (თურქეთ-ერაყი). მოყვანილია დამოუკიდებელი ექსპერტების აზრი იმის თაობაზე, რომ აზერბაიჯან-თურქეთის ნავთობსადენის შექმნის შემთხვევაში უმოკლესი გზა საქართველოზე გადის. ამ კონტექსტში მოხსენებულია არსებული ბაქო-ბათუმის ნავთობსადენიც.

27 აპრილის „ინტერნეიშნელ ჰერალდ ტრიბიუნმა" გამოაქვეყნა ცნობა თბილისში მყოფ ამერიკელ ჟურნალისტზე — ს. ლევაინზე, რომელიც ჟურნალ „ნიუსუიკსა" და გაზეთ „ვაშინგტონ პოსტს" წარმოადგენს. „ვნუკოვოში თბილისიდან ჩაფრენილ ამერიკელ ჟურნალისტს იმიგრაციის სამსახურის თანამშრომლებმა უარი უთხრეს მოსკოვში შესვლაზე იმ მოტივით, რომ „მრავალჯერადი ვიზის" ვადა გასული იყო. ბატონი ლევაინი თბილისშია დაბინავებული, მაგრამ მთელს კავკასიასა და შუა აზიას მოიცავს. იგი ხშირად წერდა ჩეჩნეთსა და შუა აზიის რესპუბლიკების მთავრობათა პოლიტიკაზე. ამდენად, არც რუსეთისა და არც შუა აზიის რესპუბლიკათა მთავრობები იყვნენ მის მიმართ კეთილად განწყობილი. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ეს საკითხი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გ. მამედოვთან შეხვედრისას დააყენა".

## ევროკავშირი

**10 მაისს** გაიმართება ევროპარლამენტში შექმნილი ამიერკავკასიის კომიტეტის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები. ერთ-ერთ საკითხად დღის წესრიგში ფიგურირებს „დემოკრატიზაცია და ადამიანის უფლებათა დაცვა". სხდომაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს დელეგაცია რუსუდან ბერიძისა და მანანა გოგინეიშვილის შემადგენლობით.

---

# და კვლავ ზეიმობს ერთობა და სიყვარული

(დასასრული)

ტერესო რეჟისურამ, მ. მალაზონიას წარმატებულმა სცენოგრაფიამ, მთავარი ქორმაისტერის ა. ჩხენკელის, ბალეტმაისტერ ბ. მონავარდისაშვილის, გუნდის, ორკესტრისა და, რა თქმა უნდა, მთავარი პარტიების შემსრულებლების — მ. ზვიადაძის, ა. ხომერიკის, ც. ტატიშვილის, ვ. გეგელაშვილის, ს. თომაძის, ამ დიდებული და მასშტაბური წარმოდგენის ყველა მონაწილის ხელოვნებამ უზრუნველყო წარმოდგენის დიდი წარმატება.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ სტუმრებსა და მაყურებლებს მიმართა საქართველოს კულტურის მინისტრმა დ. მაღრაძემ. — დასასრულს მიუახლოვდა მემედ აბაშიძის ხსოვნის დღეები თბილისში, — აღნიშნა მან. — ისინი წარმატებით დაგვირგვინდა ბათუმის თეატრის შესანიშნავი სპექტაკლით, რომელიც, მთელი ამ დროის განმავლობაში დედაქალაქელ მაყურებელს აჯილდოვებდა ბრწყინვალე ხელოვნებასთან შეხვედრის ბედნიერი წუთებით. მადლობას ვუხდი ყველას — მსახიობებსა და დამდგმელ რეჟისორებს, ბათუმის თეატრის მთელ კოლექტივს. მადლობა — მაყურებელს, აჭარის კულტურის სამინისტროს, რომელმაც ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ეს დღეები ჭეშმარიტ დღესასწაულად ქცეულიყო. განსაკუთრებული მადლიერების სიტყვებით მსურს მოვიხსენიო ასლან აბაშიძე, რომელიც თავიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა დღეების ორგანიზაციისა და გამართვის საქმეში.

მადლიერების გულთბილი სიტყვებით მიმართა საქართველოს ხელმძღვანელობას, პირადად სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს მემედ აბაშიძის შვილიშვილმა — ნარგიზა აბაშიძემ.

აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ფაღავამ აჭარის ხელმძღვანელობის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას, თბილისის მერიას, კულტურის სამინისტროს ბრწყინვალედ ორგანიზებული საიუბილეო ზეიმისათვის. მე, — თქვა შემდეგ მან, — მსურს განსაკუთრებით გავუსვა ხაზი ქართული კულტურის ხსნის კომიტეტის როლს, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე მეთაურობს. ამ კომიტეტის წყალობით ვიმყოფებით დღეს აქ. მადლობას გიხდით ყველას იმ სითბოსათვის, რომელსაც თითოეული ჩვენგანი გრძნობდა ამ დღეებში. მსურს მადლობა გადავუხადო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, რომელმაც პატივი დაგვდო დღეს აქ თავისი მობრძანებით.

ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ა. ხომერიკმა მიულოცა თავის შემოქმედებით კოლექტივს თბილისის სცენაზე ღირსეული გამოცდისათვის. მან მადლობა მოახსენა მისთვის ასევე მშობლიური თბილისის თეატრის დირექციასა და ადმინისტრაციას, სადაც მან იმუშავა 18 წლის მანძილზე, მათ ყველა პირობა შეუქმნეს ბათუმელთა კოლექტივს წარმატებული გამოსვლებისათვის.

თეატრი ემშვიდობებოდა თბილისს.., დარბაზის ოვაცია ყველაზე კარგად მოწმობს იმას, რომ ბათუმის ოპერის თეატრმა დედაქალაქელ მუსიკისმოყვარულთა „უმაღლესი ატესტაცია" დაიმსახურა, მოიპოვა აქ მრავალი ახალი მადლიერი თაყვანისმცემელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვლავ გაიმართება ახალი შეხვედრები თეატრის კოლექტივთან.

დიახ, სიყვარულმა კვლავ იზეიმა. დღესასწაული შედგა, რომელიც დიდხანს ემახსოვრება ყველას.

ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე ამ მასშტაბით არცერთი ქართველი მოღვაწის იუბილე არ გამართულა. იუბილე ფაქტობრივად იქცა ყოველივე იმის მკაფიო დადასტურებად, რომ სახელმწიფოს მიერ აღებული კურსი საქართველოს კუთხეებისათვის დიდი უფლებების მინიჭებისა შესაბამისი პასუხისმგებლობით, კარგ შედეგებს იძლევა.

მემედ აბაშიძის იუბილეს ასეთი მასშტაბით გამართვა და დღევანდელი აჭარის კულტურის ფართოდ წარმოჩენა უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურის ინიციატივით მოხდა, უშუალოდ მისი დავალებით საიუბილეო კომისიამ (თავმჯდომარე — ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი), თბილისის მერიამ (მერი — ნიკო ლეკიშვილი), სახელმწიფოს მეთაურის აპარატმა (ხელმძღვანელი — პეტრე მამრაძე), კულტურის სამინისტრომ (მინისტრი — დავით მაღრაძე), სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა (ხელმძღვანელი — ირაკლი ანდრიაძე), ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა, მწერალთა კავშირმა, მხატვართა კავშირმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოიყენეს, რომ ეს დღეები ზეიმად ქცეულიყო. მან დაგვანახა, რა დაგვიტოვეს ანდერძად ჩვენმა დიდმა წინაპრებმა, მეცხრამეტე საუკუნის დიდმა ქართველებმა, მან დაგვანახვა, რომ ჩვენი ყველაზე დიდი მისია სწორედ მათი ანდერძის აღსრულებაა: გავუფრთხილდეთ საქართველოს ერთიანობას, მუდმივად ვიღვაწოთ ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების გასამტკიცებლად, უკომპრომისოდ დავუპირისპირდეთ ნებისმიერ ცდას რაიმე ბზარი შეიტანონ ეროვნულ ცნობიერებაში.

ჩვენ ვნახეთ ბათუმის ახლადდაარსებული საოპერო თეატრის სამი შესანიშნავი სპექტაკლი, ვნახეთ აჭარის მხატვართა გამოფენა, რომელზეც გაგვაოცა თვითნასწავლმა მხატვარმა სელიმ ხელიმიშმა, მოვისმინეთ ჩვენი ძმების, აჭარელი პოეტების ლექსები.

ეს დღეები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ ვნახეთ საით მიდის დღეს საქართველო — ქართული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისაკენ, სიყვარულისაკენ, იმ ფართო ადამიანური თუ სახელმწიფოებრივი თვალსაწიერისაკენ, რომელიც ჩვენი გადარჩენის გარანტიაა.

და ბოლოს — 1916 წელს თბილისში ჩამოსული სამუსლიმანო საქართველოს დეპუტაცია, რომლის ერთ-ერთი წევრი მემედ აბაშიძე გახლდათ, თავის ქრისტიან ძმებს თანადგომასა და დახმარებას სთხოვდა, დღეს აჭარიდან ჩამოსული ჩვენი ძმები დიდი ქართული კულტურის დემონსტრაციით ჩამოვიდნენ და თვალნათლივ დაგვანახეს, რომ როცა ქვეყანას უჭირს, მისი ყოველი კუთხე ვალდებულია იგი დაიცვას, დღეს აჭარა მხარში უდგას ყველას, ვინც კი ქართულ კულტურაზე ზრუნავს.

მემედ აბაშიძის იუბილესადმი მიძღვნილი დღეები, ერთიანი საქართველოს იდეის ბრწყინვალე დემონსტრაცია გახლდათ, რისთვისაც მადლობა ეთქმის თბილისს და ბათუმს.

**სალიმა ჩიქავა.**
საქინფორმი.

## საქართველოს პარლამენტის

# დადგენილება

## „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ" ამოქმედდეს 1995 წლის 1 მაისიდან.

II. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, შესაბამის უწყებებთან ერთად ერთი თვის ვადაში:

1. შეიმუშაოს და დაამტკიცოს სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა;

2. წარმოადგინოს წინადადებები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობაში სათანადო დამატებების შეტანის შესახებ იმ მოქალაქეთა პასუხისმგებლობის თაობაზე, რომლებიც დონორობაზე სამედიცინო შემოწმებისას განზრახ დამალავენ ან დაამახინჯებენ ცნობებს თავისი დაავადებების და ნარკოტიკული ან სხვა ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენების შესახებ; აგრეთვე, დონორების სოციალური უზრუნველყოფისა და მათი მატერიალური სტიმულირების თაობაზე;

3. დაამტკიცოს წესები უცხოეთის სამედიცინო ორგანიზაციებთან დონორის სისხლის, მისი კომპონენტებისა და პრეპარატების გაცვლისა და საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მათი გატანის შესახებ.

III. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ დონორობის საკითხებში მოსწავლეთა და სტუდენტთა სწორი ორიენტირების მიზნით, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების, შესაბამისი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენისას შეიტანოს მათში ინფორმაცია დონორობის მნიშვნელობასა და სისხლის გაღების უვნებლობაზე.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.**

**თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.**

---

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ

**კანონის** მიზანია სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი, სამედიცინო ღონისძიებების მეშვეობით საქართველოს რესპუბლიკაში სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების უზრუნველყოფა და დონორის უფლებების დაცვა.

### თავი I. ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. დონორობის პრინციპები**

საქართველოს რესპუბლიკაში დონორობის ძირითადი პრინციპია ნებაყოფლობა. დონორობა შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქმედუნარიან მოქალაქეს 18-დან 60 წლამდე, რომელიც გაივლის სამედიცინო შემოწმებას და არ აღმოაჩნდება დონორობის საწინააღმდეგო ჩვენებანი.

მოქალაქეს, სისხლის ჩაბარება შეუძლია, როგორც ქველმოქმედების წესით (უგასამრჯელოდ), ასევე ნათესავებისათვის, ფულადი ანაზღაურებით (კადრის დონორი), დაზღვევის, საკუთარი სისხლის შენახვის მიზნით.

**მუხლი 2. სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა**

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან იქმნება საკოორდინაციო სამსახური, რომელიც უხელმძღვანელებს სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას.

2. საკოორდინაციო სამსახურის დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

**მუხლი 3. სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების ორგანიზაციისა და პროპაგანდის ღონისძიებათა დაფინანსება**

სახელმწიფო უზრუნველყოფს სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების ორგანიზაციის, დონორობის პროპაგანდის ღონისძიებების, კადრის დონორთა საკომპენსაციო თანხების, სისხლის გაღების დღეს დონორის კვების ღირებულების, სისხლისა და მისი პრეპარატების სამკურნალო დაწესებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებების დაფინანსებას. ასტიმულირებს არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების მიერ სისხლისა და მისი პრეპარატების დამზადებას კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით. დაფინანსება ხორციელდება აგრეთვე, საქართველოსა და საზღვარგარეთის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების საქველმოქმედო შენატანების ხარჯზე.

**მუხლი 4. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ვალდებულებები დონორობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში**

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები პასუხისმგებელი არიან თავიანთ ტერიტორიაზე დონორობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის.

**მუხლი 5. სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციათა ვალდებულებები დონორობის ორგანიზაციაში**

სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები (საკუთრების ფორმის მიუხედავად):

აქტიურად მონაწილეობენ დონორობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში;

უფლება აქვთ გამოყონ ასიგნებანი დონორობის განვითარებისათვის.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები (მიუხედავად საკუთრების ფორმისა), საჯარისო ნაწილების უფროსები ვალდებული არიან, წინასწარი შეთანხმებით, შეუფერხებლად გაუშვან მუშა-მოსამსახურეები, სტუდენტები, მოსწავლეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, სამხედრო მოსამსახურეები სისხლის გადასხმის დაწესებულებებში გამოკვლევისათვის და სისხლის ჩაბარების დღეს შეუნარჩუნონ სამუშაო ადგილებზე საშუალო ხელფასი, პრემია და სხვა მატერიალური წახალისება სოციალური დაზღვევის ფონდიდან, ხოლო სისხლის ჩაბარების მეორე დღეს დონორს მისცენ დასვენების დღე, რომელიც მისი სურვილის მიხედვით შეიძლება დაემატოს მორიგ შვებულებას ან გამოიყენოს სხვა დროს სისხლის გაღების დღიდან ერთი წლის განმავლობაში; დამატებითი დასვენების დღე დონორს აუნაზღაურონ საშუალო ხელფასით ძირითად სამუშაო ადგილზე;

თუ დონორმა სისხლი გაიღო შვებულების პერიოდში ან არასამუშაო დღეს, მას მისცენ დასვენების სხვა დღე. თუ დასვენების დღეს ვერ მისცემენ, სისხლის გაღების დღე აუნაზღაურონ სულ ცოტა, ორმაგი ხელფასით;

უფასოდ დაუთმონ სისხლის დამამზადებელ გამსვლელ ბრიგადებს ოთახები სისხლის ასაღებად.

დონორობის საკითხებში მოსწავლეთა და სტუდენტების სწორი ორიენტაციის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო ვალდებულია საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენისას შეიტანოს მათში ინფორმაცია დონორობის მნიშვნელობასა და სისხლის გაღების უვნებლობაზე.

**მუხლი 6. წითელი ჯვრის საზოგადოების როლი დონორობის განვითარებაში**

საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების განყოფილებები და ორგანიზაციები საკუთარი და შესაბამისი საერთაშორისო წესდებებისა და დებულებების თანახმად, ვალდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ უგასამრჯელო დონორობის განვითარებაში.

**მუხლი 7. დონორთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გაერთიანებების მონაწილეობა დონორობის ორგანიზაციაში**

დონორთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომელთა წესდებაში გათვალისწინებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვა, მონაწილეობენ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის ორგანიზაციაში და მის დაფინანსებაში, პროპაგანდას უწევენ მოსახლეობაში უგასამრჯელო დონორობას.

### თავი II. დონორის უფლებები, მოვალეობები და შეღავათები

**მუხლი 8. დონორის უფლებები**

სახელმწიფო უზრუნველყოფს დონორის უფლებრივ გარანტიებს და მისი ჯანმრთელობის დაცვას, აგრეთვე, აწესებს შეღავათებს.

დონორი აუცილებლად უნდა იყოს დაზღვეული დონორის ფუნქციის შესრულების შედეგად ინფექციური სნეულებით დაავადების ან მისი ჯანმრთელობის შელახვის შემთხვევებისაგან. დაზღვევა უნდა მოხდეს სისხლის სამსახურის ბიუჯეტის ხარჯზე. დაზღვევის სახსრები უნდა შედიოდეს სისხლის თვითღირებულებაში.

დონორის ხელშეუვალი უფლებაა დონორობის აქტის ნებაყოფლობა.

დონორს უფლება აქვს თავისი სამსახურის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ნებისმიერ დღეს წავიდეს სისხლის გადასხმის დაწესებულებაში გამოსაკვლევად და სისხლის ჩასაბარებლად.

დონორს უფლება აქვს სისხლის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამატებითი დასვენების დღე და გამოიყენოს იგი სისხლის გაღების მეორე დღეს. მას შეუძლია ეს დღე დაუმატოს მორიგ შვებულებას ან ისარგებლოს ამ დღით სხვა დროს სისხლის გაღებიდან ერთი წლის განმავლობაში.

სამხედრო მოსამსახურე დონორი სისხლისა და მისი კომპონენტების გაღების დღეს თავისუფლდება განწესის, გუშაგობის და სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისაგან.

**მუხლი 9. დონორის მოვალეობანი**

დონორი მოვალეა სამედიცინო შემოწმების დროს შეატყობინოს მედიცინის მუშაკებს მისთვის ცნობილი ყველა გადატანილი დაავადება, აგრეთვე, მის მიერ ნარკოტიკული და სხვა ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენების ფაქტები.

მოქალაქე, რომელიც თავისი დაავადებების შესახებ ცნობებს განზრახ დამალავს ან დაამახინჯებს, პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 10. დონორობისათვის გათვალისწინებული შეღავათები და დონორობის სტიმულირების ღონისძიებები**

ჩაბარებული სისხლის ან სისხლის პლაზმის საერთო მოცულობის მიხედვით დონორების სტიმულირების მიზნით, მათი დაყოფა ხდება შემდეგ ჯგუფებად:

მესამე კატეგორიის დონორები, რომლებსაც სამჯერ ან მეტჯერ აქვთ ჩაბარებული სისხლი ან პლაზმა და განაგრძობენ დონორობის ფუნქციას სისხლის ჩაბარებით წელიწადში ერთხელ მაინც;

მეორე კატეგორიის დონორები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ 10-დან 20 ლიტრამდე სისხლი ან 15-დან 30 ლიტრამდე პლაზმა;

პირველი კატეგორიის დონორები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ 20-დან 30 ლიტრამდე სისხლი ან 30-დან 45 ლიტრამდე პლაზმა;

დამსახურებული დონორები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ 30 ლიტრზე მეტი სისხლი ან 45 ლიტრზე მეტი პლაზმა.

თითოეული ჯგუფის დონორს სახელმწიფო უზრუნველყოფს სოციალური გარანტიებითა და შეღავათებით, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დებულებით „რესპუბლიკაში დონორების სტიმულირების ღონისძიებების შესახებ".

იმუნიზირებული დონორები ან დონორები, რომლებიც ქველმოქმედების წესით უანგაროდ ჩააბარებენ სისხლს ან პლაზმას, იმ მოცულობით, რომ წარმოადგენენ ამ კანონის სუბიექტს, მიეკუთვნებიან ერთი საფეხურით უფრო მაღალ კატეგორიას.

მესამე კატეგორიის დონორის მოწმობებს გასცემენ სისხლის გადასხმის დაწესებულებები.

მეორე და პირველი კატეგორიის დონორის წოდებას ანიჭებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სისხლის გადასხმის დაწესებულებათა წარდგინების საფუძველზე.

დამსახურებული დონორის წოდებას ანიჭებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარდგინებით.

აღნიშნული შეღავათები ვრცელდება იმ დონორებზე, რომელთაც სისხლი ან პლაზმა ჩაბარებული აქვთ ამ კანონის მიღებამდე.

### თავი III. სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის ორგანიზაცია

**მუხლი 11. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების როლი დონორობის განვითარებაში**

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ტრანსფუზიოლოგიური სამსახურის სწორი ორგანიზაცია, განსაზღვრონ მედიცინის მოთხოვნილება სისხლის კომპონენტებსა და პრეპარატებზე, ყველაფერი იღონონ დონორთა რიგების, მათ შორის ნათესავ დონორთა რიგების გაზრდისათვის, აქტიურად წარმართონ დონორობის პროპაგანდა.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები უზრუნველყოფენ დონორების ჯანმრთელობის დაცვას. ამ მიზნით, ახორციელებენ ღონისძიებათა კომპლექსს (დონორთა შერჩევა, სისხლის აღების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, ქალაქებში დონორობის ეფექტური ცენტრების ორგანიზაცია, სამედიცინო პერსონალის სათანადო მომზადება), რომელთა მიზანია დონორობის უვნებლობა, დონორობის ფუნქციის შესრულების დროს გართულებებისა და ინფექციური სენით დაავადებით შესაძლებლობათა თავიდან აცილება.

დამატებითი დასვენების დღის და სისხლის გადასხმის დაწესებულებაში გატარებული დღის ფულადი ანაზღაურების მისაღებად სისხლის გადასხმის დაწესებულებებს ევალებათ, დონორებს მისცენ სათანადო ცნობები სამსახურში წარსადგენად.

**მუხლი 12. დონორის სამედიცინო შემოწმების წესი**

დონორის სამედიცინო შემოწმების, დონორისაგან სისხლისა და მისი კომპონენტების აღების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

უცხოეთის მოქალაქენი, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს გაიღონ სისხლი ან მისი კომპონენტები საქართველოს რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებში, გაივლიან სამედიცინო შემოწმებას დადგენილი წესით და სარგებლობენ ამ კანონით გათვალისწინებული შეღავათებითა და გარანტიებით.

**მუხლი 13. დონორის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხის კონტროლი**

სისხლის სამსახურის დაწესებულებების მიერ დამზადებული სისხლი, მისი კომპონენტები და პრეპარატები, საკონსერვაციო ხსნარები ექვემდებარება ფარმაკოლოგიური ზედამხედველობის ორგანოების აუცილებელ კონტროლს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 14. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაკებისა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა**

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაკები და თანამდებობის პირები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებენ სისხლის, მისი კომპონენტებისა და პრეპარატების დამზადების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის.

### თავი IV. დასკვნითი დებულებები

**მუხლი 15. დონორის სისხლის, მისი კომპონენტებისა და პრეპარატების გაცვლის, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მათი გატანის წესი**

საზღვარგარეთის სამედიცინო ორგანიზაციებთან დონორის სისხლის, მისი კომპონენტებისა და პრეპარატების გაცვლის, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მათი გატანის წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული დონორობის საკოორდინაციო სამსახურისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ერთობლივი წარდგინებით.

**მუხლი 16. სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის ორგანიზაცია ექსტრემალური სიტუაციის დროს**

სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის, ეპიდემიისა და სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის შემთხვევაში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ადგილებში სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის ორგანიზაცია ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობით.

ამ შემთხვევაში სისხლისა და მისი კომპონენტების დონორების ორგანიზაციის ყველა დაფინანსება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სარეზერვო ფონდიდან, აგრეთვე, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სარეზერვო ფონდებიდან.

**მუხლი 17. საერთაშორისო ხელშეკრულებების მოქმედება**

დონორობის სფეროში საერთაშორისო სამეცნიერო და საწარმოო თანამშრომლობა მიჩნეულია პრიორიტეტულ მიმართულებად.

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —**
**სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.**

**თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.**

---

## საქართველოს პარლამენტის

# დადგენილება

## „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო უშიშროების სამსახურებს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის $175^1$ მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ტექნიკური უზრუნველყოფა.

3. დაევალოს იუსტიციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, 1 ივნისამდე პარლამენტს წარმოუდგინოს „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტის $221^3$ და $221^4$ მუხლების სამოქმედოდ შემოღების უზრუნველყოფის წინადადებები.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**
**ვახტანგ გოგუაძე.**

**თბილისი, 1995 წლის 5 აპრილი.**

---

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 2. სისხლის სამართალწარმოების ამოცანები.**

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართალწარმოების ამოცანებია, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა, დანაშაულის დროული გახსნა, დანაშაულის ჩამდენ პირთა მხილება და კანონის სწორი გამოყენების უზრუნველყოფა, რათა სამართლიანად დაისაჯოს დანაშაულის ჩამდენი თითოეული პირი და არც ერთი უდანაშაულო პირი არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და მსჯავრდებული. უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ან მისი უკანონო მსჯავრდებისას სისხლის სამართალწარმოების ამოცანაა ასეთი პირის მორალური და მატერიალური რეაბილიტაცია".

2. მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დახურული სასამართლო განხილვა, გარდა ამისა, დასაშვებია სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით იმ პირის დანაშაულის საქმეზე, რომელსაც თექვსმეტი წლის ასაკამდე არ მიუღწევია; სქესობრივი დანაშაულის საქმეზე იმ მიზნით, რომ არ გამჟღავნდეს ცნობები საქმეში მონაწილე პირთა ცხოვრების ინტიმური მხარეთა შესახებ; როდესაც ამას მოითხოვს დაზარალებულის, მოწმის, პროცესის სხვა მონაწილის, მათი ოჯახის წევრების და ახლო ნათესავების პირადი უსაფრთხოების დაცვა; სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებისას".

3. 46-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 46. დამცველის უფლება-მოვალეობანი**

დამცველი მოვალეა გამოიყენოს ამ კოდექსში აღნიშნული დაცვის ყველა საშუალება და ხერხი იმ მიზნით, რომ გაირკვეს გარემოებანი, რომლებიც ამართლებენ დასაცავ პირს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას, გაუწიოს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხეს საჭირო იურიდიული დახმარება, ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები და არ დაუშვას გამომძიებლის, მოსამართლის, პროცესის სხვა მონაწილის უფლებების შელახვა.

საქმეში მონაწილეობისათვის დაშვების მომენტიდან დამცველს უფლება აქვს, პირისპირ შეხვდეს თავისი დაცვის ქვეშ მყოფ ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მათი რაოდენობისა და დროის ხანგრძლივობის შეუზღუდავად, დაესწროს ბრალდების წაყენებას, მონაწილეობა მიიღოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დაზარალებულის დაკითხვაში და ყველა იმ საგამოძიებო მოქმედებაში, რომლებიც ხორციელდება დასაცავის მონაწილეობით, დამცველის ან დასაცავის შუამდგომლობით.

საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობისას დამცველს უფლება აქვს გამომძიებლის ნებართვით შეკითხვები დაუსვას დასაკითხ პირს, საგამოძიებო მოქმედების ოქმში წერილობით შეიტანოს შენიშვნები გაკეთებული ჩანაწერის სიზუსტის და სისრულის შესახებ.

გამომძიებელს უფლება აქვს განარიდოს დამცველის შეკითხვები, ოღონდ ვალდებულია ასეთი შეკითხვების შინაარსი და განრიდების საფუძველი წერილობით ასახოს საგამოძიებო მოქმედების ოქმში.

საქმეში ეჭვმიტანილის სახით პირის დაკავების მომენტიდან დაშვებისას დამცველს უფლება აქვს გაეცნოს ამ პირის ახსნა-განმარტებას, დაკითხვის და დაკავების ოქმებს, დადგენილებას ეჭვმიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების შესახებ, ამოიწეროს მათგან საჭირო ცნობები, რომლებიც უშუალოდ ეხება მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესებს.

ბრალდების წაყენების მომენტიდან საქმეში დაშვებისას დამცველს უფლება აქვს გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის იმ მასალებს, რომლებიც გასაცნობად წარედგინა ან უნდა წარედგინოდა მის დასაცავ პირს, მასალებს, რომლებიც მიღებულია დასაცავი პირის მონაწილეობით, დამცველის ან დასაცავი პირის შუამდგომლობით.

წინასწარი გამოძიების დამთავრების გამოცხადების მომენტიდან დამცველს უფლება აქვს თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან ერთად ან მისი თანხმობით უშუალოდ გაეცნოს საქმის მთელ მასალას, ამოიწეროს საჭირო ცნობები, საქმის მასალებიდან გადაიღოს იმ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ასლები, რომლებიც განხორციელდა დასაცავი პირის მონაწილეობით, დამცველის ან დასაცავი პირის შუამდგომლობით. იგი ხელს აწერს მისთვის გაცნობილ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ოქმს.

დამცველის შეცვლის შემთხვევაში ახლად დანიშნული დამცველი საქმის მასალებს ეცნობა კანონით დადგენილი წესით.

დამცველს უფლება აქვს:

წარადგინოს მტკიცებულებები, აღძრას შუამდგომლობები; გაასაჩივროს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებათა სახით გამოყენებული დაპატიმრების, პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ დადგენილების კანონიერება და დასაბუთებულობა; მონაწილეობა მიიღოს საქმის სასამართლო განხილვაში; სასამართლოში გაასაჩივროს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილი დადგენილების კანონიერება და დასაბუთებულობა, მონაწილეობა მიიღოს მის განხილვაში;

განაცხადოს აცილება, საჩივარი შეიტანოს მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს (მოსამართლის) მოქმედებისა და გადაწყვეტილების გამო; მონაწილეობა მიიღოს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის ან საჩივრის განხილვისას.

ადვოკატს უფლება არა აქვს უარი თქვას ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვაზე მას შემდეგ, რაც მან ეს ვალდებულება იკისრა.

დამცველს უფლება არა აქვს ხელოვნურად გააჭიანუროს პროცესი, საპატიო მიზეზების გარეშე დათქმულ დროს არ გამოცხადდეს დასაცავ პირთან, გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში (მოსამართლესთან).

ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს ერთ საქმეში ორი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დამცველი.

დამცველს უფლება არა აქვს სათანადო ნებართვის გარეშე გაახმაუროს მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემები, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა დაცვის ან სხვა იურიდიული მომსახურების განხორციელებისას.

4. 47-ე მუხლის მე-3 ნაწილს სიტყვების „განაცხადონ შუამდგომლობები" შემდეგ დაემატოს სიტყვები „გაეცნონ დადგენილებას სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ", ხოლო სიტყვების „მონაწილეობა მიიღონ სასამართლო განხილვაში" შემდეგ დაემატოს სიტყვები „მონაწილეობა მიიღონ სასამართლო კამათში".

5. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის $52^2$ მუხლი:

**„მუხლი $52^2$. მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს მოვალეობაა მიიღონ პროცესის მონაწილეთა პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების დაცვის ზომები.**

მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს (მოსამართლის) მოვალეობაა მიიღონ ზომები პროცესის მონაწილეთა პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად.

როდესაც არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ დაზარალებულის, მოწმის და პროცესის სხვა მონაწილის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, საკუთრებას შეიძლება მიადგეს ზიანი ძალადობის გამოყენებით, მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო (მოსამართლე) ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მიიღონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები ამ პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების, საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად, დამნაშავე პირის დასადგენად და პასუხისგებაში მისაცემად".

6. 56-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

„ამ კოდექსის $221^1$—$221^2$ მუხლებით გათვალისწინებული წესით სასამართლოში საჩივრის განხილვისას აცილების საკითხს ერთპიროვნულად გადაწყვეტს თვითონ მოსამართლე".

7. 65-ე მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) სასულიერო პირი — საქმის გარემოებათა შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების მიღებისას".

8. 81-ე მუხლს სიტყვების „აღკვეთის ღონისძიება უქმდება" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „ხოლო თუ ამ ვადაში ბრალდება წაყენებული იქნება, აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების საკითხი წყდება ამ კოდექსით დადგენილი წესით".

9. 83-ე მუხლს სიტყვების „რომლის მიმართაც იგია გამოტანილი" შემდეგ დაემატოს სიტყვები: „მასვე გადაეცემა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დადგენილების პირი".

10. 95-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საგამოძიებო მოქმედების, აგრეთვე პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვის დროს ადგენენ ოქმს; ოქმს ადგენენ, აგრეთვე, ამ კოდექსის $221^1$—$221^2$ მუხლებით გათვალისწინებული წესით მოსამართლის მიერ საჩივრების განხილვისას".

11. 118-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანაშაულის ნიშნებისა და დანაშაულის ჩამდენი პირის დასადგენად მოკვლევის ორგანოებს ეკისრებათ განახორციელონ საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, მათ შორის ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, ფარული კინო და ფოტოგადაღება, პროკურორის სანქციით კავშირგაბმულობის ტექნიკური არხიდან ინფორმაციის მიღება იმ ფაქტობრივი მონაცემების მოსაპოვებლად, რომლებიც ამ კოდექსით დადგენილი წესით შემოწმების შემდეგ შეიძლება გამოყენებული იქნეს მტკიცებულების მისაღებად. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისას დგება ოქმი, რომელშიც აისახება ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების გარემოებები და მიღებულ მასალასთან ერთად დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს".

12. 127-ე მუხლის მე-3 ნაწილში სიტყვა „სამძებრო"-ს შემდეგ ჩაემატოს „ოპერატიულ-სამძებრო", შემდეგ, როგორც ტექსტშია.

13. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის $175^1$ მუხლი:

**„მუხლი $175^1$. სატელეფონო და სხვა სახის სალაპარაკო ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრების კონტროლი.**

მძიმე დანაშაულის საქმეზე მტკიცებულების მოპოვების მიზნით, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის მოტივირებული დადგენილებით, რომელიც სანქციონირებულია პროკურორის მიერ, შეიძლება გაკონტროლდეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის სატელეფონო და სხვა სახის სალაპარაკო ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრები, რომლებიც ჩაიწერება ფირზე.

სატელეფონო და სხვა სახის სალაპარაკო ტექნიკური საშუალებით საუბრების გაკონტროლება შეიძლება აგრეთვე დაზარალებულის, მოწმის, პროცესის სხვა მონაწილის წერილობითი განცხადების საფუძველზე, თუ მათ მიმართ სატელეფონო ან სხვა სახის სალაპარაკო ტექნიკური საშუალების გამოყენებით ხდება შანტაჟი, უკანონო ძალადობა, ძალადობის გამოყენების მუქარა ან სხვა დანაშაულებრივი ხელყოფა.

დადგენილება სატელეფონო და სხვა სახის სალაპარაკო ტექნიკური საშუალებით საუბრების გაკონტროლების შესახებ გამოიტანება მხოლოდ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე და უნდა შეიცავდეს საკმარის მონაცემებს, რომლებიც ადასტურებს, რომ ამ ხერხით შესაძლებელია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.

დადგენილება სატელეფონო და სხვა სახის სალაპარაკო ტექნიკური საშუალებით საუბრების გაკონტროლების შესახებ უნდა შეიცავდეს ზუსტ მონაცემებს, თუ ვისი საუბრები უნდა გაკონტროლდეს, რა მისამართსა და სატელეფონო ნომერზე, დადგენილება შესასრულებლად ეგზავნება მოკვლევის ორგანოს. დადგენილების მოქმედების ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს სამ თვეს.

მოკვლევის ორგანოს უფლებამოსილი პირი, რომელიც გააკონტროლებს სატელეფონო ან სხვა სახის სალაპარაკო ტექნიკური საშუალებით საუბრებს და ფირზე ჩაიწერს მათ, გაწეული მუშაობის შესახებ ადგენს სათანადო ოქმს, რომელშიც აისახება ჩაწერილი საუბრის შინაარსი, ჩაწერის დრო და ტექნიკური ხასიათის მონაცემები. ფონოგრამა თან ერთვის ოქმს და წარედგინება გამომძიებელს.

თუ გამომძიებლის შეხედულებით მოკვლევის ორგანოს მიერ მიწოდებული ოქმი და ფონოგრამა შეიცავს გამოძიებისათვის საჭირო ფაქტობრივ მონაცემებს, იგი დაურთავს მათ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, როგორც მტკიცებულებას.

თუ აღმოჩნდება, რომ მოკვლევის ორგანოს მიერ გაკეთებული ჩანაწერი ინტერესმოკლებულია გამოძიებისთვის, იგი ილუქება და პროკურორის თანდასწრებით ნადგურდება სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთანავე, რაზეც დგება სათანადო ოქმი.

სატელეფონო და სხვა სახის სალაპარაკო ტექნიკური საშუალებით საუბრების გამაკონტროლებელ პირს ამ კოდექსით დადგენილი წესით აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე იმ მონაცემების გახმაურებისთვის, რომლებიც მისთვის გახდა ცნობილი".

14. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის $221^1$, $221^2$ მუხლები:

**„მუხლი $221^1$. სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილების გასაჩივრება სასამართლოში.**

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილების კანონიერება და დასაბუთებულობა შეიძლება სასამართლოში გაასაჩივროს იმ პირმა, რომლის ინტერესებშიც იგი შედის, უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით.

მას შემდეგ, რაც ზედამხედველი პროკურორისგან მიიღებს დადგენილების პირს, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილი დადგენილების ძალაში დატოვების და მისი გაუქმების მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ, პირს უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით ხუთი დღის ვადაში უფლება აქვს საჩივრით მიმართოს ტერიტორიულ (რაიონის, ქალაქის) სასამართლოს ან რეგიონულ სამხედრო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გაუქმების და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით.

**მუხლი $221^2$. სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილი დადგენილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება სასამართლოში**

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას მოსამართლე განიხილავს ერთპიროვნულად საჩივრის შეტანიდან შვიდი დღის ვადაში.

მოკვლევის ორგანოდან, გამომძიებლისა და პროკურორისაგან მოსამართლე გამოითხოვს მთელ მასალას, რომლის საფუძველზეც გამოიტანეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, გაეცნობა მათ და ნიშნავს საჩივრის განხილვის დღეს, რასაც წერილობით აცნობებს საჩივრის შემომტანს და პროკურორს.

საჩივრის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, მოკვლევის ორგანომ, გამომძიებელმა, პროკურორმა, სისხლის სამართლის საქმის აღუძვრელობის შესახებ დადგენილების გამოტანისას შეასრულა თუ არა ამ კოდექსის 114-ე მუხლის მოთხოვნები, მოუსმენს პროცესის მონაწილეებს და იღებს გადაწყვეტილებას:

1) მოტივირებული დადგენილებით გააუქმებს მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და გამოსაძიებლად გადაუგზავნის პროკურორს;

2) ძალაში ტოვებს მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, უარს უცხადებს მომჩივანს და გამოაქვს შესაბამისი მოტივირებული დადგენილება.

მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილების თითო პირი ეძლევათ პროცესის მონაწილეებს.

მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება საკასაციო წესით არ გასაჩივრდება და არ გაპროტესტდება.

15. ამ კოდექსის 298-ე მუხლის მე-2 ნაწილში ამოღებული იქნეს ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები „...(როდესაც დაზარალებულს მიცემული აქვს უფლება ბრალდებას მხარი დაუჭიროს)", შემდეგ როგორც ტექსტშია.

16. ამ კოდექსის 343-ე მუხლის მე-4 ნაწილში რიცხვის „112-ე" შემდეგ დაემატოს ციფრები: „$221^1$ და $221^2$".

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —**
**სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**
**ვახტანგ გოგუაძე**

**თბილისი,** 1995 წლის 5 აპრილი

## საქართველოს პარლამენტის

# დადგენილება

### „ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის შიდსის პროფილაქტიკის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

I. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის შიდსის პროფილაქტიკის შესახებ" ამოქმედდეს 1995 წლის 1 მაისიდან.

II. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად:

1. „ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის შიდსის პროფილაქტიკის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღებასთან დაკავშირებით სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები; განსაზღვროს აივ ინფექციის შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო ყველა იმ კონკრეტულ ღონისძიებათა ნუსხა, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია ამ კანონის შესასრულებლად;
2. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული შიდსთან ბრძოლის და პროფილაქტიკის გლობალური პროგრამის რეკომენდაციების საფუძველზე და საქართველოს ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით შეიმუშაოს და დაამტკიცოს შიდსთან ბრძოლის ეროვნული სახელმწიფო პროგრამა. ამასთან გაითვალისწინოს პროგრამის შესასრულებლად საჭირო ინფრასტრუქტურისა და მექანიზმების შექმნა, დაფინანსების (მათ შორის კონვერტირებადი ვალუტით) და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები;
3. უზრუნველყოს შიდსთან ბრძოლის ეროვნული პროგრამის შესრულებაში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად შინაგან საქმეთა, განათლების, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროების, აგრეთვე სხვა სამინისტროების, უწყებების და სამსახურების ქმედითი მონაწილეობა;
4. დაგეგმოს შიდსის და იმუნოდეფიციტების რესპუბლიკური ცენტრისათვის სპეციალური კომპლექსის მშენებლობა, ხოლო მანამდე გამოძებნოს შენობა ამ ცენტრის დროებით განსათავსებლად;
5. მიიღოს საჭირო ზომები აივ ინფექციის შიდსის პროფილაქტიკის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**
თბილისი. 1995 წლის 21 მარტი.

---

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ

**ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში აივ ინფექციასთან შიდსთან ბრძოლის ძირითად პრინციპებს, მოქალაქეთა აივ ინფექციაზე შიდსზე გამოკვლევის, აივ ინფიცირებულთა შიდსით დაავადებულთა მკურნალობისა და პროფილაქტიკური მეთვალყურეობის საკითხებს და სამართლებრივ რეჟიმს, აგრეთვე აივ ინფიცირებულთა შიდსით დაავადებულთა და მედიცინის მუშაკთა უფლება-მოვალეობებს, მათი სოციალური დაცვის საკითხებს.**

### თავი I
### ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიდსი). ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) ინფექცია. ცნება, გავრცელება. პრობლემის მნიშვნელობა.**

შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიდსი) ინფექციური დაავადებაა, რომელსაც იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). თანამედროვე კლასიფიკაციით დაავადებას ეწოდება ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექცია (აივ ინფექცია), ხოლო საკუთრივ ტერმინით „შიდსი" აღინიშნება აივ ინფექციის განვითარების ბოლო სტადია, როდესაც ავადმყოფს უვითარდება დაავადების კლინიკური ნიშნები.

აივ ინფექცია შიდსი თავისი გავრცელების ხასიათით, მიმდინარეობით და შედეგებით განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა რიცხვს განეკუთვნება. აივ ინფექციის შიდსის პანდემიამ უდიდესი საფრთხე შეუქმნა მთელ კაცობრიობას და რთული პრობლემების წინაშე დააყენა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო სისტემა. აივ ინფექციასთან შიდსთან წარმატებით ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობათა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა ერთობლივი ძალისხმევით.

საქართველოს რესპუბლიკას ესმის აივ ინფექციის შიდსის პრობლემის მნიშვნელობა და სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობას კისრულობს აივ ინფექციასთან შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის განხორციელებისთვის.

### თავი II
### აივ ინფექციის შიდსის საწინააღმდეგო სამსახური

**მუხლი 2. შიდსის ეროვნული სამთავრობო კომისია. შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის ეროვნული პროგრამა. აივ ინფექციის შიდსის საწინააღმდეგო სპეციალიზებული სამსახური**

საქართველოში აივ ინფექციის შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებს ხელმძღვანელობს შიდსის ეროვნული სამთავრობო კომისია. მას ქმნის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი და ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე. კომისიას ევალება რესპუბლიკაში აივ ინფექციასთან შიდსთან ბრძოლის საკითხებში სხვადასხვა სამინისტროს, უწყებისა და სამსახურის საქმიანობის კოორდინირება და უფლებამოსილია გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი თავისი კომპეტენციის ფარგლებში. შიდსის ეროვნული სამთავრობო კომისია მოქმედებს დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

აივ ინფექციის შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის გლობალური პროგრამის რეკომენდაციების საფუძველზე და საქართველოს გეოპოლიტიკურ და ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით შეიმუშავებს და ამტკიცებს შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის ეროვნულ სახელმწიფო პროგრამას. პროგრამის შესრულებაში მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, სხვა დაინტერესებული სამინისტროები, უწყებები, ფირმა, ასოციაცია, საქველმოქმედო ორგანიზაცია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. პროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების, კომერციული სტრუქტურებისა და ცალკეული პირების მიერ შემოწირული თანხების ხარჯზე.

აივ ინფექციის შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო სამედიცინო ხასიათის ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აივ ინფექციის შიდსის საწინააღმდეგო სპეციალიზებული სამსახური, რომლის სტრუქტურასა და ფუნქციებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

### თავი III
### მოქალაქეთა გამოკვლევა აივ ინფექციაზე შიდსზე

**მუხლი 3. საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრებ ან მყოფ მოქალაქეთა გამოკვლევა აივ ინფექციაზე შიდსზე.**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრებ ან მყოფ ყველა პირს, მათ შორის უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს უზრუნველყოფილი აქვთ აივ ინფექციაზე შიდსზე სამედიცინო გამოკვლევის უფლება, მათ შორის — ანონიმურად.

აივ ინფექციაზე შიდსზე მოქალაქეებს იკვლევს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აივ ინფექციის შიდსის საწინააღმდეგო სპეციალიზებული სამსახური.

აივ ინფექციაზე შიდსზე მოქალაქეთა გამოკვლევა ნებაყოფლობითია.

აივ ინფექციაზე შიდსზე სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა სისხლის, ორგანოების და სპერმის დონორთათვის.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აივ ინფექციაზე შიდსზე მოქალაქეთა გამოკვლევის საჭიროება განისაზღვრება აივ ინფექციაზე შიდსზე სამედიცინო შემოწმების წესებით, რომელსაც შიდსის ეროვნული სამთავრობო კომისია ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარდგინებით.

აივ ინფიცირების შიდსის გამოსავლენად სამედიცინო შემოწმების წესების დაცვა სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრები ან მყოფი ყველა მოქალაქის, მათ შორის უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სამინისტროს, უწყების, ორგანიზაციისა და დაწესებულებისთვის, აგრეთვე სახელმწიფო და კერძო ფირმების, ასოციაციების, საქველმოქმედო ორგანიზაციების, უცხოური და ერთობლივი საწარმოებისთვის, განურჩევლად დაქვემდებარებისა და უფლებრივი მდგომარეობისა.

აივ ინფექციაზე შიდსზე სამედიცინო შემოწმების წესების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 4. აივ ინფექციაზე შიდსზე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსულ უცხოელ მოქალაქეთა გამოკვლევა**

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსული უცხოელი მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში ერთ თვეზე მეტი ხნით ჩამოდიან (გარდა უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებათა დიპლომატი თანამშრომლებისა და სხვა პირთა, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დიპლომატის პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სარგებლობენ), ვალდებული არიან თან იქონიონ აივ ინფექციაზე შიდსზე გამოკვლევის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ხოლო სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში, გაიარონ სამედიცინო შემოწმება აივ ინფექციაზე შიდსზე დადგენილი წესით.

უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებათა დიპლომატი თანამშრომლები და სხვა პირნი, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დიპლომატის პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სარგებლობენ, შეიძლება აივ ინფიცირებაზე შიდსზე შემოწმდნენ მხოლოდ მათი თანხმობით. ასეთი პირებისთვის შემოწმების შეთავაზების წინადადებას საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო წინასწარ უთანხმებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

სხვადასხვა საერთაშორისო სამთავრობათშორისო, არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების თანამშრომლების, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების და ორგანიზაციების ხაზით აკრედიტებული უცხოელი წარმომადგენლების აივ ინფექციაზე (შიდსზე სამედიცინო შემოწმების შესაძლებლობის საკითხი წყდება ამ სამინისტროების, უწყების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მონაწილეობით საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებების და კონვენციების, ორმხრივი შეთანხმების და პრაქტიკის საფუძველზე.

**მუხლი 5. მოქალაქეთა აივ ინფექციაზე შიდსზე სამედიცინო გამოკვლევის ხარჯები**

საზღვარგარეთიდან ჩამოსული უცხოელი მოქალაქეებისთვის, აგრეთვე საზღვარგარეთ წამსვლელი და საზღვარგარეთ მივლინებიდან ან მოგზაურობიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის აივ ინფექციაზე შიდსზე გამოკვლევა ფასიანია, გადამხდელი შეიძლება იყოს როგორც გამოსაკვლევი პირი, ასევე ცალკეული უწყება, ორგანიზაცია, დაწესებულება, ფირმა და ა. შ.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრები ან მყოფი ყველა მოქალაქის, მათ შორის უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (საზღვარგარეთ წამსვლელთა და საზღვარგარეთ მივლინებიდან ან მოგზაურობიდან ჩამოსულთა გარდა) აივ ინფექციაზე შიდსზე გამოკვლევის ხარჯების დაფარვა ხდება ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ყველა მოქალაქეს სურვილისამებრ შეუძლია ჩაიტაროს აივ ინფექციაზე შიდსზე ფასიანი სამედიცინო გამოკვლევა.

### თავი IV
### აივ ინფიცირებულთა შიდსით დაავადებულთა გამოკვლევა, მკურნალობა და პროფილაქტიკური მეთვალყურეობა

**მუხლი 6. აივ ინფიცირებულთა შიდსით დაავადებულთა და მათთან კონტაქტში მყოფ პირთა პროფილაქტიკური მეთვალყურეობა**

პირებს, რომლებმაც ამ კანონით დადგენილი წესით გაიარეს შემოწმება აივ ინფექციაზე შიდსზე, მათი აივ დაავადების შესახებ მონაცემების მიღებისას, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი წერილობითი ფორმითატყობინებენ, რომ საჭიროა დაიცვან ამ დაავადების გავრცელების თავიდან აცილების ღონისძიებანი. აივ დაავადებული პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო აღნიშნულ წესებს: თუ აივ ინფიცირებულს შიდსით დაავადებულს მცირეწლოვანის, ფსიქიკური მდგომარეობის ან სხვა განსაკუთრებული მიზეზის გამო პირადად ვერ მოეთხოვება აივ ინფექციის შიდსის გავრცელების თავიდან აცილების ღონისძიებათა განუხრელი დაცვა, მაშინ წერილობითი შეტყობინება უნდა გაეგზავნოს მის მეურვეს ან პირს, რომელიც კისრულობს პასუხისმგებლობას აივ ინფიცირებულის შიდსით დაავადებულის მოქმედებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრები ან მყოფი ყველა მოქალაქე, მათ შორის უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, მათი აივ დაავადების გამოვლენისას, ასევე მათთან კონტაქტში მყოფი პირები ექვემდებარებიან პროფილაქტიკურ მეთვალყურეობას.

**მუხლი 7. აივ ინფიცირებულთა შიდსით დაავადებულთა გამოკვლევა, მკურნალობა და დისპანსერული მეთვალყურეობა**

აივ ინფიცირებულთა შიდსით დაავადებულთ კლინიკურად და ლაბორატორიულად იკვლევს, მკურნალობს და დისპანსერულ მეთვალყურეობას უწევს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აივ შიდსის საწინააღმდეგო სპეციალიზებული სამსახური.

აღნიშნულ პირთა გამოკვლევის, მკურნალობისა და პროფილაქტიკური მეთვალყურეობის წესებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ამ კანონის შესაბამისად.

აივ ინფიცირებულთა შიდსით დაავადებულთა კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევის, მკურნალობისა და დისპანსერული მეთვალყურეობის ხარჯების დაფარვა ხდება ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### თავი V
### აივ ინფიცირებულთა შიდსით დაავადებულთა უფლებები, სოციალური დაცვა, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

**მუხლი 8. აივ ინფიცირებულთა შიდსით დაავადებულთა სამედიცინო დახმარების და სოციალური დაცვის უფლება**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრებ ან მყოფ ყველა მოქალაქეს, მათ შორის უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს აივ დაავადების შემთხვევაში აქვთ სამედიცინო და სოციალური დახმარების უფლება.

აივ დაავადებული პირები უზრუნველყოფილი არიან უფასო მგზავრობით მკურნალობის ადგილამდე და უკან, აგრეთვე ამბულატორიულ პირობებში სამკურნალო საჭირო წამლების უფასოდ მიღებით. მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს უფლება აქვთ იმყოფებოდნენ სტაციონარებში მცირეწლოვან შვილებთან (14 წლამდე ასაკისა) ერთად; ისინი თავისუფლდებიან სამუშაოდან სტაციონარში ყოფნის პერიოდში და მიეცემათ დროებითი შრომისუუნარობის შემწეობა.

საქართველოსს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომელთაც ვირუსი შეეყარათ სამედიცინო მანიპულაციების შესრულების შედეგად, პენსია ენიშნებათ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

აივ ინფიცირებულ შიდსით დაავადებულ პირებს აქვთ შრომითი მოწყობის უფლება გარდა იმ სპეციალობებისა, სადაც არსებობს თვით მისი ან მასთან კონტაქტში მყოფი პირების კანისა და ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარღვევის შესაძლებლობა და მეორე პირის აივ დაავადების საფრთხე. სპეციალობათა ნუსხას ამტკიცებს შიდსის ეროვნული სამთავრობო კომისია სათანადო უწყებათა მონაწილეობით.

აივ ინფიცირებულ შიდსით დაავადებულ პირებს აქვთ სპორტულ ვარჯიშსა და შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება გარდა კონტაქტური და სათამაშო სახეობებისა, სადაც არსებობს კანის და ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარღვევის შესაძლებლობა და მეორე პირის აივ დაავადების საფრთხე. სპორტული ვარჯიშებისა და შეჯიბრებათა ნუსხას ამტკიცებს შიდსის ეროვნული სამთავრობო კომისია სათანადო უწყებათა მონაწილეობით.

დაუშვებელია აივ დაავადებულ პირთა სამუშაოდან დათხოვნა ან სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა (გარდა იმ სპეციალობებისა, სადაც არსებობს თვით მისი ან მასთან კონტაქტში მყოფი პირის კანისა და ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარღვევის შესაძლებლობა და მეორე პირის აივ დაავადების საფრთხე).

დაუშვებელია აივ დაავადებული პირებისთვის სამკურნალო, სასწავლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში მიღებაზე უარის თქმა.

დაუშვებელია აივ დაავადებულ პირთა ნებისმიერი სხვა უფლებების შელახვა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ისინი ვირუსმატარებლები ან შიდსით დაავადებულნი არიან. ასევე დაუშვებელია აივ ინფიცირებული შიდსით დაავადებული პირის ახლობელ-ნათესავების საბინაო და სხვა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა.

**მუხლი 9. აივ ინფიცირებულთა შიდსით დაავადებულთა მოვალეობანი და პასუხისმგებლობა აივ ინფექციის შიდსის გავრცელებისათვის**

აივ დაავადებული პირი ვალდებულია დაიცვას ამ ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების ღონისძიებანი.

აივ დაავადებული ყველა პირი სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვის შემთხვევაში ვალდებულია გააფრთხილოს სამედიცინო დაწესებულება ან ცალკეული მედიცინის მუშაკი, რომ იგი ინფიცირებულია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით.

აივ დაავადებული ყველა პირი ისეთი საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებების მომსახურებით სარგებლობისას, სადაც რეალურად არსებობს კანისა და ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარღვევის შესაძლებლობა და მეორე პირის აივ დაავადების საფრთხე, ვალდებულია გააფრთხილოს მომსახურე პერსონალი, რომ იგი ინფიცირებულია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით.

მეორე პირისთვის ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის შეყრის საფრთხის განზრახ შექმნა ან მეორე პირისთვის ამ ვირუსის შეყრა იმ პირის მიერ, რომელმაც იცის, რომ მას ეს სენი სჭირს, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 10. აივ ინფიცირებული შიდსით დაავადებული უცხოელი მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება**

უცხო ქვეყნის აივ ინფიცირებული შიდსით დაავადებული მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი წყდება რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### თავი VI
### მედიცინის მუშაკთა უფლებები, სოციალური დაცვა, მოვალეობანი, პასუხისმგებლობა

**მუხლი 11. მედიცინის მუშაკთა უფლებები, მათი სოციალური დაცვა**

სახელმწიფო უზრუნველყოფს აივ ინფექციის შიდსის საკითხებზე დასაქმებულ მედიცინის მუშაკთა სოციალურ დაცვას.

აივ ინფექციაზე შიდსზე დასაქმებულ მედიცინის მუშაკებზე ვრცელდება ის შეღავათი და წახალისების ფორმა (ხელფასის დანამატი და სხვა), რომლებიც გათვალისწინებულია სამედიცინო პერსონალისთვის საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი შესაბამისი ნორმატიული აქტით.

აივ ინფექციაზე შიდსზე დასაქმებული მედიცინის მუშაკები ექვემდებარებიან სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აივ დაავადების, აგრეთვე ამ მიზეზით მათი ინვალიდობის ან სიკვდილის შემთხვევისთვის.

აივ ინფექციაზე შიდსზე დასაქმებული მედიცინის მუშაკთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აივ დაავადება განეკუთვნება პროფესიულ დაავადებას, მათ უდგინდებათ შეღავათიანი პირობებით საპენსიო უზრუნველყოფა და სხვა შეღავათები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 12. მედიცინის მუშაკთა მოვალეობანი და პასუხისმგებლობა**

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებები, მედიცინის ყველა მუშაკი ვალდებულია აივ დაავადებულებს გაუწიონ სამედიცინო დახმარება.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებები, მედიცინის მუშაკები ვალდებული არიან აივ ინფექციაზე შიდსზე მოქალაქეთა გამოკვლევისას, აგრეთვე სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციების დროს ზუსტად დაიცვან აივ ინფექციის შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო ეპიდრეჟიმის მოთხოვნები და უზრუნველყონ როგორც პაციენტთა, ასევე სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოება.

მედიცინის მუშაკები და სხვა პირნი, რომლებმაც დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას შეიტყვეს მოქალაქეთა აივ ინფიცირებაზე/შიდსზე სამედიცინო შემოწმების მონაცემები და მათი შედეგები, ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ ეს მონაცემები.

მედიცინის მუშაკები და სხვა პირნი, რომლებიც ჯეროვნად არ შეასრულებენ აივ დაავადებულთა მიმართ პროფესიულ მოვალეობას, პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამედიცინო ან სხვა სახის მანიპულაციების ჩატარებისას აივ ინფექციის შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აივ ინფექციაზე შიდსზე გამოკვლევის დამადასტურებელი ცნობებისა და სერტიფიკატების გაცემის უფლება აქვთ მხოლოდ აივ შიდსის საწინააღმდეგო სპეციალიზებული სამსახურის დაწესებულებებს. ყალბი ცნობებისა და სერტიფიკატების გაცემა ან გამოყენება იწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**
თბილისი, 1995 წლის 21 მარტი.

---

## საქართველოს პარლამენტის

# დადგენილება

### „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

**საქართველოს** რესპუბლიკის პარლამენტი **ადგენს:**

1. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, ამ კანონის მე-5 მუხლთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადებები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**
თბილისი, 1995 წლის 4 აპრილი.

---

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ

**ეს** კანონი განსაზღვრავს საავტომობილო ტრანსპორტის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული საქმიანობის საფუძვლებს.

კანონი ვრცელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ყველა მფლობელზე, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და დაქვემდებარებისა.

**მუხლი 1. საავტომობილო ტრანსპორტის საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა**

საავტომობილო ტრანსპორტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობას აწესრიგებს ეს კანონი, კანონქვემდებარე აქტები საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონმდებლობა.

**მუხლი 2. საავტომობილო ტრანსპორტი და მისი ამოცანები**

საავტომობილო ტრანსპორტი არის რესპუბლიკის სატრანსპორტო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი და მისი მიზანია დააკმაყოფილოს მოსახლეობის და ეროვნული მეურნეობის მოთხოვნილებანი გადაყვანა-გადაზიდვებისა და სატრანსპორტო პროცესთან დაკავშირებულ ყველა სახეობის მომსახურებაზე.

საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი ამოცანებია:

გადაიყვანოს მგზავრები, გადაზიდოს ტვირთი;

გაუწიოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სატრანსპორტო-საექსპედიციო და სხვა სახეობის მომსახურება;

უზრუნველყოს გადაზიდვის პროცესში ტვირთის დაცვა.

**მუხლი 3. საავტომობილო ტრანსპორტის მართვა**

საერთო პოლიტიკას საავტომობილო ტრანსპორტის დარგში საქართველოს რესპუბლიკაში ახორციელებს საავტომობილო ტრანსპორტის სახელმწიფო მართვის ორგანო.

საავტომობილო ტრანსპორტის სახელმწიფო მართვის ორგანოს კომპეტენციაში შედის:

მომხმარებლის უფლებათა დაცვა, საავტომობილო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფციისა და სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, მათი განხორციელების მიმდინარეობის კონტროლი, აგრეთვე დარგის განვითარების ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება;

საავტომობილო ტრანსპორტის ყველა სახეობისათვის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და მათი მიღების შემდეგ შემსრულებლამდე დაყვანა;

საგარეო-ეკონომიკურ და საერთაშორისო სამართლებრივ საქმიანობაში მონაწილეობა; სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებებისა და შეთანხმებათა პროექტების მომზადება, საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობა;

ავტოტრანსპორტის დემონოპოლიზაციისა და სახელმწიფო ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა პრივატიზებისათვის ხელშეწყობა.

**მუხლი 4. ავტოსატრანსპორტო საქმიანობის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება (ლიცენზირება)**

საქართველოს რესპუბლიკაში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვის, სატრანსპორტო-საექსპლოატაციო და სხვა სახეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა ხორციელდება სპეციალური ერთიანი ფორმის ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე.

ლიცენზიას გასცემს საავტომობილო ტრანსპორტის სახელმწიფო მართვის ორგანო.

**მუხლი 5.**

**მუხლი 6. საგარეო ეკონომიკური საქმიანობა**

საავტომობილო ტრანსპორტის საშუალებათა მფლობელებს უფლება აქვთ განახორციელონ საგარეო ეკონომიკური საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად და აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებების და კონვენციების წესების გათვალისწინებით. თუ საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები ადგენენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისაგან განსხვავებულ წესებს, გამოიყენება საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების წესები.

საავტომობილო ტრანსპორტის სახელმწიფო მართვის ორგანო მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვის ორგანიზაციის დროს საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლაში უცხოეთის ქვეყნების წინაშე გამოდის როგორც იურიდიული პირი სახელწოდებით „საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტი" და ახორციელებს საქმიანობას საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე.

**მუხლი 7. მგზავრების გადაყვანა და ბარგის გადატანა**

მგზავრების გადაყვანისას გადამყვანი ვალდებულია მომსახურების სათანადო სტანდარტების დაცვით მიიყვანოს ისინი დანიშნულების ადგილას;

თუ მგზავრი ჩააბარებს ბარგს, მიიტანოს იგი დანიშნულების ადგილას და ჩააბაროს ბარგის მიღებისათვის უფლებამოსილ პირს, ხოლო მგზავრი ვალდებულია გადაიხადოს მგზავრობისა და ბარგის ჩაბარების შემთხვევაში — მისი გადატანის საფასური.

**მუხლი 8. ტვირთის გადაზიდვა**

ტვირთის გადაზიდვისას გადამზიდავი კისრულობს გამგზავნის მიერ მისთვის ჩაბარებული ტვირთის დანიშნულების ადგილას მიტანას და მის ჩაბარებას ტვირთის მისაღებად უფლებამოსილი პირისათვის (მიმღებისათვის), ხოლო გამგზავნი კისრულობს ტვირთის გადაზიდვის საფასურის გადახდას.

**მუხლი 9. ფოსტის გადაზიდვა**

ფოსტის გადაზიდვის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, გადამზიდავი ვალდებულია დროულად მიიღოს და უკლებლივ გადაზიდოს ფოსტა დანიშნულების პუნქტში წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით და გადასცეს იგი კავშირგაბმულობის ორგანოს. კავშირგაბმულობის ორგანო, თავის მხრივ, ვალდებულია დროულად ჩატვირთოს მოწოდებულ ავტოტრანსპორტში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფოსტა, აგრეთვე მიიღოს იგი დანიშნულების პუნქტში და გადაიხადოს ფოსტის გადაზიდვისათვის დადგენილი საფასური.

**მუხლი 10. მგზავრების გადაყვანის, ტვირთის, ბარგის და ფოსტის გადაზიდვის პირობები**

საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანის, ტვირთის, ბარგის და ფოსტის გადაზიდვის პირობები და ამისათვის მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონქვემდებარე აქტებით.

**მუხლი 11. გადასაზიდი ტვირთის დატვირთვა და გადმოტვირთვა**

ტვირთის დატვირთვა და გადმოტვირთვა ხდება გამგზავნის საშუალებებით და სახსრებით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი გადამგზავნის და გამგზავნის, ან გადამზიდავის და მიმღების შეთანხმებით.

ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის დროის ნორმები განისაზღვრება საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონქვემდებარე აქტებით, თუ კონკრეტული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 12. შერეული გადაზიდვები საავტომობილო ტრანსპორტის მონაწილეობით**

მგზავრთა გადაყვანას, ტვირთის, ბარგის და ფოსტის გადაზიდვას საავტომობილო ტრანსპორტი ახორციელებს სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტთან მჭიდრო ურთიერთკავშირით. პირდაპირი შერეული მიმოსვლის სახეობებია: საავტომობილო-სარკინიგზო, საავტომობილო-საზღვაო, საავტომობილო-საჰაერო, საავტომობილო-სარკინიგზო-საჰაერო ტრანსპორტი და ა. შ.

გადაყვანა-გადაზიდვა ხდება ერთიანი სატრანსპორტო საბუთით მიმოსვლის მთელ მანძილზე.

**მუხლი 13. სატრანსპორტო მომსახურება**

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით (ტრანზიტი) მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების საფუძველზე, საავტომობილო ტრანსპორტით საერთაშორისო მიმოსვლისათვის განკუთვნილ გზებზე.

**მუხლი 14. დაზღვევა საავტომობილო ტრანსპორტზე**

მგზავრები, საავტომობილო ტრანსპორტით სარგებლობისას, ექვემდებარება დაზღვევას, რომლის საფასური შედის მგზავრობის ღირებულებაში.

**მუხლი 15. გადამყვანის პასუხისმგებლობა მგზავრის სიკვდილისათვის ან მისი ჯანმრთელობის დაზიანებისათვის**

გადამყვანი პასუხს აგებს მგზავრის სიკვდილისათვის ან მისი ჯანმრთელობის დაზიანებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.

**მუხლი 16. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მიმართ წაყენებული მოთხოვნები**

ავტოსატრანსპორტო საშუალებებს უნდა ჰქონდეს სერტიფიკატი და შეესაბამებოდეს მოძრაობის უსაფრთხოებას, შრომის დაცვისა და ეკოლოგიის საერთაშორისო და სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს და ტექნიკურ პირობებს.

სატრანსპორტო საშუალებანი, რომელთაც დადგენილი წესის შესაბამისად არ გაუვლიათ სერტიფიკაცია და არ არიან რეგისტრირებული, საექსპლუატაციოდ არ დაიშვება.

სერტიფიკაციის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.

**მუხლი 17. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება**

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება ეძლევა პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაზეც გაიცემა დადგენილი ნიმუშის საბუთი.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობა განისაზღვრება დადგენილი წესით.

**მუხლი 18. მოძრაობის უსაფრთხოება**

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები საავტომობილო გზებზე მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის, ბარგისა და ფოსტის გადაზიდვის დროს ვალდებული არიან უზრუნველყონ მოძრაობის უსაფრთხოება.

ფეთქებადი, ადვილადაალებადი, რადიაქტიული და მომწამლავი ტვირთის გადაზიდვა უნდა მოხდეს ტვირთის და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელის პასუხისმგებლობითა და მეთვალყურეობით, საგზაო პოლიციის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ორგანოების თანხმობით, მარშრუტის მთელ მანძილზე.

**მუხლი 19. მუშაობის ორგანიზაცია საგანგებო ვითარებაში**

საგანგებო ვითარების (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი და სხვა) შემთხვევაში, საავტომობილო ტრანსპორტის ყველა საწარმო და ორგანიზაცია გადადის გაძლიერებული მზადყოფნის მდგომარეობაში დაზიანების ზონიდან მოსახლეობის გამოსაყვანად და მატერიალურ ფასეულობათა გამოზიდვისათვის, რისთვისაც სახელმწიფო უფლებამოსილია გამოიყვანოს ყველა სახეობის ავტომობილი, მათი კუთვნილების მიუხედავად ხარჯების შემდგომი ანაზღაურებით.

**მუხლი 20. ტარიფი**

სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების ტარიფი (თავისუფალი, ზღვრული, სახელშეკრულებო) საავტომობილო ტრანსპორტზე განისაზღვრება ფასწარმოქმნის შესახებ კანონის თანახმად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**
თბილისი, 1995 წლის 4 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველთა წილი ძლევისა

(დასასრული)

ლები: კონსტანტინე ლესელიძე, პორფილე ჩანჩიბაძე, ვლადიმერ ნანეიშვილი.

არმიების შტაბებს, ჯარების მართვის ან სამუშაო ორგანოებს, წარმართავდნენ ქართველი გენერლები. მიხეილ მიქელაძე, მიხეილ ღლონტი, ივანე ბაბალაშვილი.

ფრონტებისა და არმიების სამხედრო საბჭოს წევრები იყვნენ ცნობილი ქართველი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწენი: კანდიდ ჩარკვიანი, ვასილ მჟავანაძე, ალექსი საჯაია, ვალერიან ბაქრაძე, არტემ კაკაბაძე, დიმიტრი შანშიაშვილი, ირაკლი მაისაია.

საჯარისო შენაერთებს მეთაურობდნენ ქართველი გენერლები: ვალერიან ძაბახიძე, ისიდორე სილაგაძე, გიორგი ყუფარაძე, გიორგი ყურაშვილი, პავლე აბრამიძე, ნიკოლოზ კალაძე, ილია რაზმაძე, კირილე ჯახუა, ვლადიმერ ჯანჯღავა, ნიკოლოზ თავართქილაძე, ერმალო კობერიძე, პეტრე ჩხობაძე, საზღვაო შენაერთების ადმირლები: გიორგი აბაშვილი, სპარტაკ კაპანაძე, მიხეილ ჯინჭარაძე, ვლადიმერ ლეჟავა და სხვა.

დივიზიების კომისრები იყვნენ: ომარ მუსერიძე, კოტე სოხაძე, ვარლამ ჯანჯღავა, გიორგი ჩარგეიშვილი, ვასილ ონიანი და სხვა.

შენაერთების შტაბებს ხელმძღვანელობდნენ: სტეფანე ბერუჩაშვილი, მიხეილ ხურცილავა, ისმაილ გირგვლიანი, გერონტი სიხარულიძე, სოლომონ ბოლქვაძე, ივანე შაიშმელაშვილი და სხვა.

მტრის ზურგში თავგამეტებით მოქმედებდნენ მამაცი, უშიშარი პარტიზანთა წინამძღოლები: დავით ბაქრაძე, დიმიტრი იოსელიანი, ვლადიმერ თალაკვაძე, დურმიშხან მაღალაშვილი, პეტრე გვალია, ფორე მოსულიშვილი, ოთარ იმხნელი, მიხეილ ვარაზიშვილი და სხვა.

საქართველომ აღზარდა, გამოაწრთო 165 საბჭოთა კავშირის გმირი მეომარი. გმირმა წყალქვეშელმა, 1-ლი რანგის კაპიტანმა იაროსლავ იოსელიანმა მტრის 16 ხომალდი ჩაძირა, ხოლო სერჟანტმა მელიტონ ქანთარიამ, მიხეილ ეგოროვთან ერთად, გამარჯვების დროშა აღმართა მტრის დედაქალაქში, ბერლინში.

## ზურგი ქედდა...

**სამამულო** ომის წლებში ქართველმა ხალხმა სანიმუშოდ იბრძოლა ფრონტზე, იშრომა ზურგში, ღირსეულად მოიხადა თავისი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე.

საქართველომ საიმედოდ უზრუნველყო ქვეყანა და ჯარი, ფრონტი და ზურგი სურსათ-სანოვაგით, მედიკამენტებით, აბჯრით, საქმით უჩვენა ზურგის ერთიანობა, სიმტკიცე. იგი ამზადებდა უახლოეს ავტომატებს „იაკ-3" ავიაგამანადგურებლებს, „კატუშის" ძირითად ნაწილებს, ნაღმებს, ნაღმსატყორცნებს და სხვ. ხალხმა საქმით უჩვენა საბრძოლო-მორალური დარაზმულობა, ერთიანობა. ქართველი მუშა მუშაკობდა და მეომარი გულოვნობდა.

## მთებში ბრძოლის ხელოვნება

**დიდი** სამამულო ომის წლებში ამიერკავკასიის ფრონტი, მისი ჯარები, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ და მოქმედებდნენ ქართული დივიზიები, უმაღლესი მთავარსარდლის ზრუნვისა და ყურადღების ცენტრში იყვნენ. ამ მხრივაც ნიშანდობლივია ი. სტალინის 1942 წლის 20 აგვისტოს შორსგამიზნული დირექტივა. მასში, კერძოდ, ნათქვამი იყო „...მოწინააღმდეგე ამიერკავკასიის საზღვრებში შემოჭრას ლამობს და ამ მიზნის მისაღწევად არ დაკმაყოფილდება ძირითად ოპერატიულ მიმართულებებზე დიდი ძალების მოქმედებით... მტერს სპეციალურად მომზადებული სამთო შენაერთები ყავს და ამიერკავკასიაში შესასვლელად გამოიყენებს კავკასიონის ქედის თითოეულ გზას და ბილიკს, იმოქმედებს, როგორც მსხვილი ძალებით, ისე ცალკეული ჯგუფებით....

ღრმად ცდებიან ის მეთაურები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კავკასიონის ქედი თავისთავად გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენს მტრისთვის. მტკიცედ უნდა ახსოვდეს ყველას, რომ დაუძლეველია მხოლოდ ის ზღუდე, რომელიც კარგად არის მომზადებული დაცვისათვის და რომელსაც შეუპოვრად იცავენ. ყველა დანარჩენი წინაღობა, მათ შორის კავკასიონის ქედის უღელტეხილებიც, თუ მათ მტკიცედ არ დავიცავთ, ადვილად დასაძლევია, განსაკუთრებით წლის ამ დროს..."

ასეც შემუშავდა, განხორციელდა კავკასიონის ქედის, მისი უღელტეხილების საიმედოდ დაცვის, ოპერატიული ღონისძიებები. ამ გადამწყვეტ საქმეში თავი გამოიჩინა 46-ე არმიის სარდლობამ (სარდალი, გენერალი კ. ლესელიძე, შტაბის უფროსი, გენერალი მ. მიქელაძე, სამხედრო საბჭოს წევრები: ვ. ბაქრაძე, ა. კაკაბაძე, გ. სანაკოევი). მართლაც თვალსაჩინო იყო მათი ნიჭი და ორგანიზატორული უნარი.

## მეომრული სიტყვა და საქმე

**ქართველმა** მეომრებმა, ქართულმა საჯარისო შენაერთებმა ფრონტზე, ბრძოლის ველზე, ძლიერ და გამოცდილ მოწინააღმდეგესთან პირისპირ ბრძოლებში უჩვენეს მამაცობა და გულადობა, თავდაცვაში — შეუპოვარობა და სიმტკიცე, შეტევაში — სისწრაფე და გამბედაობა, მეზობლებთან უნარიანი თანამოქმედება, ცეცხლისა და მანევრის შეხამება, რამაც განაპირობა მტერზე გამარჯვება, ყველას ამშვენებდა მხედრული სიტყვა და საქმე.

ამაზე ნათლად მეტყველებენ საბრძოლო ფაქტები, მხედრული ეპიზოდები, ბრძოლის შედეგები, რითაც ასე მდიდარია ქართველთა მეომრული ცხოვრება. მრავალთა შორის ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე ნიმუშს გავიხსენებთ:

სერჟანტმა ნიკოლოზ გოგიჩაიშვილმა მოხერხებულად განალაგა თავისი დაზგის ტყვიამფრქვევის გუნდი მნიშვნელოვან მაღლობზე, მოაწყო ირგვლივ თავდაცვა და მარჯვე ცეცხლით, ბოლომდე შეინარჩუნა მნიშვნელოვანი პოზიცია;

კაპიტანმა ვლადიმერ ლურსმანაშვილმა, ოფიცრების ა. თოფურიას და შ. ჰუმბაძის ასეულებთან თანამოქმედებით, მსროლელი ასეულის მთებში უეცარი მანევრით, ტაქტიკური დასახლებული პუნქტიდან გააძევა გერმანელთა ბატალიონი;

პოდპოლკოვნიკმა მიხეილ დიასამიძემ თავისი მოტომსროლელი პოლკით კუდით ქვა ასროლინა ფელდმარშალ მანშტეინის ავანგარდს, რომელიც სტალინგრადში გარშემორტყმული მე-6-ე არმიის დასახსნელად უტევდა.

ინჟინერ-მაიორმა ირაკლი ციციშვილმა, დიდი შეტევითი ოპერაციის პროცესში, საოცრად მოკლე დროში, ორი, მეტად საჭირო ხიდი ააგო და გამართა დნეპრზე;

გენერალმა კონსტანტინე ლესელიძემ, მეზობლებთან ერთად, ჩინებულად გაიაზრა, მოამზადა და განახორციელა ნოვოროსიისკის განთავისუფლების რთული ოპერაცია;

გენერალი პორფილე ჩანჩიბაძის ჩანაფიქრით, პირადი მონაწილეობით განხორციელდა ბალტიისპირეთში სტრატეგიული, საფრონტო — „შაულიაის ოპერაცია"...

ისინი ნამდვილი გმირები იყვნენ! მათი ასეთი გამოცდილება დღესაც მისაბაძია და სამაგალითო!

ისინი ბევრი იყვნენ: ქვეითი, მფრინავი, მეზღვაური, კაცი თუ ქალი, ხალხის და სამშობლოს წინაშე პირნათელნი, წმიდა სინდისის და მოვალეობის ერთგული თანამემამულენი, რომლებიც სიცოცხლესაც არ იშურებდნენ ვაჟკაცური მიზნის მისაღწევად. მათ იცოდნენ ჯარისკაცური ამხანაგობა და მეგობრობა, საჯარისო წესდებათა, ფიცისა და დროშის მამაპაპისეული ერთგულება.

ცეცხლის წვიმაში მეომართა სიცოცხლის სადარაჯოზე იდგნენ ქართველი ექიმები, მათი ერთგული თანაშემწეები. მათი მზრუნველობით დაჭრილთა 75 პროცენტი, ხოლო ავადმყოფთა 90 პროცენტი კვლავაც საბრძოლო თუ შრომით მწყობრს უბრუნდებოდნენ. ვეტერანებს დღესაც ახსოვთ მათი ამაგი, ბრძოლაში სამხედრო ექიმების შალვა ნიკარაძის, იოსებ კვერნაძის, თამარ გოთუას, ელზა შურღაიას, ვასილ ბაბუხადიას, ვენერა ქოიავას, ნინო გელაშვილის, სილოვან შამათავას, ლეო ჯაველიძის, კალე დიხამინჯიას, დიმიტრი ჯავახიშვილის და სხვათა სითბო და მზრუნველობა ფრონტელი პაციენტების მიმართ.

დიდი სამამულო ომი 1418 დღე-ღამე გრძელდებოდა. ქართველი მეომრები აქტიურად მონაწილეობდნენ მასში, ომის პირველი დღიდან, ბოლო, გამარჯვების დღემდე, ქართველები მონაწილეობდნენ 54. დიდ სტრატეგიულ, 260 საფრონტო და ათასზე მეტ დიდმნიშვნელოვან საარმიო ოპერაციაში, ყველგან უნარიანად, წარმატებით მოქმედებდნენ, დღისით და ღამით, თავიანთი კუთვნილი წვლილი შეიტანეს სამხედრო, საზღვაო თუ საჰაერო ბრძოლებში.

## რამ გადაგვარჩინა?

**ჩვენი** ვალია ჯეროვნად, ობიექტურად დავაფასოთ მამა-პაპათა მხედრული და შრომითი ღვაწლი. „ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცები ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ქნევა ვიცოდით, სამხედრო საქმეთა ცოდნა უნდოდა, სამხედრო საქმენი ვიცოდით, აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა". (ილია). რა სადღეისოდ, ანდერძად ჟღერს დიდი წინაპრის ეს სიტყვები...

დრო-ჟამი შეუჩერებლად, შეუმჩნევლად მიდის, იცვლება მედროვეთა პირვეული აზრი, შეხედულება მოვლენებსა და ადამიანებზე, მაგრამ მარადიულია ჭეშმარიტი ქართველი კაცის — ჯარისკაცის, ოფიცრის, გენერლის თუ მხედართმთავრის გულოვნობა, მისი მხედრული ნიჭი და ორგანიზატორული ტალანტი, მისი უნიკალური წვლილი და დამსახურება ყველაზე დიდ, სამართლიან, სამამულო ომში...

**პეტრე შამათავა,**
გადამდგარი პოდპოლკოვნიკი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

●

**სურათზე:** ფრონტელი ქართველი ოფიცრები (მარცხნიდან): დ. მაჭავარიანი, ზ. მახარაშვილი, ა. ჩიხლაძე, ნ. კოხრეიძე და პ. შამათავა. 1945 წლის მაისი.

გამარჯვება
50

# ვეტერანთა საკეთილდღეოდ

**მოქმედი** კანონმდებლობით ომის ინვალიდებისთვის მრავალი შეღავათია დაწესებული:

— კომუნალური მომსახურების გადასახადებში იხდიან მომსახურების ღირებულების 50 პროცენტს;

— მთლიანად თავისუფალი არიან ბინის ქირის გადასახადისაგან;

— საცხოვრებელი ბინის მიღების დროს სარგებლობენ უპირატესი უფლებით;

— ბინის პრივატიზაციის დროს მთლიანად თავისუფლდებიან საბაჟო გადასახადისაგან;

— უფასოდ მგზავრობენ ყველა სახის საქალაქო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა), ასევე სოფლად საზოგადოებრივი ტრანსპორტით საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში;

— საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსებზე შეუძლიათ იმგზავრონ 50 პროცენტის ფასდაკლებით;

— მთლიანად თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან და სხვა.

ომის ვეტერანებსა და მათ ოჯახებზე ზრუნვის მორიგი დადასტურებაა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 4 აპრილის 102 ბრძანებულება „ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა მატერიალური და სოციალური პირობების გაუმჯობესების შესახებ", რომლის შესაბამისადაც მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ყველა კატეგორიის პენსიონერს მიეცემა პენსიის დანამატი ერთი თვის პენსიის თანაბარი ოდენობით;

— მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა მეუღლეებს, რომლებიც ხელმეორედ არ დაქორწინებულან და დანიშნული აქვთ პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო, მიეცემათ დანამატი პენსიის ერთი თვის მინიმალური პენსიის თანაბარი ოდენობით;

— მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ გმირის წოდება, ან დაჯილდოებული არიან სამივე ხარისხის დიდების ორდენით, მიეცემათ დანამატი ორი თვის პენსიის თანაბარი ოდენობით.

პენსიაზე ყველა ზემოაღნიშნული დანამატის გაცემა განხორციელდება 1995 წლის 1 მაისიდან — ყოველთვიურად.

ზემოაღნიშნული ბრძანებულებით მეორე მსოფლიო ომის ყველა კატეგორიის პენსიონერს მიეცემა აგრეთვე ერთდროული დახმარება ორი თვის პენსიის თანაბარი ოდენობით.

მეორე მსოფლიო ომის ყველა მონაწილე და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ზურგში მომუშავე მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც შრომითი თავდადებისათვის დაჯილდოებული იყვნენ ორდენებით, დაჯილდოვდებიან მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის აღსანიშნავი მედლით.

აღნიშნული კატეგორიის ვეტერანთა სიების მომზადება და დაჯილდოების ორგანიზაცია დაევალათ საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს და სამხედრო კომისარიატებს.

ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ განახორციელონ სპეციალური ღონისძიებები მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და დაგეგმილ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობა 1995 წლის 1 მაისიდან მოახსენონ სახელმწიფოს მეთაურს.

სახელმწიფოს მეთაურმა 1995 წლის 4 აპრილის ბრძანებულებით დაავალა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება:

— მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა უფასო სამედიცინო დისპანსერიზაციისა და სანიტარიულ-საკურორტო მკურნალობის ორგანიზაციის შესახებ;

— ომის მონაწილე ყველა კატეგორიის პენსიონერისათვის შრომით საქმიანობაში შეზღუდვების მოხსნის თაობაზე;

— ომის ინვალიდთა რესპუბლიკური ჰოსპიტლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსების შესახებ.

ბრძანებულებით მიზანშეწონილად არის მიჩნეული ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს 1995 წლისათვის დამტკიცებული რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების ფარგლებში.

**ირინე ღლონტი,**
შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საორგანიზაციო-მეთოდური მუშაობისა და ინფორმაციის სამმართველოს უფროსი.

# იყო თუ არა იოსებ სტალინი ფრონტზე

**დადიოდა** სტალინი მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე თუ სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა რუკებით, მოსკოვიდან გაუსვლელად? ხვდებოდა სტალინი მეომრებს უშუალოდ მოწინავე პოზიციებზე, ესაუბრებოდა მათ, იცოდა მათი გასაჭირი, მოთხოვნები თუ ეყრდნობოდა მხოლოდ ფრონტების სარდალთაგან მიღებულ ცნობებს? ესწრებოდა სტალინი ახალ სახეობათა იარაღის გამოცდებს? ეს და ბევრი სხვა ამგვარი საკითხი, მრავალი წელია არ აძლევდა და, უნდა ითქვას, დღესაც არ აძლევს მოსვენებას მეცნიერებს, ისტორიკოსებს, ბიოგრაფებს, საერთოდ ყველა იმათ, ვინც დაინტერესებულია მეორე მსოფლიო ომის საკითხებით. მართალია, ისეთ ცალკეულ მხედართმთავართა მემუარებში, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ჟუკოვი, კონევი, როკოსოვსკი, ვასილევსკი, ბაგრამიანი, ერიომენკო და სხვები, გვხვდება ადგილები, რომლებშიც ლაპარაკია იმაზე, რომ სტალინი ომის დროს უშუალოდ მიდიოდა მოქმედ არმიაში, მაგრამ დაწვრილებითი ცნობები არ არის. საქმე ისაა, რომ მთელი ეს მემუარები ძირითადად გამოიცა სტალინის სიკვდილის შემდეგ, და ცენზურას, განსაკუთრებით პარტიის მე-20 ყრილობის შემდეგ, შეეძლო ისინი უბრალოდ ამოეღო.

ჩემს ხელთ არის უიშვიათესი დოკუმენტი: სტალინის დაცვის ყოფილი მუშაკის ალექსი ეფიმოვის საუბრების ჩანაწერი, რომელიც მას ჩაუწერია ომის წლებსა და პირველ ომისშემდგომ პერიოდში და სტალინის პირადი თვითმფრინავის პილოტის ვ. გრაჩოვის ჩანაწერები. შეიძლება ყველას არა, მაგრამ, ვფიქრობ, მათ უნდა დავუჯეროთ. მოგვყავს ცალკეული ადგილები ამ ჩანაწერებიდან, რომლებიც მოწმობენ, რომ ომის წლების ყველაზე მძიმე ხანაში სტალინი იყო ფრონტზე, ადგილზე ხელმძღვანელობდა ოპერაციებს.

## 1941 წელი

**სექტემბრის** დამდეგს სტალინი მოჟაისკის თავდაცვითი ხაზის დასათვალიერებლად გაემგზავრა და იყო მოსკოვის ზვენიგოროდის თავდაცვის მიჯნებზე. მისი მოგზაურობის შემდეგ 27 სექტემბერს მთავარსარდლმა გამოსცა ბრძანება ჩვენი ჯარები გადასულიყვნენ მკაცრ დაცვაზე, მოსთხოვა ფრონტების სარდლობას სასწრაფოდ მოემზადებინათ თავდაცვითი მიჯნები. წინადადება იყო აგრეთვე გაეთავისუფლებინათ ძალების ნაწილი და გაეზარდათ საფრონტო და საარმიო რეზერვები. მას შემდეგ, რაც სტალინმა პირადად ადგილზე შეისწავლა ვითარება, სადაც მოქმედებდა სამი ფრონტი: დასავლეთის, სარეზერვო და ბრიანსკისა, და დაიწყო დიდი ბრძოლა მოსკოვთან — მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა, სრული კრახი განიცადა ჰიტლერის გეგმამ, რომელიც მან წამოაყენა „ცენტრის" არმიის ჯგუფის შტაბში თათბირზე, რომ ქალაქი გარემოცული უნდა ყოფილიყო, რათა „ვერც ერთ რუს ჯარისკაცს, ვერც ერთ მცხოვრებს — იქნებოდნენ მამაკაცები, ქალები თუ ბავშვები — ვერ დაეტოვებინათ იგი", შემდეგ დაეტბორათ მოსკოვი „და იქ, სადაც დღეს ქალაქი დგას, შეექმნათ ხელოვნური ზღვა, რომელიც სამუდამოდ დაფარავდა რუსი ხალხის დედაქალაქს ცივილიზებული ხალხისაგან".

იმავე 1941 წლის ოქტომბერში სტალინი იყო მეთექვსმეტე არმიის განლაგებაში, სადაც თვალს ადევნებდა ბმ-13 სარაკეტო დანადგარების (განთქმული „კატიუშების") სროლას, ნოემბრის დამლევს კი იყო სოფელ ლენინლუპიხაში, რომელიც მოსკოვიდან 40 კილომეტრზეა ვოლოკოლამსკის გზატკეცილზე. იქ იგი ეწვია საველე ჰოსპიტალს, შეხვდა დაჭრილებს, დიდხანს ესაუბრა მათ, ექიმთა პერსონალს. აი როგორ აღწერს ამ შეხვედრას ა. რიბინი. „ბელადი რომ დაინახეს, დაჭრილები შეცბუნდნენ, მაგრამ იოსებ ბესარიონის ძე ახლოს მიუჯდა მათ და გამოჰკითხა, ძლიერი იყო თუ არა მტერი, რა იყო მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. მებრძოლები გათამამდნენ და სხაპასხუპით უამბობდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს. სტალინი შეპირდა, რომ გაითვალისწინებდა მათ სურვილებს და შეასრულებდა".

1941 წლის ზაფხულში სტალინი ბულგანინთან ერთად ღამით იყო მალოიაროსლავეცის სამშობლოში, სადაც შეამოწმეს საბრძოლო პოზიციები, მისცეს ოფიცრებს მთელი რიგი შენიშვნები და კონკრეტული მითითებები.

## 1942 წელი

**სტალინი** დასავლეთის ფრონტს ეწვია, დაინტერესდა არა მარტო საბრძოლო ვითარებით, არამედ იმითაც, თუ როგორ მიმდინარეობდა ჯარების მართვის რეორგანიზაცია. ამის შემდეგ გაუქმდა მიმართულებათა მთავარი სარდლობები, შეიქმნა 28 საკორპუსო მმართველობა და 10 გვარდიული მსროლელი კორპუსი. იმავდროულად ყალიბდება გვარდიული არმიები, რომლებიც საერთო-საჯარისოებისაგან უფრო ძლიერი შემადგენლობით გამოირჩეოდნენ.

მდინარე ლამის გაღმა პოლიგონზე სტალინი თვალს ადევნებდა ახალი თვითმფრინავის ფრენას, რომელსაც დედამიწიდან რადიოთი მართავდნენ.

## 1943 წელი

**1943 წლის** აგვისტოში სტალინი ჩადის ქალაქ გჟატსკში და შემდეგ სოფელ იუხნოვოში, სადაც დასავლეთის ფრონტის შტაბი იყო. იქ გამართა რამდენიმე თათბირი გენერლებთან და მეთაურთა შემადგენლობასთან შეტევითი ოპერაციის წინ.

იმავე, 1943 წლის ნოემბრის დამლევს, სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თეირანის კონფერენციის შემდეგ სტალინი „დუგლასის" ტიპის თვითმფრინავით გადაფრინდა კავკასიონის ქედის გავლით და ჩავიდა ბაქოში, სადაც გამოიკითხა, თუ როგორი იყო საქმის ვითარება ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. ბაქოდან მანქანით დანგრეულ სტალინგრადში ჩავიდა.

როცა სტალინმა დაათვალიერა ქალაქი, პაულიუსის ყოფილი შტაბი და ამ შტაბის მახლობლად გერმანელთა მუზარადებით გულმოდგინედ აგებული პირამიდისებრი მთები, წარმოთქვა: „ეს მუზარადები ხომ ჰიტლერის მიერ გაბრუებულ ახალგაზრდა გერმანელ ყმაწვილებს, ეხურათ. ეჰ, თქვე უბედურნო, აღმოსავლეთის სივრცის ვაი-დამპყრობლებო!"

სტალინგრადში ასეთი შემთხვევაც მოხდა: სტალინის მანქანა დაეჯახა „მ-1" მანქანას, რომლის საჭეს ქალი უჯდა. შეჩერდა სტალინის მანქანაც. სტალინი რომ დაინახა, ქალმა თვალს არ დაუჯერა, მაგრამ როცა მან შენიშვნა მისცა, სწრაფად რატომ დადიხარო, ქალი ატირდა, ბოდიში მოიხადა. სტალინმა დაამშვიდა და მილიციასა და მის თანმხლებ სამხედროებსა და ადგილობრივ ხელისუფალთ უბრძანა არ დაესაჯათ იგი და საერთოდ არ ეწყენინებინათ. სტალინგრადიდან უმაღლესი მთავარსარდალი მატარებლით მოსკოვში გაემგზავრა.

## 1945 წელი

**1945 წლის** 16 ივნისს სტალინი ჩავიდა ბაბელსბერგში სამი სახელმწიფოს პოტსდამის კონფერენციაში მონაწილეობისათვის. კონფერენციის მუშაობაში „სარკმელი" გაჩნდა, რომელიც სტალინმა იმისათვის გამოიყენა, რომ დანგრეული ქალაქი დაეთვალიერებინა. როცა მან ბერლინის ქუჩებში ჩაიარა, ძალიან ბევრი გერმანელი ტროტუარებზე იდგა და გაკვირვებით უყურებდა მას, რომელმაც თავის მხედართმთავრებთან და ჯარისკაცებთან, მთელ ხალხთან ერთად შეძლო გაეცამტვერებინა მიზაკისფერო ჭირი — ფაშიზმი.

**რემ დავიდოვი,**
საქინფორმის კორ.

# ქარცეცხლიანი დღეების მატიანე

## რას წერდა ქართული პრესა 50 წლის წინათ

გაზეთი „კომუნისტი", შაბათი, 1 მაისი, 1945 წელი.

**„გერმანელი იმპერიალისტების მიერ გაჩაღებული მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდება. ჰიტლერული გერმანიის დამხობა სულ ახლო მომავლის საქმეა. ჰიტლერულ მეხვეურებს, რომლებმაც თავიანთი თავი მსოფლიოს ბატონ-პატრონად წარმოიდგინეს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. სასიკვდილოდ დაჭრილი ფაშისტი მხეცი სულს ღაფავს. ახლა ამოცანა ერთია — ბოლო მოვუღოთ ფაშისტ მხეცს".**

უმაღლესი მთავარსარდლის საპირველმაისო ბრძანებიდან.

**ჩინებული** საბრძოლო მოქმედებისთვის უმაღლესი მთავარსარდალი ბრძანებით მადლობას უხდის ბელორუსიის მე-2 ფრონტის მამაც მებრძოლებს. სხვებთან ერთად გენერალ-მაიორ ვარლამ ჯანჯღავასა და პოლკოვნიკ კალაძის ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს.

გაზეთი მკითხველს აუწყებს, რომ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისთვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მაიორ გალაქტიონ ელისეს ძე ალფაიძესა და სერჟანტ დავით სერგის ძე მერკვილაძეს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ლენინის ორდენისა და მედალ „ოქროს ვარსკვლავის" გადაცემით. გვარდიის უფროსი ლეიტენანტი უშანგი ყარამანის ძე ბასარია კი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

28 წლის მაიორ ალფაიძის საბრძოლო დამსახურებებზე წერს სამხედრო კორესპონდენტი ა. ნანეიშვილი: — „საარტილერიო ქვეგანაყოფმა, რომელსაც მაიორი ალფაიძე მეთაურობს, შესანიშნავი საბრძოლო გზა განვლო. მოსკოვის მისადგომებიდან დაწყებული მან ბრძოლებით გაიარა უკრაინა, ბესარაბია, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, უნგრეთის დიდი ნაწილი და ახლა ავსტრიაში იბრძვის...

„მხოლოდ წინ", — ასეთია ოფიცერ ალფაიძის ბრძანება, იგი არ შორდება მოწინავე ხაზს...

მაიორ ალფაიძის არტილერისტთა 60 პროცენტს მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები და ისინი სამართლიანად ამაყობენ თავიანთი გმირი მეთაურით".

გენერალ-მაიორ ერმალოზ გრიგოლის ძე კობერიძისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით გაზეთი წერს: „გენერალ-მაიორი კობერიძე პირადი მაგალითით და გამბედაობით აღაფრთოვანებს ჯარისკაცებსა და მეთაურებს. ჯერ კიდევ პოლკოვნიკობისას სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისას დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით. ორჯერ დაიჭრა იგი სასტიკ ბრძოლებში, მაგრამ ისევ მალე დაუბრუნდა ფრონტს.

გენერალ კობერიძის ნაწილებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ციხე-ქალაქ პოზნანის დაკავებისათვის ბრძოლებში"...

გაზეთში დაბეჭდილია გენერალ-მაიორ ვარლამ ჯანჯღავასადმი მიძღვნილი რაჟდენ გვეტაძის ლექსი „ბერლინის თავზე..." და გრიგოლ აბაშიძის გამარჯვების სულისკვეთებით გაჟღენთილი ლექსი: „მაისი და გამარჯვება".

„და ირგვლივ ისევ გრგვინვა
გაისმის,
როგორც გუგუნი მილიონ ზართა,
სჭექს და რისხვით ჰქუხს ჩვენი
მაისი,
დამარცხებული ბერლინის
კართან".

## უცხოეთის პრესიდან

# წადი ბილ, და უთხარი მაგათ...

### „ნიუ-იორკ ტაიმსი"

**პრეზიდენტ კლინტონის მრჩევლები შეშფოთებული არიან, ვაითუ მისი ყოფნა მოსკოვში 9 მაისის ცერემონიაზე, რომელიც მეორე მსოფლიო ომში გერმანიის კაპიტულაციის 50 წლისთავს ეძღვნება, საზოგადოებრიობამ აღიქვას, როგორც პრეზიდენტ ბორის ელცინის და ჩეჩნეთში მიმდინარე სასტიკი ომის მხარდაჭერა. მაგრამ სულაც არ არის სავალდებულო, ასე მოხდეს. თუნდაც მცირეოდენ რეჟისორულ ოსტატობას თუ გამოიყენებს, კლინტონს შეუძლია ისარგებლოს ამ შემთხვევით იმისათვის, რომ დაამყაროს კონტაქტი რუს რეფორმატორებთან და შეახსენოს ელცინს და რუსეთის არმიას, რომ ჩეჩნეთის ომი ღალატია იმ პრინციპებისა, რომლებმაც მოკავშირეები გააერთიანეს ფაშიზმის წინააღმდეგ ომის წლებში.**

პრეზიდენტს, მოსკოვში ყოფნისას, შეუძლია პატივი მიაგოს რუსთა მსხვერპლს მეორე მსოფლიო ომის წლებში. ზუსტად ისევე, როგორც ამერიკელი პრეზიდენტები მიაგებენ პატივს ამერიკელ, ბრიტანელ, ფრანგ, სხვა დასავლეთევროპელ ჯარისკაცებს, რომლებიც ჰიტლერული არმიების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპნენ. კლინტონს შეუძლია გამოთქვას სამძიმარი და მადლობა მილიონობით რუსის მოსახსენიებლად, რომლებიც დაიღუპნენ ბრძოლებში, ლენინგრადით და სტალინგრადით დაწყებული, და ბერლინით დამთავრებული. არც ერთ სხვა ქვეყანას არ შეუტანია ესოდენ დიდი წვლილი გამარჯვებაში, არ გაუღია ასეთი მსხვერპლი და არ შეუსრულებია ესოდენ მნიშვნელოვანი როლი გერმანიის განადგურებაში. რუსების დანაკარგები დღესაც აოცებს ყველას: დაიღუპა 25 მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი, რუსების მსხვერპლი უდიდესია.

რუსები, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლები, არ აპატიებდნენ შეერთებულ შტატებს 9 მაისის ზეიმობის უგულებელყოფას. ფაშისტურ გერმანიასთან ომს ისეთი ადგილი უკავია რუსების ეროვნულ თვითშეგნებაში, რომლის გაგებაც ამერიკელებს გაუჭირდებათ. მას შემდეგაც კი, რაც დაიმსხვრა კომუნისტური პროპაგანდა „დიდი სამამულო ომის შესახებ" და მითი ომის პერიოდში სტალინის ხელმძღვანელი როლის თაობაზე, რუსები კვლავინდებურად განიხილავენ ამ ომს, როგორც ეროვნული თავგანწირვის, ტრიუმფისა და ერთიანობის არაჩვეულებრივ მომენტს. მრავალთათვის ეს არის შიმშილის, ტერორისა და ტირანიის ხანის ერთადერთი მიღწევა.

მოსკოვში კლინტონს შეეძლო მიებაძა რონალდ რეიგანის მაგალითისათვის, რომელიც იქ ვიზიტად იყო 1988 წელს, როდესაც მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა ხელმძღვანელობასთან და ამავე დროს სადილობდა დისიდენტებთან ერთად და იყენებდა ნებისმიერ შესაძლებლობას იმისათვის, რომ ელაპარაკა რუსებთან დემოკრატიაზე.

მოსკოვში ყოფნისას კლინტონს შეუძლია შეხვდეს რეფორმატორებს, რომლებიც ელცინს ჩამოსცილდნენ, და ამით აშკარად აგრძნობინოს ყველას, რომ არ იწონებს დრეიფს ავტორიტარული მმართველობისაკენ.

მას შეუძლია აგრეთვე, შეახსენოს რუსეთის არმიას, რომ იგი მოვალეა დაიცვას დემოკრატიული პრინციპები, და თან გაიყოლოს გენერალი ჯონ შალიკაშვილი, აშშ შტატების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც დაელაპარაკებოდა რუს სამხედრო პირებს სამხედრო რეფორმის შესახებ. კლინტონს შეუძლია მოუწოდოს რუს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და ბიზნესმენებს, დააჩქარონ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ყოველივე ეს ყველასთვის ცხადს გახდიდა, რომ კლინტონი მოსკოვს ჩამოვიდა არა ელცინის მხარდასაჭერად, არამედ იმისათვის, რომ დაადასტუროს ამერიკელთა მხარდაჭერა რეფორმებისადმი.

პრეზიდენტს შეუძლია, აგრეთვე, იახლოს მოსკოვში სენატორი დოული (აშშ სენატში რესპუბლიკელთა უმრავლესობის ლიდერი — **რედ.**), დოული, რომელიც მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა და კინაღამ დაიღუპა, იქნებოდა ამერიკის უაღრესად შესაფერისი წარმომადგენელი ამ ცერემონიაზე. დოულისათვის უფრო მარტივი იქნებოდა, შინ დარჩენილიყო და ეკრიტიკებინა კლინტონი ამ ვიზიტისათვის. მაგრამ კლინტონს და დოულს, თუ ერთად დადგებიან 9 მაისს მოსკოვში, შეუძლიათ იქცნენ მძლავრ სიმბოლოდ, რომელიც განასახიერებს ამერიკისა და თავისუფლებას ახლახან ნაზიარები რუსეთის ურთიერთობის განმტკიცებას.

# რწმენამ უნდა გადაგვატანინოს გაჭირვება

## საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მიმართვა ვეტერანებისადმი

**ძვირფასო ვეტერანებო!**

**1995 წლის 9 მაისს პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავს. ამ მოვლენის აღსანიშნავად ჩვენი ქვეყანაც ემზადება. საყოველთაოდაა ცნობილი, თუ რა დიდი წვლილი შეიტანა საქართველომ ამ გამარჯვებაში. ჩვენმა სამშობლომ ფრონტზე 750 000 მეომარი გაგზავნა. აქედან, 300 000-ზე მეტი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ომის პირველივე დღეებში საქართველოში შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები, ჩამოყალიბდა სახალხო ლაშქარი. ამავე დროს, იქმნებოდა ეროვნული შენაერთები, რომელთა საბრძოლო მატიანე დამშვენებულია გმირობისა და მამაცობის მასობრივი მაგალითებით. განსაკუთრებით დიდია ქართულ სამხედრო შენაერთთა როლი კავკასიის დაცვაში. ცალკე აღნიშვნის ღირსია ჩვენი თანამემამულეების მონაწილეობა პარტიზანულ მოძრაობაში. ამ ომში ქართველმა ხალხმა ნათლად უჩვენა თავისი გმირული საბრძოლო სულისკვეთება, ეროვნული მხედრული მაღალი ტრადიციები და დიდი პოტენციალი. ათასობით ქართველმა მეომარმა დაიმსახურა სამხედრო მაღალი ჯილდო, რომელთაგან 165-ს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.**

**სამწუხაროდ, ჩვენს უახლოეს წარსულში, არსებული პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, მაშინდელი ხელისუფლების და პოლიტიკური წრეების დამოკიდებულება ამ ისტორიული მოვლენის შეფასებისა და, აქედან გამომდინარე, თვითოეული თქვენგანისადმი ჭეშმარიტად არაობიექტურ ხასიათს ატარებდა.**

**ისმებოდა საკითხი: აუცილებელი იყო თუ არა ამდენი მსხვერპლი, როდესაც ომი საქართველოს ტერიტორიაზე არ წარმოებდა, ან კანონზომიერი იყო თუ არა ქართველ მეომართა ესოდენ გმირული თავგანწირვა.**

**ნურავის ნუ დაავიწყდება, რომ ფაშიზმი იყო კაცობრიობის ყველაზე საშინელი მოვლენა თავისი უმძიმესი შედეგებით. მას წინ აღუდგა მსოფლიოს ყველა პროგრესულად განწყობილი ადამიანი, თვით იმ ქვეყნებშიც, რომელთა წიაღშიც იშვა ეს საშინელი იდეოლოგია. სამწუხაროდ, ჩვენმა დღევანდელობამ ხომ საკუთარი თვალით იხილა და გამოსცადა პროვინციულ-ნაციონალისტურ-ფაშისტური იდეოლოგიისა და პატარ-პატარა ფიურერების დამღუპველი მოქმედების შედეგები.**

**მაშინაც კი, როდესაც თქვენ სამშობლოდან საკმაოდ შორს — ბრესტის ციხესიმაგრესთან თუ ბელორუსიაში და მოსკოვის, ლენინგრადის თუ სტალინგრადის მისადგომებთან, მამაცურად იბრძოდით, ჩვენის ღრმა რწმენით, თითოეული ქართველი ჯარისკაცი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ერთად თავის სამშობლოსაც იცავდა. გამოვხატავთ რა თქვენდამი ჩვენს უდიდეს მოკრძალებას და პატივისცემას, გვინდა თქვენთან ერთად ღირსეულად აღვნიშნოთ ეს დიდი თარიღი. ვიცით, ამ შეჭირვებულ ყოფაში, თუ რამდენ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდით, მაგრამ მომავლისადმი რწმენამ და ერთმა დიდმა საერთო საქმემ უნდა გადაგვატანინოს ეს გაჭირვება.**

**ბევრი ვეტერანი დღეს ცოცხალი აღარ არის. ასაკის გამო, თქვენი რიგები თანდათანობით მცირდება. ვეტერანების ოჯახებს შეუძლიათ იამაყონ მეუღლეებისა და მამების საბრძოლო წარსულით. გვსურს, ისინიც ვანუგეშოთ და გულთბილი სიტყვა ვუთხრათ.**

**საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრები მოწიწებით ხრიან თავს ყველა დაღუპული ჯარისკაცის ხსოვნის წინაშე. ხოლო თქვენ, ძვირფასო ვეტერანებო, მოგილოცავთ ამ დიდ თარიღს და სულითა და გულით გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და პირად ბედნიერებას, დაე, სულ მალე მოვესწრებოდეთ მშვიდობიან, ძლიერ, ერთიან და დემოკრატიულ საქართველოს.**

## ინფორმაცია

### დანიელი ხალხის საჩუქარი — ქართველ ბავშვებს

დიდი სიხარული სუფევდა იმ დღეს ტაშისკარის სანატორიულ სკოლა-ინტერნატში: მის აღსაზრდელებს დანიის საერთაშორისო ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები" უამრავი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, საბანი, საკვები, საპონი, მედიკამენტები ჩამოუტანა.

ინტერნატში შექმნილმა კომპეტენტურმა გამანაწილებელმა კომისიამ უყურადღებოდ არ დატოვა სოფელში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული მრავალშვილიანი ოჯახები, ავადმყოფი და ზრუნველობას მოკლებული ბავშვები, მარტოხელა დედები და მოხუცები. მათ ინტერნატის აღსაზრდელთა სახელით ოჯახებში დაურიგდათ სხვადასხვა ტანსაცმელი და პროდუქტები. დახმარება აგრეთვე გადაეცათ აღმზრდელ-მასწავლებლებს.

სკოლა-ინტერნატის კოლექტივი და აღსაზრდელები, სოფლის ბავშვები და მოხუცები მხურვალე მადლობას უხდიან დანიელ მეგობრებს.

**დავით ჩიქოვანი.**

### დაინიშნა პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელად

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახურმა თანამეგობრობის ქვეყნების შტაბ-ბინიდან — ქალაქ მინსკიდან მიიღო ინფორმაცია, რომ ჩვენი თანამემამულე ზურაბ შოთას ძე ზონელიძე დაინიშნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების აღმასრულებელი სამდივნოს პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელად.

### არქიტექტორებმა ექსკურსიებით დაიწყეს

„ქართული არქიტექტურა. დაცვისა და რესტავრაციის პრობლემები" — ამ თემას ეძღვნება საერთაშორისო სემინარი, რომელმაც 28 აპრილს დაიწყო მუშაობა თბილისში და 8 მაისამდე გასტანს. შაბათი და კვირა, ძირითადად, ექსკურსიებს დაეთმო, 2 მაისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქტო დარბაზში გაიმართა სემინარული მუშაობა.

სემინარის მონაწილეებმა უკვე დაათვალიერეს თბილისის, მისი შემოგარენის, მცხეთის არქიტექტურული ძეგლები, ეწვევიან ქართლ-კახეთს, იმერეთს.

### თავდასხმა პროკურორზე

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, პირველ მაისს, 00 საათსა და 30 წუთზე, აბაშის ხიდზე სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა წყალტუბოს პროკურორის მალხაზ სეჯაიას ავტომანქანას.

ბანდიტებმა მას წაართვეს პირადობის მოწმობა და მოსტაცეს მანქანა.

ოპერატიული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, 04 საათზე სოფელ წყემის ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა ნახეს გატაცებული მანქანა. ამ დროს ბოროტმოქმედებმა ორგანოს მუშაკებს ცეცხლი დაუშინეს. საპასუხო სროლის შედეგად, ერთი ბოროტმოქმედი დაიღუპა, ხოლო ერთი დააკავეს.

საქმეს იძიებს აბაშის რაიპროკურატურა.

### „ვაჟკაცები" მოხუცებს წვავენ

29 აპრილს, ღამის 12 საათზე 8 შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა სოფელ მამათში მცხოვრებ მიხეილ მალაზონიას ოჯახს. თავდამსხმელების მიზანი ფულის გამოძალვა იყო. მიხეილ მალაზონიამ და მისმა მეუღლემ მოძალადეებს წინააღმდეგობა გაუწიეს. გამხეცებულმა უჯალებმა მოხუცები ფიზიკურად შეურაცხყვეს, შემდეგ კი მიხეილ მალაზონიას ნავთი გადაასხეს, ცეცხლი წაუკიდეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

86 წლის მ. მალაზონია ოზურგეთის რაიონული საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში მოათავსეს.

---

**კოლეგები**

## „ატენურით" დაგილოცავ!..

**გურამ ვაშაკიძეც** დაჭარმაგებულა, „შიდა ქართლის მოურავსაც" (ასე ვეძახით) წამოჰპარვია წელთა სიმრავლე... არც ეტყობა და ვერც ვამჩნევდით... იქნებ, თვალი შევაჩვიეთ — სხვა საკუთარ კორესპონდენტებთან შედარებით გურამს უფრო ხშირად ვხვდებით — თითქმის ყოველდღე გვეხმიანება ტელეფონით და ხშირად ჩამოირბენს კიდეც გორიდან...

ფაქტია — სამოცი წლისა გამხდარა...

გურამ ვაშაკიძე „საქართველოს რესპუბლიკისთვის" არ არის მხოლოდ მაცნე, გნებავთ, ინფორმატორი შიდა ქართლის ამბებისა. მისი სახით ჩვენს გაზეთს საქართველოს ამ ერთ-ერთ გამორჩეულ კუთხეში ეიმედებოდა და ეიმედება კაცური კაცი, დიდად განათლებული პიროვნება, ნაღდი პროფესიონალი, რომელიც ჰაიჰარად ერთ სტრიქონსაც არ დაწერს და რედაქციის აპარატის მუშაკების თავსამტვრევად თუ საჭოჭმანოდ არ გახდის ამა თუ იმ სპეციფიკურ საკითხს.

გურამის მიერ გამოგზავნილი (მის სათნო ქალიშვილებს რომ მოაქვთ ხოლმე ჩვენამდე) სტატია, ნარკვევი თუ რეპორტაჟი პირდაპირ მიგვაქვს მემანქანეებთან გადასაბეჭდად — მათში თითქმის ერთ ფრაზასაც ვერ ნახავთ შესაცვლელს. შიდა ქართლისა და „სამხრეთ ოსეთის" უამრავი პრობლემა, აქაური ჭირ-ვარამი, ქართლელების ყოველდღიური საზრუნავი, ბედი თუ უბედობა არის გურამ ვაშაკიძის ჟურნალისტური მოღვაწეობის მთავარი თემა, თუმცა სხვა კუთხეებზე წერასაც ვინ დაუშლის — სარედაქციო მივლინებით რამდენჯერმე იყო აფხაზეთში, გუმისთაზე—ფრონტის წინა ხაზზეც კია ნამყოფი.

წელთა სიმრავლე მოგონებებს წამოშლის ხოლმე. მოსაგონარი ბევრი გაქვს, ჩემო გურამ — დიდუბეში გაფრენილი ბავშვობა და სიჭაბუკე, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და, მოგვიანებით, „გაჟურნალისტება", საუკეთესო რედაქტორები და თანამოკალმენი (ზოგი ცოცხალი და ზოგიც — გარდაცვლილი), ცხოვრების გზაზე გადამხდარი ათასი დავიდარაბა თუ სიხარული...

„დაგაყაჩაღებ" ამ დღეებში და გორის ციხესთან „ატენურით" დაგილოცავ ყველა სიკეთეს!...

**ვილენ მარდალეიშვილი.**

---

**ესტრადა**

## სიამოვნება: სცენაზე, დარბაზშიც

### მღერიან და ხუმრობენ ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები

**ჭეშმარიტი** ხელოვნება ადამიანის სულის საზრდოა, მით უფრო დღეს, როდესაც საზოგადოებას მრავალი საფიქრალი გასჩენია.

ქართულ კულტურას გაფრთხილება და დაფასება სჭირდება; სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ოთხი წლის წინ კომპანია „ტრიო საუნჯე", რომლის ძირითადი მიზანია ქართული კულტურის პოპულარიზაცია.

კომპანია „ტრიო საუნჯეს" დამფუძნებლები არიან ბატონები ნიკო ნადირაშვილი, რაულ ნადირაშვილი და გია ასანაშვილი, რომელთა ინიციატივითაც ყოველ გაზაფხულზე, აპრილის თვეში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში იმართება შესანიშნავი კონცერტები სერიალით: „მღერიან და ხუმრობენ ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები".

წინა საკონცერტო სეზონებისაგან განსხვავებით წლეულს სცენა ახალგაზრდა თაობას დაეთმო, ხოლო ძირითადი წამყვანები კვლავინდებურად ყველასათვის კარგად ცნობილი უხუცესი მსახიობები — ბატონები კახი კავსაძე და გივი ბერიკაშვილი გახლავთ.

აღნიშნული კონცერტის სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორია ბატონი ჯემალ ბაღაშვილი, მუსიკალური ხელმძღვანელი ბორის შხიანი, ქორეოგრაფები გივი ოდიკაძე და ლელა მაჭავარია.

გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტების საუბარს კონცერტის რამდენიმე მონაწილესთან:

**ბატონ გივი ბერიკაშვილს ამ კითხვებით მივმართეთ:**

**— ბატონო გივი, უკვე მეოთხე წელია დიდ საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობს ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავების საგაზაფხულო კონცერტი. თქვენ, როგორც მისი ერთ-ერთი მთავარი წამყვანი, როგორი ენთუზიაზმით ხვდებით გაზაფხულს?**

— მზადება დიდია. ყოველთვის სიხარულით ველოდებით გაზაფხულის დადგომას. ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა მაყურებელი საუკეთესო შთაბეჭდილებებით დატვირთული წაბრძანდეს დიდი საკონცერტო დარბაზიდან.

**— წინა საკონცერტო სეზონებისაგან განსხვავებით სცენა წელს ახალგაზრდა თაობას დაეთმო. ამის შესახებ რას გვეტყოდით?**

— ვიმედოვნებდით, რომ დადგებოდა დრო, როდესაც მონაწილეობას მიიღებდნენ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, რადგან, მოგეხსენებათ, მათ გარეშე არსებობა შეუძლებელია, ახალგაზრდობა ხომ მომავლის მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

იქვე კახი კავსაძე დგას.

**— ბატონო კახი, როგორც ბატონი გივი, თქვენც ბრძანდებით ამ კონცერტების ერთ-ერთი მთავარი წამყვანი. რომელმა კონცერტმა დაგამახსოვრათ განსაკუთრებით თავი ამ ოთხი წლის განმავლობაში?**

— ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პირველი და მეორე კონცერტები, რადგან ჩემი მეუღლეც იღებდა მონაწილეობას. თავიდან ვღელავდი, ესტრადაზე არასოდეს გამოვსულვარ. მოგეხსენებათ, თეატრის სცენასა და საესტრადო სცენას შორის დიდი ზღვარია.

**— კურიოზს ხომ არ გაიხსენებდით...**

— წინასწარ გეტყვით, რომ კურიოზს ვერ გავიხსენებ, რადგან მთელი ჩვენი ცხოვრება ისედაც კურიოზია...

მივმართავთ **ჯემალ ბაღაშვილს:**

**— ბატონო ჯემალ, თქვენ, როგორც ავტორი და დამდგმელი რეჟისორი, რას გვეტყოდით საინტერესოს?..**

— საქმე ის არის, რომ ჩვენ სცენაზე მოვიწვიეთ ახალგაზრდა თაობის ნამდვილი, ჭეშმარიტი ვარსკვლავები. დასახულ მიზანს სავსებით მივაღწიეთ. საერთო სიტუაციიდან გამომდინარე, მათი მოქმედების არეალი შეზღუდულია, არადა, ახლა სჭირდება მათ ნიჭს ფართო გზა და გასაქანი. მათი ხილვა, ჩემი აზრით, მაყურებელზე დადებითად იმოქმედებს. ორმოცი წლის მანძილზე „ჩატეხილი ხიდი" და „შეწყვეტილი ტრადიცია" აღდგენილია ახალგაზრდა თაობის მიერ.

**ნინელი ჭანკვეტაძეს** ასეთ კითხვას ვუსვამთ:

**— ქალბატონო ნინელი, როგორც ახალგაზრდა თაობის პოპულარული მსახიობი და აღნიშნული კონცერტის ახალბედა წამყვანი, რას გვეტყოდით?**

— როგორც წამყვანი, დიდი სისიხარულით წარვადგენ ჩემი თაობის მსახიობებს მაყურებლის წინაშე, მიხარია, რომ მათ მიეცათ საშუალება ამ უზარმაზარ სცენაზე გამოსვლისა. ბევრი მათგანი მართლაც აღმოჩენა იყო ქართული კულტურის სფეროში, კერძოდ, კინოსა და თეატრის ისტორიაში.

**გია როინიშვილი:**

**— ბატონო გია, ქალბატონ ნინელისთან ერთად თქვენც ახალბედა წამყვანი ბრძანდებით. რას განიცდით?**

— ბატონი გივისა და ბატონი კახის შემდეგ ამ მისიის აღება ძალიან რთულია, მაგრამ ერთადერთი იმედი ის არის, რომ გამოდიან ჩემი მეგობრები და მინდა მათ დავუჭირო მხარი, წარვადგინო მაყურებლის წინაშე, რათა არაფერი მოაკლდეს მათ შესაძლებლობებს. დიდი სურვილი მაქვს ისინი ახალი რაკურსით გაიცნოს ქართველმა საზოგადოებამ.

**ჯონი ჯანჯალაშვილი** მოშორებით დგას:

**— ბატონო ჯონი, სხვებთან ერთად თქვენც პირველად მონაწილეობთ ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავების კონცერტში. ორიოდე სიტყვით ამის შესახებ...**

— გულახდილად რომ გითხრათ, ძალიან გახარებული ვარ. მოგეხსენებათ, თბილისში ბევრი თეატრია და მათი წარმომადგენლები რომ შეიყარნენ ამ უზარმაზარ სცენაზე, თანაც ახალგაზრდა თაობა, ეს ძალიან ბევრის მაუწყებელია. მათ გვერდითაც ჩემი გამოსვლა ძალზე საპატიოდ მიმაჩნია.

**რუსუდან ბოლქვაძეს** მივმართავთ:

**— ქალბატონო რუსუდან, თეატრი თქვენთვის ალბათ მთელი ცხოვრებაა, მაგრამ თქვენ ამჟამად დგახართ არა თეატრის, არამედ დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე. ამან ხომ არაფერი შეცვალა თქვენში?**

— შეცვალა იმ თვალსაზრისით, რომ თეატრისა და ესტრადის სცენაზე სულ სხვადასხვა გარემო სუფევს. ორივეს თავისი კანონები აქვს; ისე კი, ძალიან საინტერესოა აქ მონაწილეობის მიღება.

**ნინაკა გელაშვილი** „ივერიის" კონცერტებზეც გვინახავს.

**— ქალბატონო ნინაკა, თქვენ არა მარტო თეატრის ნიჭიერი მსახიობი, არამედ ესტრადის მომღერალი და ნიჭიერი პაროდისტიც ბრძანდებით, რომლის სიყვარული ჭარბობს თქვენში, თეატრისა თუ ესტრადის?**

— მიძნელდება თქმა, მაგრამ ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია — მსახიობობა; ამ სცენაზე ყოფნის დროს კი საოცრად დიდ სიამოვნებას განვიცდი, ალბათ ღირს მთელი ცხოვრების შეწირვაც.

ვესაუბრებით **გურამ ჯაშს:**

**— ბატონო გურამ, თქვენი აზრი დღევანდელ კონცერტში თქვენივე მონაწილეობის შესახებ..**

— ჩემს წარმატებას ვუმადლი ბატონ გივი ბერიკაშვილს. ენა ვერ იტყვის იმას, რაც აქ მონაწილეობით განვიცადე. ვიგრძენი თავისუფლება, არ არის შური, ყველას აქვს შესაძლებლობა თავისი მონაცემების გამომჟღავნებისა.

**აი, ცნობილი მუსიკოსი ბორის შხიანიც:**

**— ბატონო ბორის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თქვენ ბრძანდებით ამ შესანიშნავი კონცერტის მაესტრო. ესტრადის ჟანრში მომუშავეს, ხომ არ გაგიძნელდათ მუშაობა თეატრისა და კინოს მსახიობებთან?**

— საერთოდ, ხელოვნების სფეროში მუშაობა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ თუ ესტრადის ჟანრში თეატრისა და კინოს მსახიობი იმუშავებს, შეიძლება კარგი შედეგიც მიილოს, რაც დღეს უკვე სახეზეა, მათ შორის ბატონები კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, გურამ ჯაში... ერთმანეთს უნდა ავსებდეს არტისტიზმი და საესტრადო მონაცემები.

**თენგიზ არჩვაძესთან** სიამოვნებით მივდივართ:

**— ბატონო თენგიზ, როგორც ქართული მსახიობის უფროსი თაობის წარმომადგენელი, როგორ გრძნობთ თავს დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე ახალგაზრდა თაობის მსახიობთა გვერდით?**

— ერთი სიცოცხლეა მათ გვერდით ყოფნა, მეც მათი ასაკის მგონია თავი. ჩემთვის ეს უდიდესი სიამოვნებაა.

**— თქვენთან ერთად მონაწილეობს თქვენივე ქალიშვილიც. ამის შესახებ თქვენი აზრი...**

— ძალიან მიხარია, რომ წელს ჩემი ქალიშვილიც მონაწილეობს, მაგრამ საოცრად განვიცდი, რადგან ორმაგ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, როგორც საკუთარი თავის, ისე ჩემი შვილის გამო.

და აი, ამ კონცერტების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი **ნიკო ნადირაშვილი:**

**— ბატონო ნიკო, როგორც კომპანია „ტრიო საუნჯეს" პრეზიდენტი, ინიციატორი, ამ შესანიშნავი კონცერტებისა, ორიოდე სიტყვით თუ შეიძლება...**

— ჩვენი კომპანია შეიქმნა ოთხი წლის წინ, რომლის ერთადერთი მიზანია ქართული კულტურის პოპულარიზაცია. ამ კომპანიამ არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც მოაწყო საბალეტო და საოპერო ხელოვნების ფესტივალები, რომლებიც საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა.

მე, როგორც პრეზიდენტი ამ კომპანიისა, უდიდეს კმაყოფილებას გამოვთქვამ აღნიშნული კონცერტების გამო. მომავალში კვლავ გავაგრძელებთ ამ დიდ საქმეს, რათა ქართულ კულტურას კვლავდაკვლავ მოვუტანოთ დიდი პოპულარობა.

ესაუბრნენ
**მარინე გურასპაშვილი,**
**ნანა გაბიანი.**

სურათზე: იმღერეს, იხუმრეს ქართული თეატრისა და კინოს მსახიობებმა. კონცერტი დამთავრებულია.

---

**ხსოვნა**

## დავით ვარდოსანიძე

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ომისა და შრომის ვეტერანი **დავით გრიგოლის ძე ვარდოსანიძე.**

დაიბადა 1918 წელს, ტყიბულში, გლეხის ოჯახში. 1939 წელს ვეტერინარი ექიმის კვალიფიკაცია მიიღო საქართველოს ზოოვეტინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთ ხანს მუშაობდა ბორჩალოს (ახლანდელ მარნეულის) რაიონში ვეტერინარ ექიმად, ხოლო 1940 წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. თითქმის მთელი შვიდი წლის მანძილზე დავით ვარდოსანიძე მოქმედი არმიის რიგებში იმყოფებოდა და იბრძოდა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, იყო ჯერ ლეგიონის, შემდეგ კი დივიზიის ვეტსამსახურის უფროსის მოადგილე და არმიის თერაპევტი მაიორის წოდებით. დემობილიზაციის შემდეგ დავით ვარდოსანიძემ ლენინგრადის სავეტერინარო ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის კურსი ბიოქიმიის დარგში, ცნობილი მეცნიერის პეტრე ახტანინის ხელმძღვანელობით და იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1954 წლიდან იგი ჯერ საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის ბიოქიმიის კათედრის ასისტენტი და შემდეგ დოცენტია. 1963 წელს დავით ვარდოსანიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 1965 წელს არჩეულ იქნა პროფესორად, 1966-1974 წლებში ვარდოსანიძე ბიოლოგიური ქიმიის კათედრას განაგებდა და თავის ენერგიულ შრომას ახმარდა ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდის საქმეს.

ბოლო პერიოდში დავით ვარდოსანიძე ნაყოფიერად მუშაობდა ცხოველთა კვების განყოფილებაში მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. წლების მანძილზე დავით ვარდოსანიძე ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს. იგი თანაავტორია რუსულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოსი „სავეტერინარო ბიოქიმია" და გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი მეცნიერული შრომა. დავით ვარდოსანიძე აქტიური წევრი იყო სამეცნიერო საბჭოებისა, მათ შორის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოსი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია და შემუშავებულია პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები, რომლებიც ინერგებოდა წარმოებაში.

დავით ვარდოსანიძე არჩეული იყო უკრაინის ქალაქ შპოლის საპატიო მოქალაქედ. სამამულო ომის ფრონტზე ბრძოლისა და თავის გამოჩენისათვის მას მიღებული ჰქონდა მთავრობის სამი საბრძოლო ორდენი და თორმეტი მედალი.

დავით ვარდოსანიძის, როგორც ღირსეული მკვლევარის, პედაგოგის და კარგი მეოჯახის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგების, ახლობლების და მეგობრების გულში.

**საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო, საზოგადოება „ოკრიბა".**

## ნიკოლოზ პეტრიაშვილი

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერების" ღვაწლმოსილი პოლიგრაფისტი, საამწყობო საქმის აღიარებული სპეციალისტი ნიკოლოზ (კოლია) გიორგის ძე პეტრიაშვილი.

დაიბადა 1930 წელს მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელში. წარმატებით დაამთავრა თბილისის პოლიგრაფიული სასწავლებელი და იმ დღიდან ნახევარი საუკუნე ულალატოდ, მამულიშვილურად ემსახურა ქართულ პოლიგრაფიას. 1947 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, სადაც 1985 წლიდან საამწყობო საამქროს ხელმძღვანელობდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. პეტრიაშვილის მიერ მრავალენოვან, ტექნიკურად რთულ ხელნაწერთა ოსტატური აწყობა.

ნ. პეტრიაშვილის შრომითი საქმიანობა რამდენჯერმე აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით.

გაერთიანება „მეცნიერების" თანამშრომლებს ხიბლავდა ნ. პეტრიაშვილის მაღალზნეობრივი, ადამიანური თვისებები და საამწყობო საქმის ღრმა ცოდნა. იგი ყველას მიმართ იყო ყურადღებიანი, მზრუნველი. ასეთად დარჩება იგი ახლობლებისა და მეგობრების მეხსიერებაში.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება".**

## მამუკა გაბელია

შენ 25 წელი უნდა შეგსრულებოდა. როგორი ხანმოკლე აღმოჩნდა შენი სიცოცხლე, მიუხედავად ამისა, შენ შეძელი საყოველთაო სიყვარულის მოპოვება. ზრდილობისა და სიკეთის განსახიერება იყავი. სიცოცხლეს შეტრფოდი, არ დაგაცალეს, ხალხის სამსახურში ყოფნა გინდოდა, არ დაგანებეს, შვილის დაბადებას ელოდებოდი, არ დაგინდეს. შენი პაწაწინა თამუნა უკვე ობოლი მოევლინა ქვეყანას. მამის ალერსს მოკლებულს გინდოდა მთელი სითბო შვილზე გადაგეტანა, მაგრამ საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის 1994 წლის 21 დეკემბერი, ამხანაგებთან ერთად მიმავალს არაკაცები გადაგეყარნენ, სიკვდილმა შენ გამოგარჩია და ამით დაუკოდა გული შენს მეგობრებს, ჩაუქრო დედას ერთადერთი ანთებული ლამპარი, დააქვრივა სულ ახალგაზრდა გოგონა, დაობლა უცოდველი პატარა.

კეთილ ხალხს ქვეყნად რა დალევს, არ გაუჭირვებენ შენს პატარას, მაგრამ ვაი, რომ უკეთურებიც მრავლად ყოფილან და იმიტომ ითვლები შენ დღეს მკვდრად, რომ შენმავე მოძმემ გიმტრო და გაგიმეტა სასიკვდილოდ.

ჩვენო მამუკა, მსუბუქი ყოფილიყოს მიწა შენი ახალგაზრდა გულისათვის და ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული. მარად დაუვიწყარი იქნები ჩვენთვის.

შენი დეიდა **ნარგიზა ჭანტურია.**

---

შვილი ქრისტინე, დედა ციცო ტაბატაძე, მერი ხვედელიანი, დები ნარგიზა, თეა, ძმა ზაზა, ბებიები შურა, ხიდონია, მამიდები ციალა ტაბატაძე, ნაილი, ელზა, დეიდები ნანული, მანანა, ბაია პაპიძეები, ლიანა, ნელი გელაშვილები, ბიძები ოთარ პაპიძე, მერაბ ხვედელიანი, გურამ გელაშვილი, ტარიელ დონდუაშვილი, ვახტანგ კოჭლამაზაშვილი, დარისპან ხარშილაძე, გურამ ჩიტიაშვილი, ომარ თუშიშვილი, ზაურ ქვლივიძე, სიძე სოსო ძუკაევი, დისშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალნენ

**ლალი ბივის ასული ტაბატაძე-ხვედელიანი**

**გია გელას ძე ხვედელიანი**

პანაშვიდი 4, 5 V, 16 სთ. დაკრძალვა 6 V, 14 სთ. რუსთავი, მე-12 მიკრ/რ. 24 კორპ. I სადარბაზო.

---

შვილი რუსუდანი, რძლები ციცო ჯაფარიძე, ეკა ლამბაშიძე, თეონა კეჩხუაშვილი, სიძეები მამია ცხადაია, ლევან ფოფხაძე, შვილიშვილები მარინე, გია, დათო, ნინიკო, შვილთაშვილები ლიკა, თაკო, ნარიმანი, ლუკა, რუსუდანი, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინო ილიას ასული დოხნაძე-კომახიძე**

პანაშვიდი 4, 5 V, 16 საათზე; დაკრძალვა 6 V, 15 საათზე; თბილისი, დოლიძის ქ. № 9, II სადარბაზო, ბინა 15.

---

საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტისა და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის ხელმძღვანელობა თანაგრძნობას უცხადებს ამიერკავკასიის რკინიგზის ყოფილ უფროსს, საქართველოს პარლამენტის წევრს ბატონ ლევან ვარდოსანიძეს ძმის, ომის ვეტერანის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

**დავით გრიგოლის ძე ვარდოსანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

**სარკე**

## გვჯერა ის, რაც დაუჯერებელია...

### ბევრი რამ „გვაკლია", — ჯიბის ფულის ჩათვლით

**საქართველოს** მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა შემსწავლელი კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად, ქართველების „დადებით" თვისებად, თვითონ ქართველებს, ძირითადად ემოციურობა მიაჩნიათ, შემდეგ — გაბედულება და ობიექტურობა. ქართველებისათვის ნაკლებად დამახასიათებელ თვისებად მიჩნეულია აკურატულობა, პრაქტიკულობა, თავშეკავებულობა. ქართველების უარყოფით თვისებად ქართველებს ძირითადად არაპრაქტიკულობა მიაჩნიათ.

საზოგადოებაში შექმნილი ვითარება, გარკვეული თვალსაზრისით იმითაც აიხსნება, რომ, როგორც სოციოლოგი მეცნიერები ამტკიცებენ, ქართველები მოუწესრიგებლები, ემოციურები, მგრძნობიარეები, ღრმა და მეოცნებე ბუნების მქონე ხალხი ვართ, გვაქვს ცოცხალი, მაგრამ არამეთოდური გონება, იმპულსური აზროვნებისა და მოქმედების უნარი, ამავე დროს ძლიერნი, აგზნებადი, აქტიური მოქმედების უნარი გვახასიათებს, ახალი გრძნობების ძიებაში ვიხარჯებით, როგორც მეცნიერები ადასტურებენ, ასეთი ადამიანები იშვიათად ცხოვრობენ დღევანდელობით, თუმცა კარგად ახსოვთ, ანგარიშს უწევენ წარსულს, ფიქრობენ მომავალზე.

„პრაგმატიზმი", „პრაგმატიკოსობა" გვაკლებია, თურმე, განა მხოლოდ ეს?! კიდევ ბევრი რამ „გვაკლია", — „ჯიბის ფულის" ჩათვლით. ეს ისე, ნახევრად ხუმრობით.

ერთი რამ, რაც უზომოდ გვახასიათებს, პრეტენზიულობა, ამბიციურობა გახლავთ, ეს უკვე ხუმრობის გარეშე, სერიოზულად. ნარცისიზმი, საკუთარი პერსონით ტკბობა ცხადში და... ძილში, — ჩვენი ბიოფსიქოლოგიური არასრული პორტრეტია.

### იბრძვის, სტკივა, არ ნებდება...

**დიდი ილია** თანამემამულე თანამედროვეებს სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა. უყვარდა და სძულდა, უარყოფდა და ემაყებოდა.

„—(...) უწყინარი, უჩინარი, ქედრეკილი, მადლიერი, უშფოთველი, ქვეშ მძრომელი... ყველა უნჯი, ყველა მუნჯი, ყველა ყრუი, ყველა ცრუი", — წერდა ილია ჭავჭავაძე, — ერის მოძღვარი.

მოპირდაპირე მხარემ, — ჩვენებურად ოპოზიციამ, — არ დააყოვნა, გრიგოლ ორბელიანმა, — ნუ გაგიკვირდებათ, პატივცემულო მკითხველო, არ შემცდარხართ, სწორედ გრიგოლ ორბელიანმა ფიცხელ უპასუხა:

„(...) კოლო ბუზებო, ლიბერალებო, საიდან კნავით..." რაზეც ილია ჭავჭავაძე ასევე უმალ რეაგირებს:

„—(...) ჩვენ, უჩინონი, თქვენ ჩინიანთა ბუზი ვგონივართ. იქიდან ვკნავით, სად თქვენის მადლით ხაფანგებ ქვეშ დამწყვდეული ვართ. ჩვენი ქვეყანა მკვდარი თქვენგანა თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლია, ლიბერალობა, პატრიოტობა სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია, თქვენგან ჩაგრული, დაბრმავებული, ერი ჯვრებზე არ გაგვიყიდია".

ეს და სხვა მრავალი კითხვა-პასუხი, სიტყვიერი პაექრობა, გადაძახილი იყო და 1872 წლის იანვარში ილია ჭავჭავაძემ საქართველოში ეროვნული აჯანყების დროშა ააფრიალა...

დიდი ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის მოდგმის ქართველობა, საქართველოს აწმყოს, მის მყობადს ქმნის, კამათობს, ბჭობს, დავობს, იბრძვის, სტკივა და არ ნებდება...

ხშირად ის გვჯერა, რაც დაუჯერებელია.

**ავთანდილ გველესიანი.**

---

**მოწყალება**

## ეხმარებიან აფხაზეთში დაჭრილებს

**საქინფორმის კორესპონდენტი ბესიკ ფიფია სანქტ-პეტერბურგიდან გვატყობინებს, რომ ნევისპირა ქალაქის მერია და მთავრობა ახორციელებენ ჰუმანურ აქციას საქართველოს იმ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარებისათვის, რომლებიც დაიჭრნენ და დასახიჩრდნენ 1992-1993 წლებში აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს.**

პირველი ოთხი ავადმყოფი მიიღეს პეტერბურგის ვრედენის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ელოდებიან კიდევ 16 კაცს, რომელთაგან ნაწილი იმკურნალებს პოლენოვის სახელობის ნეიროქირურგიის ინსტიტუტში.

თბილისიდან სანქტ-პეტერბურგში ავადმყოფების ჩაყვანასა და ძვირადღირებული სამკურნალო პრეპარატებით უზრუნველყოფაში მათ ეხმარებიან ნევისპირა ქალაქში მცხოვრები თანამემამულენი. მათ შორის არიან ემზარ წურწუმია— საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის მთავარი მრჩეველი სანქტ-პეტერბურგში, ავთანდილ ბუთხაშვილი — სააქციო საზოგადოება „აისის" გენერალური დირექტორი, ალექსანდრე ებრალიძე —სააქციო საზოგადოება „ჰუმანიტარული და საქმიანი თანამშრომლობის ცენტრის" გამგეობის თავმჯდომარე, ბადრი კაკაბაძე — სააქციო საზოგადოება „პეტროხოლოდის" გენერალური დირექტორი, კახა კახნიაშვილი — სააქციო საზოგადოება „კაკადუს" გენერალური დირექტორი და სხვები.

---

**ეპიდემია?**

## სისუფთავე ჯანმრთელობის საწინდარია

**ქოლერით** დაავადების შემთხვევების შესახებ საგანგაშო ცნობებია მიღებული მეზობელი დაღესტნის რესპუბლიკიდან. როგორც ცნობილია, იგი გაავრცელეს მლოცველებმა. ბევრი სპეციალისტის აზრით, სითბოს დადგომასთან ერთად მოწამლულ წყალსატევებში გამოზამთრებული ვიბრიონი კვლავ იჩენს თავს.

— როგორც ჩანს, დაღესტანში, რომელიც ჩვენი ახლო მეზობელია, ჩამოყალიბდა ქოლერის მუდმივი კერა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური სანეპიდსადგურის მთავარი ექიმის მოადგილემ ლევან ბაიდოშვილმა. — საქართველოში არ აღრიცხულა დაავადების არც ერთი შემთხვევა, მაგრამ ეს სიმშვიდის საფუძველს როდი იძლევა. როგორც კი ცნობილი გახდა, რომ დაღესტანში კვლავ გაჩნდა ქოლერა, რესპუბლიკის ყველა რეგიონის ეპიდსადგურები გავაფრთხილეთ ამის თაობაზე. მაგრამ, მთავარია, მოსახლეობამ დაიცვას ელემენტარული სისუფთავე.

---

## მიეძღვნა სახელგანთქმული სპორტსმენის ხსოვნას

**სპორტსაზოგადოება** „შევარდენის" ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და ჭაბუკთა რესპუბლიკური სპორტული სკოლისა და თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და ჭაბუკთა კომპლექსური სპორტსკოლის ერთობლივი ინიციატივით საქართველოს დედაქალაქში გაიმართა „იმედის" ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელიც მიეძღვნა ყოფილი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის გოდერძი ჩიტიაშვილის ხსოვნას. ჯილდოებისათვის იბრძოდნენ 1981-1983 წლებში დაბადებული სპორტსმენები. წონითი კატეგორიების მიხედვით ასპარეზობის გამარჯვებულები გახდნენ ქუთაისელი მირიან ნიშნიანიძე, ლაშა სალუქვაძე, გიორგი ტაბატაძე, პაატა ბიწაძე, დავით ბექაური, გიორგი ასანიშვილი, შალვა გადაბაძე, გიორგი კაპანაძე, ლევან ფიფია, პეტრე მეტრეველი, ოთარ თოფურია, თამაზ თაბორიძე (ყველა —„შევარდენის" სპორტკლუბი „თეთრი ქალაქი") და ხობელი რამაზ ბერაია.

ამიერიდან ტურნირს მიენიჭება ტრადიციული სტატუსი და ყოველწლიურად გაიმართება.

## ტყვიის მსროლელთა შეჯიბრება

**თბილისელმა** სპორტსმენებმა — სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა თამაზ იმნაიშვილმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა გია შენგელიამ და დავით ქვათაძემ მრგვალ სტენდზე ვარჯიშში 375 შესაძლებლიდან 358 ქულა მოაგროვეს და მოიპოვეს სასტენდო სროლაში მსოფლიო თასის გათამაშების ვერცხლის ჯილდოები. ნიქოზიაში გამართული ასპარეზობის გამარჯვებული კი გახდა ჩეხეთის გუნდი, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს ხუთი ქულით აჯობა. ასპარეზობის მასპინძლებმა — კვიპროსელებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 24 ქვეყნის წარმომადგენლები.

ცოტა ხნით ადრე კი იქვე მესტენდურეებმა გაითამაშეს კვიპროსის „გრან-პრი". მრგვალ სტენდზე სროლაში საუკეთესო იყო რუმინეთის გუნდი, საქართველოს ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც სამი თბილისელი სპორტსმენი გამოდიოდა, მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე ფინეთის გუნდი გავიდა. საპატიო პრიზისათვის იბრძოდნენ 24 ქვეყნის სპორტსმენები.

## საპასუხისმგებლო სტარტის წინ

**ივლისში** ირანში გაიმართება 1975-1976 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, და ამიტომ, გორში დასრულებული საქართველოს პირადი პირველობა ამ ასაკობრივ ჯგუფში სპეციალისტებმა განიხილეს საპასუხისმგებლო სტარტისათვის მზადების პრიზმით. ასპარეზობაში მონაწილეობდა 80-მდე სპორტსმენი. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ თბილისელი გიორგი იანთელიძე, გორელები იოსებ მომცემლიძე, გიორგი გაგიშვილი, აფხაზეთის წარმომადგენელი გოდერძი ხარებავა, თბილისელი ემზარ ბედინეიშვილი, გორელი გიორგი დათაშვილი, ქუთაისელი ედუარდ ბოჭორიშვილი, გორელი გოჩა ჩიხრაძე, თბილისელები ფილიმონ აბრამიშვილი და არჩილ მოდებაძე.

ასპარეზობის საუკეთესო არბიტრებად აღიარეს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები თბილისელები თამაზ ბენდიანიშვილი და ანზორ კვირიკაშვილი, აგრეთვე გორელი გიორგი მძინარიშვილი.

## გუშინ...

**კალათბურთი.** ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მესამე სუპერფინალური მატჩი. „ვითა" — „კაქტუსი" 84:77 (41:37).

„ვითა" ზედიზედ მესამედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

* * *

**ფეხბურთი.** ეროვნული ჩემპიონატის 25-ე ტური. „ივერია" — „დინამო" 0:2, „გურია" — „სამტრედია" 0:4, „დილა" — „კოლხეთი" 2:1, „შევარდენი" — „ბათუმი" 1:1, „მეტალურგი" — „კახეთი" 0:0, „მარგვეთი" — „ტორპედო" 3:2, „საპოვნელა" — „დურუჯი" 0:0, „ზუგდიდი" — „სამგურალი" 2:1.

„სამტრედია" — 64, „დინამო" — 62, „კოლხეთი" — 52 ქულა.

* * *

უეფას თასის გათამაშების პირველი ფინალური შეხვედრა. „პარმა" (იტალია) — „იუვენტუსი" (ტურინი, იტალია) 1:0. გოლი დინო ბაჯო (5 წთ.).

საპასუხო მატჩი ტურინში 17 მაისს გაიმართება.

---

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.
[illegible]